აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის დეპარტამენტი

სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“

თამარ ნადირაძე-გოგოლაძე

სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პირობები და პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა 07.01

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი,პროფესორი
ნიკოლოზ ჩიხლაძე

ქუთაისი, 2018

შინაარსი

შესავალი ---------- 3

თავი1. სამეწარმეო საქმიანობა და მისი განვითარების თავისებურებები----------13

1.1 სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ისტორიული წინამძღვრები ----------13

1.2 სამეწარმეო საქმიანობა და დაბეგვრის პოლიტიკა ----------32

თავი2. ინოვაციებისა და ინვესტიციების როლი სამეწარმეო საქმიანობაში----------46

2.1 ინოვაციური განვითარება და მეცნიერების როლი სამეწარმეო პოტენციალის სრულყოფაში ----------46

2.2 სამეწარმეო საქმიანობის საინვესტიციო უზრუნველყოფა ----------72

2.3 სამეწარმეო საქმიანობის საკადრო უზრუნველყოფა ----------84

თავი 3. სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში --101

3.1. სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა - პროგრამული კონტექსტი ----------101

3.2. სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში ----------117

დასკვნები----------141

გამოყენებული ლიტერატურა----------145

შესავალი

თემის აქტუალობა. განვითარებულ ქვეყნებში მეწარმეობის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ საკითხს და მნიშვნელოვან მხარდაჭერას ახორციელებენ. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო მეწარმეობა მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს.

ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას. როგორც წესი, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში.

რეფორმების ოცწლიანი გამოცდილების მიუხედავად, საქართველო რჩება გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნად. სწორედ წინააღმდეგობრივმა, ხშირად არაჰარმონიზებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ვერ შექმნეს სტრუქტურული გარდაქმნის წინაპირობები და გაუაზრებელი დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვიეს. საქართველოს სხვა ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბება ესაჭიროება, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი, განვითარებადი და ზრდის მუხტით აღჭურვილი.

ახალი ტიპის ეკონომიკისაკენ გზა სწორედ კერძო მეწარმეობის ფორმატის ცვლილებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადის, რომელიც ეკონომიკაში ახალი სტრუქტურული ცვლილებების მუხტის მატარებელია.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა კონკურენციის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ჩამოყალიბება, მოსახლეობის დასაქმება, საწარმო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიანი

შიდა პროდუქტის შექმნაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. საქართველოს ახალი ტიპის ეკონომიკისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საჭიროება გარდაუვალია. შესაბამისად, ამ ტიპისა და მასშტაბების ბიზნესის განვითარება პრიორიტეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად უნდა იქცეს. ზემოთ აღნიშნულმა განსაზღვრა თემის არჩევანი და პრობლემის აქტუალურობა.

ნაშრომის **მიზნები და ამოცანები.** წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში საწარმოთა ფუნქციონირების ფუნდამენტური ანალიზი, ბიზნეს-სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეზერვების გამოვლენა და მათი ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება. დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ფორმულირებულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- მეწარმეობის, კერძოდ მცირე და საშუალო მეწარმეობის იდენტიფიკაციის და მხარდაჭერის დეტალური ანალიზი;
- მეწარმეობის დაბეგვრის მოდელების შესწავლა და თავისებურებების გამოვლენა;
- საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგომარეობის დეტალური ანალიზი და განვითარების ეტაპების დახასიათება;
- მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობის განზოგადება;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობის დასაბუთება და პრაქტიკული დანიშნულების მქონე წინადადებათა პაკეტის შემუშავება.

სიახლე. საკვალიფიკაციო ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე მოიცავს იმ მიდგომების შემუშავებას, რომელიც ეყრდნობა რა სამეცნიერო-მეთოდურ საფუძვლებს, ხელს უწყობს მეწარმეობის ეფექტიანობის ამაღლებას. კერძოდ, მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების არსებული მდგომარეობა და ნაჩვენებია ამ სექტორის განვითარების ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მეწარმეობას ახალ სიმაღლეზე აიყვანს საქართველოში. კერძოდ:

- საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით.
- სახელმწიფოსაგან ინოვაციების ისეთი ფორმების დანერგვის ხელშეწყობა, როგორიც არის ლიზინგი და აუტსორსინგი.
- ქვეყანაში ინვესტიციების გადანაწილების სრულყოფა, რაც სახელმწიფოს დაეხმარება როგორც ურბანული პრობლემის მოწესრიგებაში, ასევე მეწარმეობის ეფექტიანობის ამაღლებაში.
- პროფესიული კადრების გადამზადების სრულყოფა და ამ საქმეში უმაღლესი სკოლის პოტენციალის მაქსიმალური ჩართულობა.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანის გადასაწყვეტად, რაც ზოგადად მეწარმეობის განვითარებას გულისხმობს. კერძოდ:

- საგადასახადო კოდექსის ცვლილების საგულდაგულო ანალიზი დაეხმარება მეწარმეებს სწორად ჩამოაყალიბონ განვითარების სტრატეგია.
- აუტსორსინგით და სალიზინგო მომსახურეობით ხელშეწყობა დაეხმარება მეწარმეებს განაახლონ თავიანთი ძირითადი საშუალებები და სრულყონ საწარმოს მართვის მექანიზმი.
- ინვესტიციების გადანაწილების მოწესრიგება რეგიონებში ხელს შეუწყობს რეგიონების და შესაბამისად სახელმწიფოს განვითარებას.
- სასწავლო დაწესებულებები გადამზადების დარგში გააქტიურებენ თავიანთ ფუნქციას.
- ხელს შეუწყობს მეწარმეების ინფორმირებულობას მეწარმეობის განვითარების შესახებ არსებულ პროგრამებზე.

კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი საკვლევი საკითხები და მათი დამუშავების მდგომარეობა მიმდინარე ეტაპზე. სამეწარმეო საქმიანობის პრობლემატიკა მრავალმხრივ არის შესწავლილი ქართველი (რ. ასათიანი, ნ. ჭითანავა, ი. მესხია, გ. პაპავა, ე. ბარათაშვილი, ე. მექვაბიშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ნ. ორჯონიკიძე, თ. როსტიაშვილი, ლ. ცეცხლაძე, ე. ჯულაყიძე, ნ. ჩიხლაძე და სხვ.) და უცხოელი (რ.

ხიზრიჩი, ფ. ხაიეკი, ი. შუმპეტერი, მ. პიტერსი, ა. ბუნიჩი, ა. ლაპუსტა, ა. ხოსკინგი, ე. შკრებელა, პ. შოუმი, რ. კოუზი, ა. მიცკი ლ. სტაროსტინი, და სხვ.) მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი მკვლევარების მიერ. თუმცა ბევრ შრომაში მეწარმეობის განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების საკითხები ძირითადად მიკროდონეზე ან ზოგად კონტექსტშია განხილული. ავტორის ძირითადი წვლილი მდგომარეობს მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემათა გამოწვლილვით შესწავლაში და ღრმა ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, სინთეზის, გრაფიკული და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, აბსტრაქტულ-ლოგიკური, შედარებითი და ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები. მათი კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელი გახდა წარმოჩენილიყო მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირებისა და განვითარების მრავალმხრივი სურათი, რაც ამ სექტორის მხარდაჭერის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების წინაპირობად იქცა. კვლევის საგანია მეწარმეობის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები, მათი კანონზომიერებები, რეგულირებისა და ხელშეწყობის პრობლემები საქართველოში. კვლევის ობიექტია მცირე და საშუალო ზომის ეკონომიკური სუბიექტები, ამ საქმიანობით დაკავებული ბიზნეს-სექტორის მდგომარეობისა და უმთავრესი ასპექტების შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

დისერტაციის მოკლე შინაარსი თავების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია **სამეწარმეო საქმიანობა და მისი განვითარების თავისებურებები; სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ისტორიული წინამძღვრები და სამეწარმეო საქმიანობა და დაბეგვრის პოლიტიკა.**

განხილულია მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები წარმოების ფაქტორთა კვლევის განვითარების შესახებ. აგრეთვე საწარმოო პროცესების სრულყოფის ეტაპები. საქართველოში მეწარმეობის განვითარების ისტორია და მეცნიერ მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებები მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს როლის შესახებ.

მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ XX საუკუნის ბოლოსათვის საქართველო იყო განვითარებული რესპუბლიკა ძლიერი მანქანათმშენებლობით, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობით, სატყეო, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობით, სამშენებლო მრეწველობით, მსუბუქი და კვების მრეწველობით, მაგრამ საქართველო იყო იმ დიდი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაირღვა ის კავშირები, რაც არსებობდა რესპუბლიკებს შორის.

XX საუკუნის ბოლოს “ცივი ომის” დასრულებას მსოფლიოში ახალი წესრიგის ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ პროცესმა პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გააჩინა, რომელთა შორის საქართველოც აღმოჩნდა.

ახლადშობილი ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები გამოიხატა 1991-1992 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ორი ეთნო-კონფლიქტის გაჩაღებით, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ, ეკონომიკური პრობლემები, კორუფციის არნახული მასშტაბები და სხვა პრობლემები.

აი, ამ ფონზე, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება დასავლეთთან აქტიური ურთიერთობები. თანამშრობლობა ნატოსთან, ევროკავშირსა და ეუთოსთან. ამ პერიოდშივე ყალიბდება საქართველოს ფუნქციის კონტურები XXI საუკუნეში, რომელიც შემდგომში გარდაისახა სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში, იყო ეს ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენი, თუ ბაქო-თბილისი-ერზუმის გაზსადენი. ამას თან დაერთო აშშ-თან სტრატეგიული თანამშრობლობა სხვადასხვა სფეროში, ხოლო 90-იანი წლების პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლურ დაგვირგვინებად შეიძლება მივიჩნიოდ 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში მიღება და შემდგომში ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმება.

2008 წლის აგვისტოს ომმა ეს პროცესები შეანელა და ჩვენი საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა არჩევანზე.

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა დიდი პრობლემების წინაშე დგას. აღნიშნული ნაშრომიც გარკვეული ანალიზია ამ პრობლემების და გამოსავალის გარკვეული გზებია დასახული.

პარაგრაფში განხილულია გადასახადების ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიული წინამძღვრები და მეცნიერ-ეკონომისტთა კვლევები გადასახადების არსზე და ფუნქციაზე. საქართველოში გადასახადების მობილიზების ისტორია. გადასახადების თითოეული სახეობის ხვედრითი წილი საერთო შემოსულობებში და აქედან გამომდინარე მათი ცვლილების შესაძლებლობის შესახებ გარკვეული დასკვნები.

ნებისმიერ სახელმწიფოში სახელისუფლებო სტრუქტურები ახორციელებენ ეკონომიკურ პოლიტიკას, ანუ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ეკონომიკის განვითარებისაკენ არის მიმართული. მასში შედის საგადასახადო პოლიტიკაც. მისი უპირველესი მოთხოვნა არის ბიუჯეტის შევსება და ეკონომიკის სტიმულირება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა და შემცირდა გადასახადების განაკვეთები, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მომავალშიც აუცილებელია. ამასთან, საჭიროა საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ, როგორც საზოგადოების, ასევე პოტენციური ინვესტორების სისტემატური ინფორმირება, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს.

საქართველოს კონსტიტუციის 30–ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. რაც სხვა პირობებთან ერთად იმასაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა ისე უნდა მოეწყოს, რომ გადასახადების სახეები და განაკვეთები, საგადასახადო კონტროლი, საგადასახადო დავების გადაწყვეტის წესები და საკითხები გადასახადების გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის ისე უნდა გვარდებოდეს, ამ ურთიერთობამ არათუ ხელი შეუშალოს თავისუფალ მეწარმეობას და კონკურენციის განვითარებას, არამედ პირიქით, ხელი შეუწყოს მას, ისე, რომ

ყველას ვინც მეწარმეობას და, საზოგადოდ, ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა, გამონაკლისის გარეშე, თანაბარ პირობებში მოუწიოს მუშაობა.

2018 წლის ივნისიდან ძალაში შედის განახლებული კანონი მცირე მეწარმეებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მცირე მეწარმის სტატუსით ისარგებლებს მეწარმე, რომელსაც აქვს ჯამური წლიური შემოსავალი 500 000 ლარამდე და თუ მისი ხარჯები აღემატება შემოსავლის 60%-ს, გადაიხდის გადასახადს შემოსავლის 1% ოდენობით. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული გადასახადების აკრების ლიბერალური პოლიტიკის გაატარებისაკენ, მაგრამ არასაკმარისია, რადგან დ.ღ.გ.-ის დაწესება 100 000 ლარი წლიური შემოსავლიდან, მაშინაც კი როცა მიმწოდებლებისგან მეწარმე 15% დღგ-ის ჩათვლას ღებულობს ძალიან ძნელია. მიღებული მოგება იმდენად მცირეა, რომ გარისკვის საშუალებას არ იძლევა.

შევისწავლეთ საქართველოში გადასახადების მოქმედების ისტორია, აქედან ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ: ყველა დროში, როცა სახელმწიფოს ნება იყო გადასახადები აკრებილიყო საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და არ ითვალისწინებდა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, გადასახადის სიდიდე ეწინააღმდეგებოდა განვითარებას და მივყავდით მეურნეობის დაქვეითებისაკენ. საგადასახადო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საკმარისი არ არის გადასახადის არსის, ფორმების და აგების პრინციპის ცოდნა, საჭიროა შემოსავლებსა და გადასახადებს შორის ურთიერთკავშირზე დაკვირვება, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი შედეგები.

მეორე თავში განხილულია ინოვაციური განვითარება და მეცნიერების როლი სამეწარმეო პოტენციალის სრულყოფაში, სამეწარმეო საქმიანობის საინვესტიციო და საკადრო უზრუნველყოფა.

ინოვაციური საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს არა ლოკალურად, არამედ, როგორც სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობის ორგანული ნაწილი და მისი მოღვაწეობის ყველა მიმართულებას კომპლექსურად მოიცავდეს. ინოვაციურ საქმიანობას ტრადიციულთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. ინოვაციური პროექტები ისე იგეგმება, რომ ტრადიციულ საქმიანობასთან შედარებით უფრო მაღალი მომგებიანობა უზრუნველყოს. ინოვაციური საქმიანობა სამეწარმეო

სუბიექტს მოცემულ დარგში მაღალი კონკურენტუნარიანობისა და ლიდერობის მიღწევის შესაძლებლობას უნდა უქმნიდეს; ინოვაციები რეალური და განხორციელებადი უნდა იყოს. ე.ი. სამეწარმეო სუბიექტის წარმოების, ტექნიკის, ტექნოლოგიების, აგრეთვე მენეჯმენტის მიღწეული დონე და ფინანსური პოტენციალი ინოვაციების დანერგვისთვის საკმარისი უნდა იყოს.

ინტერესს იწვევს დიდი და მცირე საწარმოების თანამშრომლობა აუტსორინგის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მსხვილი ფირმა მცირეს გადასცემს წარმოების გარკვეულ ფუნქციას ან ბიზნეს-პროცესს იმ პირობის საუძველზე, თუ მსხვილ ფირმას უფრო ძვირი დაუჯდება მისი წარმოება, ვიდრე მცირეს.

მცირე საწარმოებისათვის მაღალტექნოლოგიური ძირითადი ფონდების უკმარისობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მოწყობილობის ლიზინგით, რომლის საშუალებითაც მცირე საწარმოებს, რომლებსაც საკმარისი სახსრები არ გააჩნიათ მაღალტექნოლოგიური აპარატურის შესყიდვისა და საბანკო რესურსებიც მიუწვდომელია, საშუალება ეძლევათ გამოიყენონ ახალი პროგრესული აპარატურა და ტექნოლოგიები.

მნიშვნელოვანია მთავრობამ ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან განვითარებაში თბილისს, რომელზეც მთლიანი ბიზნესს ბრუნვის 72% მოდის, ხოლო რეგიონებში დანარჩენი 28%. ბიზნეს ბრუნვა თბილისში წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე არის 27 200 ლარი, ხოლო რეგიონში ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 3 700 ლარია. რეგიონული ბიზნესი ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით და კონკურენტუნარიანობით. ამ პრობლემის მოგვარება უნდა იყოს პრიორიტეტული საქართველოს მთავრობის პოლიტიკაში.

ჩვენი ღრმა რწმენით გარდა იმისა, რომ ინვესტიციების ნაკადებს უნდა გაეხსნას გზა რეგიონებისაკენ, ამასთან უნდა ჩამოყალიბდეს ინვესტიციების მართვის სწორი მექანიზმი რეგიონში. რაც მთავარია ინვესტიციების განთავსების პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს რეგიონის მმართველობითი აპარატის მიერ რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კარგი იქნება მუნიციპალიტეტებს დაევალოს მის არეალში არსებული საწარმოების პრობლემების კვლევა და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით განისაზღვროს პრიორიტეტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას. უმჯობესია ჯერ დახმარება მოხდეს იმ სექტორზე, სადაც უფრო ადვილი იქნება მდგომარეობის გამოსწორება და შემდგომ გაზრდილი შემოსავლები მიმართული იქნას სრულყოფილი სამეწარმეო ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ.

ამასთან მნიშვნელოვანია სწორად გათვლილი კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მცირე დანახარჯებით ეფექტურად გავაკონტროლოთ იმ თანხების განკარგვა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის მიზანმიმართულ განვითარებას.

დღეისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოდინებას საქართველოში. დიდი ინვესტიციები ხელს შეუწყობს მრეწველობის განვითარებას, სესხის გაიაფებას და წარმატებული სამეწარმეო გარემოს შექმნას. ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე ასახავს: რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპეტივა.

მდგრადი განვითარების მაქსიმალური ტემპი შეიძლება მიღწეული იქნას იმიტაციური ინვესტიციური ზრდიდან ინოვაციურ ზრდაზე გადასვლის გზით. ჩამოყალიბებული სამეცნიერო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოებისა და განვითარების პროგრამების გაერთიანებით შეიძლება შეიქმნას კეთილსაიმედო გარემო ინოვაციური სექტორის ხვედრითი წილის გაზრდისთვის, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლებელი დაწესებულებები. ძირითადი მაჩვენებელი ინოვციური მოღვაწეობისა შეიძლება იყოს ინვესტიციური მიმზიდველობა. თუ ქვეყანა ხელს არ შეუწყობს მის ტერიტორიაზე გამრავლდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საკონსტრუქტორო ბიუროები, უმაღლესი სკოლები, სამეცნიერო ტექნიკური დანაყოფები, პროფესიული დაწსებულებები, მაშინ ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ბრძოლა ინოვაციური სრულყოფისათვის და შესაბამისად ინვესტიციების მოდინებაც. ინოვაციურ განვითარებას ხელს შეუწყობს ტექნოპარკების, დარგთა შორისი ინფორმაციული ცენტრის, კონსალტინგური

ფირმების შექმნა. კარგი გარემო შეიძლება შექმნას უნივერსიტეტების აქტიურმა ინოვაციურმა მოღვაწეობამ. დაინტერესება შეიძლება გაიზარდოს ინოვაციების კომერციალიზაციის გზით. გაფართოებული ინოვაციური კვლავწარმოების ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს უნდა შეადგენდეს :

- ცოდნის გენერაციის ქვესისტემა, უმთავრესად უმაღლესი სკოლა და ამასთან განათლების და პროფესიული მომზადების სფერო.
- ინოვაციური მომსახურეობის და პროდუქციის წარმოების ქვესისტემა.
- ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც თავის თავში მოიცავს კვლავწარმოების ფინანსურ უზრუნველყოფას.

არაკონკურენტულ საფუძველზე გაცემული საბიუჯეტო რესურსები ხელს უშლის პრიორიტეტულ მიმართულებაში მეცნიერული კვლევების წარმართვას.

უნდა შეიქმნას კვლევების ცენტრი და სუბსიდირებიდან უნდა მოხდეს გადასვლა დაკრედიტებაზე, იმის მიხედვით, თუ როგორ მიდის წინსვლა ინოვაციურ ჯაჭვში.

მესამე თავში განხილულია სამეწარმეო საქმიანობის მხარდამჭერი პროგრამები და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. იგი განიხილავს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობას და ასაბუთებს ასეთი მხარდაჭერის ობიექტურ აუცილებლობას.

პროგრამა	მიზანი
აწარმოე საქართველოში	მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა, სასტუმრო და კინოინდუსტრიის განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარება.
ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურეობის პროგრამა BAS	საწარმოების პროფესიული საკონსულტაციო მომსახურეობა(ბიზნეს დაგეგმვა,კვლევები, მარკეტინგული დაგეგმვა, საბუღალტრო სისტემების დანერგვა, მართვის საინფორმაციო სისტემები)
ქალ მეწარმეთა განვითარების პროგრამა	ქალ მეწარმეთა მხარდაჭერა და წახალისება.
გადამამუშავებელ საწარმოთა მხარდამჭერი პროგრამა	ქართველ მწარმოებლების და გადამამუშავებლების დახმარება საექსპორტო გაყიდვების გაზრდაში.

CHF საერთაშორისო	პოზიტიური და გრძელვადიანი ცვლილებების განხორციელება საცხოვრებელი გარემოს და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში. უკეთესი მსოფლიოს მშენებლობა
დაიწყე ბიზნესი მერიის დახმარებით	კონსულტაციები, ტრენინგები ბიზნესუნარების შეძენისათვის. დაფინანსების მხარდაჭერა თბილისის მასშტაბით.
იაფი სესხი	ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების, რეგიონული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ხალხური რეწვის განვითარების ხელშეწყობა.
100 ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმო	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და აგრობიზნესის განვითარება.

მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროს, როგორც შეძლებისდაგვარად ფართო სტატისტიკის, ასევე, მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების არსებობა, რომელიც მორგებულია და ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს და ამასთან, შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან. მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტება, რომელიც ამჟამად გამოიყენება საქსტატის მიერ ბიზნეს სტატისტიკის შეგროვებისთვის, შემუშავებულია 2002 წელს და ითვალისწინებს საწარმოთა ბრუნვას და დასაქმებულთა რაოდენობას. ეს განმარტება შეესაბამება ევროკავშირის განმარტებას, გარდა კრიტერიუმების დადგენილი ზღვრებისა და ასევე საწარმოს ბალანსისა (რომელიც ასევე მიიღება მხედველობაში). მნიშვნელოვანია განმარტების განახლება, რომელშიც, კრიტერიუმების ზღვრები დაეფუძნება ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის და შესაბამისად - კომპანიების განვითარების მაჩვენებლებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2016)), მცირე და საშუალო საწარმოებს ამ ეტაპზე არ აქვთ ვალდებულება ანგარიშგება აწარმოონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) მიხედვით. ამავე დროს, ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება ქვეყნის კანონმდებლობა დააახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას ბუღალტრული

აღრიცხვის სფეროშიც. ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაზრდის კომპანიების ანგარიშგების გამჭვირვალობას და ასევე, მათ შესაძლებლობებს, უფრო მარტივად შეიძინონ ბიზნეს-პარტნიორები და მოიზიდონ დამატებითი ფინანსური რესურსი. მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაძლებლობები, აწარმოონ ფინანსური ანგარიშგება IFRS for SMEs-ის მიხედვით შეზღუდულია, რაც აფერხებს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას და შესაბამისად - კომპანიების ზრდას და განვითარებას.

მეწარმეებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა გრანტებზე, ვინაიდან კომპანიები (მათ შორის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ინდ. მეწარმე და ა.შ.) არ შეიძლება იყვნენ გრანტის ბენეფიციარები, რაც ქმნის დაბრკოლებას ალტერნატიული დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით. აღნიშნული შეზღუდვა ასევე პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით და ზღუდავს კომპანიებში, როგორც ინოვაციების განხორციელებას აგრეთვე კვლევისა და განვითარების (R&D) შესაძლებლობებს. ფინანსური განათლების ამაღლება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო კომპანიების შესაძლებლობების ზრდას, უკეთესად დაგეგმონ ბიზნესი, მოიზიდონ და ეფექტიანად გამოიყენონ ფინანსური რესურსები. ფინანსური განათლების გაუმჯობესება ასევე შეუწყობს ხელს მეწარმეთა მიერ ფინანსურ ბაზარზე არსებული მოთხოვნების, პროდუქტებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას და შესაბამისად - ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას კომპანიის განვითარებისთვის.

თავი1. სამეწარმეო საქმიანობა და მისი განვითარების თავისებურებები

1.1. სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ისტორიული წანამძღვრები

განვითარება საზოგადოების არსებობის თანამდევი პროცესია. წარმოების არსებობა დაკავშირებულია მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი წარმოების განვითარების ხარისხის პირდაპირ პროპორციულია: გაზრდილი მოთხოვნილებები წარმოების განვითარების სტიმულია. ამ პროცესში ერთმანეთს ორი მხარე უკავშირდება: მოთხოვნილებების და შესაძლებლობების. მოთხოვნილებები თითქმის უსაზღვროა, ხოლო რესურსები შეზღუდული. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი ძირითადად განისაზღვრება საზოგადოების განვითარების დონით, რომელიც განაპირობებს ოპტიმალურ არჩევანს.

მიგვაჩნია, რომ საზოგადოების განვითარება ხასიათდება არა მხოლოდ განვითარებული ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევებით, არამედ წარმოების პროცესის ბიბლიური მცნებების შესაბამისად მართვით. უფლის მიერ დაწესებული კანონების ერთობლიობა, რომელიც შეეხება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს, ასევე მოგების ნორმის განაკვეთს, მევახშეობას, ბიზნესში მორალური პრინციპების დამკვიდრებას, მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების თანაბარზომიერ განვითარებას, რაც საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას საზოგადოების ცალკეულ ფენებს შორის დაპირისპირება და შემოსავლები მიმართული იქნას არა დაპირისპირების განსამუხტად, არამედ შემდგომი განვითარებისათვის.

წარმოება შრომის პროცესია ანუ ბუნების საგნების გარდაქმნაა ადამიანისათვის. საზოგადოებრივი წარმოება ორი დაპირისპირებული მხარის-მატერიალური დოვლათისა და სულიერ ფასეულობათა წარმოების ერთიანობაა.

სამეწარმეო საქმიანობის განვითარება ყველაზე უფრო გამოკვეთილია კაპიტალიზმის ეპოქაში.

მეწარმეობის შესახებ საკუთარი შეხედულებები პოლიტიკური ეკონომიის ოპტიმისტური სკოლის წარმომადგენელმა ჟან-ბატისტ სეიმ (1767-1832) გადმოგვცა

ნაშრომებში ''პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი"(1880)[85,გვ.25] და „პოლიტიკური ეკონომიის კატეხიზისი" (1817)[86, გვ. 9]. სეი გამოდიოდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ და მოითხოვდა მრეწველობის და ვაჭრობის თავისუფალ განვითარებას, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას.[2, გვ. 42] მან ჩამოაყალიბა 3 ფაქტორის თეორია და აღნიშნა, რომ ღირებულების შექმნაში მონაწილეობს 3 ფაქტორი: შრომა, მიწა და კაპიტალი. კრიზისები სეისათვის დროებითი, გარდამავალი მოვლენაა. სეის აზრით წარმოება სასარგებლოს შექმნას ნიშნავს, რომელსაც შეუძლია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სეის კონცეფციამ განვითარება ჰპოვა ალფრედ მარშალის (1842-1924) ისეთ შრომებში, როგორიცაა „ეკონომიკის პრინციპები"(1890).[78, გვ. 10] მარშალმა წარმოების კლასიკურ ფაქტორებს დაამატა მეოთხე ფაქტორი-ორგანიზაცია. მან განიხილა ინდივიდუალური კვლავწარმოების მოდელი ფაქტორთა კომბინაციების ცვლილებით. ამით იქმნებოდა არჩევანი ფაქტორთა უფრო სრულყოფილი კომბინაციის შესარჩევად.

კლასიკოსთა შეხედულებები მეწარმეობის მარქსისტული კონცეფციის ერთ-ერთი ამოსავალი პუნქტი გახდა. კარლ მარქსი (1818-1883)[14, გვ 21] მეწარმეებში მხოლოდ კაპიტალისტს ხედავდა, რომელიც თავის კაპიტალს საკუთარ საწარმოში აბანდებს და დაქირავებული მუშების მიერ პროდუქციის ღირებულებასა და მათთვის გადახდილ ხელფასს შორის განსხვავებაში მოგება გააჩნია.

მეწარმეობის მეცნიერული გააზრების თავისებური ხედვა წარმოაჩინა ავსტრიელმა ეკონომისტმა ი.შუმპეტერმა (1883-1950).[88, გვ 91-92] მის ძირითად ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია", მეწარმე აღიქმება, როგორც განვითარების მთავარი მამოძრავებელი. მისი ორგანიზატორული უნარი, ინტუიცია, რისკის გაწევის შესაძლებლობები, აძლევს ეკონომიკას სრულყოფის სტიმულს.

წინააღმდეგობების დასაძლევად მეწარმე იძულებულია დანერგოს სიახლეები. საბოლოო ჯამში, სწორედ ინოვაციური პროცესი განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის პროგრესს. შუმპეტერის დამსახურებაა, რომ ეკონომიკურ თეორიაში სეის სამფაქტორიანი მეწარმეობის მოდელს (შრომა, მიწა, კაპიტალი), კიდევ ერთი

ფაქტორი დაემატა. ეს არის სამეწარმეო უნარი. ამ დროიდან მოგება განიხილება, როგორც მეწარმის შემოსავალი. [56, გვ. 12]

შუმპეტერის მეწარმეობის ინოვაციურობის თეორია ეფუძნება „შემოქმედებითი ნგრევის პროცესს“, რაც ეკონომიკის განვითარების წინაპირობაა. იგი უზრუნველყოფს ახალი სამეწარმეო ფუნქციის შექმნას, რომლისთვისაც წარმოების ფაქტორთა შერწყმა ახალი კომბინაციებით არის დახასიათებული. კომბინირების პროცესში შუმპეტერი განიხილავს 5 შემთხვევას:

1. უცნობი დოვლათის ან არსებულის ახალი ხარისხის შექმნა;

2. კვლავწარმოების ახალი ხერხის დანერგვისას დასაშვებია ინოვაცია როგორც წარმოების სფეროში, ისე კომერციულ საქმიანობაშიც;

3. ახალი ბაზრების ან ბაზრების ახალი სეგმენტების ათვისება;

4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის ახალი წყაროს გამოძებნა;

5. შრომის ორგანიზების ახალი მეთოდების დანერგვა. [95, გვ. 23]

ამერიკელი მკვლევარების რ. ხიზრიჩისა და მ. პიტერსის აზრით, მეწარმეობა არის პროცესი შეიქმნას რამე ახალი, ღირებული, ხოლო მეწარმე ის ადამიანია, რომელიც ამისთვის მთელ დროს და ძალას ხარჯავს, საკუთარ თავზე იღებს ფინანსურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რისკებს, ხოლო ჯილდოდ - ფულს და სიამოვნებას მიღწეულის გამო. [50, გვ. 9]

პროფესორ ი. მესხიას მიხედვით „ბიზნესი არის დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემურ მიღებაზე ქონების გამოყენების, საქონლის გაყიდვის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურეობის გაწევის გზით იმ პირების მიერ, რომლებიც დარეგისტრირებული არიან დადგენილი წესის თანახმად.“ [16, გვ. 21]

პროფესორები გ. ადეიშვილი და რ. ასათიანი მიიჩნევენ, რომ მეწარმეობა ცალკეული სუბიექტის ან სუბიექტთა ჯგუფის დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომლის მიზანია მატერიალური დოვლათის, ინტელექტის, ფასიანი მომსახურეობის წარმოება და რეალიზაციაა და ამის შედეგად განსაზღვრული მოგების მიღება. [1, გვ. 132]

კაპიტალიზმის განვითარებაში გამოიყოფა ტექნოლოგიური წარმოების წესები, რომლებიც ახასიათებენ იმ ტექნოლოგიურ ურთიერთობას, რომლებიც ყალიბდება საწარმოო ძალების განვითარების სფეროში. იგი მოიცავს:

- საწარმოო ურთიერთობების ხასიათით (შრომის ტექნიკური დანაწილებით) განპირობებულ ადამიანთა ურთიერთობებს წარმოების პროცესში;
- ფუნქციონალურ ურთიერთობას ადამიანსა და შრომის საშუალებებს (კერძოდ შრომის ტექნიკურ საშუალებებს) შორის;
- ადამიანსა და შრომის საგნებს შორის. როგორც წესი, შრომის ელემენტების ცვლილება ცვლის ტექნოლოგიური წარმოების წესებს.

ტექნიკის აღმოცენებასთან დაკავშირებით ტექნიკურ საშუალებებსა და ადამიანებს შორის მყარდება გარკვეული კავშირი, რომლის დროსაც ტექნოლოგიური ფუნქციების დიდი უმეტესობა მოდის ადამიანზე, რადგან ადამიანია ცენტრი და საფუძველი სისტემისა-„ადამიანი-ტექნიკა."

ტექნოლოგიური წარმოების წესებიდან გამოიყოფა: მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა და მანქანური წარმოება ანუ კაპიტალისტური ფაბრიკა. ხელოსნობას გზა გაუხსნა შრომის დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ. ფეოდალიზმის დროს იგი საკმაოდ განვითარდა, ფეოდალიზმის დაშლის პერიოდში აღმოცენდა მარტივ კაპიტალისტურ ურთიერთობებზე დამყარებული კოოპერაცია-ხელის შრომასა და პრიმიტიულ ტექნიკაზე დამყარებული ერთ კაცს დამორჩილებული ხელოსნური ორგანიზაცია. მარტივმა კოოპერაციამ შეცვალა ამქრული წარმოება, რის შედეგადაც კოოპერაციამ დიდი უპირატესობა მოიპოვა, შეიქმნა ახალი საწარმოო ძალა, რომლის შედეგებსაც ითვისებდა კოოპერაციის ხელმძღვანელი. კოოპერაციამ ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობების გაღრმავებას, სავაჭრო და სავახშო ურთიერთობების კაპიტალისტურად გარდაქმნას. კოოპერაციამ გააღრმავა საზოგადოების ქონებრივი დიფერენცია. [79, გვ. 9]

ტექნოლოგიური წარმოებიდან უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების მანუფაქტურული პერიოდი. [74, გვ.22-36,951-88] იგი ევროპაში მოიცავს დაახლებით XVI საუკუნის მეორე ნახევარს და XVIII საუკუნეს. მანუფაქტურული პერიოდი ერთგვარი საფეხურია ხელის შრომიდან მანქანურ

შრომაზე (ფაბრიკაზე) გადასვლისათვის. მანუფაქტურა საწარმოში შრომის რაციონალურ დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაციაა, რომელიც შრომის ნაყოფიერებას და ინტენსივობას ზრდის. შრომის მანუფაქტურული დანაწილება ადამ სმიტმა [89, გვ. 21] შეისწავლა და დადებითად შეაფასა. მანუფაქტურამ განამტკიცა შრომის კაპიტალისტური დისციპლინა და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა შრომის კაპიტალიზმისადმი რეალურ დამორჩილებისაკენ.

მანუფაქტურამ მოამზადა პირობები მანქანური წარმოების-კაპიტალისტური ფაბრიკის აღმოცენებისათვის: 1. მან შექმნა მუშა, რომელსაც კაპიტალისტური კოოპერაციის გარეშე შრომის განივთება არ შეუძლია; 2. წარმოების ოპერაციების მარტივ ელემენტებად დანაწილებამ და სპეციალიზებული შრომის იარაღების წარმოშობამ გააიოლა და აუცილებელი გახდა მანქანის აღმოცენება.

მანქანური წარმოება საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ისტორიული საფეხურია, რომელიც ემყარება შრომის იარაღების სახით მანქანების გამოყენებას. მანქანურმა წარმოებამ შეცვალა წვრილი, დაქუცმაცებული, ხელის ტექნიკაზე დამყარებული ფეოდალური ეპოქის ხელოსნური წარმოება და მანუფაქტურული სახელოსნოები გარდაქმნა კაპიტალისტურ ფაბრიკებად. მანუფაქტურული სტადიიდან მსხვილ მრეწველობაზე გადასვლა ნამდვილი სამრეწველო რევოლუცია იყო, პირველი სამრეწველო რევოლუცია, რომელიც შეეხო საწარმოო ძალებს და წარმოებით ურთიერთობებსაც, საზოგადოებრივი წარმოების ყველა სტრუქტურულ რგოლს. [83, გვ. 414-443]

მე-19 საუკუნის 30-40-ან წლებში საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების აღორძინებას. ამას განაპირობებდა უცხოეთიდან შემოტანილი გაუმჯობესებული მანქანა იარაღები, უცხოელი სპეციალისტების დაქირავება და მათ მიერ ადგილობრივი კადრების მომზადება. საქართველოში ყალიბდებოდა კაპიტალისტურ ყაიდაზე მოწყობილი მანუფაქტურული საწარმოები. ამ პერიოდისათვის (1844-1845წ.წ.) თბილისში ხელოსანთა რიცხვი უკვე 1926 კაცს შეადგენდა (მოსახლეობის 6,4%) [55, გვ. 11]

კაპიტალისტური საკუთრების ბაზაზე აღმოცენდა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობები. ეს ძირითადად არის დაქირავებულისა და დამქირავებლის ურთიერთობები და ასეთად გვევლინება კაპიტალისტური საზოგადოების არსებობის მთელ მანძილზე. იგი ცივილიზებული საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია. კაპიტალიზმის საწარმოო ძალების განვითარებამ, შესაძლებელი გახადა საწარმოო ძალების მკვეთრი განვითარება. ამის შედეგად ძირეულად შეიცვალა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობები: წინა პლანზე წამოიწია ადამიანმა და მისმა მოთხოვნილებებმა.

კაპიტალიზმის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ორი მნიშვნელოვანი საფეხური: მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმი და მონოპოლისტური კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის აღნიშნულ ორ საფეხურს საერთო საფუძველი აქვს - კერძო საკუთრება. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის გადაზრდა მონოპოლისტურში კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერი პროცესების შედეგია. მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ანუ თანამედროვე კაპიტალიზმი არის ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი საფეხური, ცივილიზაციის მაღალი დონე. [92, გვ. 11-21]

თუ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისისთვის, პირველ სამრეწველო რევოლუციამდე, ტექნიკური პროგრესის საფუძველი ხელით შრომის იარაღების განვითარება იყო, ამ რევოლუციის შედეგად საწარმოო ძალების განვითარების საყოველთაო მაჩვენებლად მანქანური ტექნიკის სრულყოფა გადაიქცა.

ტექნიკური პროგრესის სივრცისეული განვითარება მიემართება საწარმოს ცალკეული უბნების ნაწილობრივი მექანიზაციიდან კომპლექსური მექანიზაციისაკენ, მისი ნაწილობრივი ავტომატიზაციიდან-კომპლექსური ავტომატიზაციისაკენ, აქედან კი მისი სრული ავტომატიზაციისაკენ და რობოტიზაციისაკენ.

ცნობილმა ავსტრიელმა ეკონომისტმა, ნობელიანტმა ფ.ჰაიეკმა (1899-1992) ჩამოაყალიბა თავისუფალი მეწარმეობის წახალისების კონცეფცია. [70, გვ. 107] იგი მეწარმეობას განიხილავდა, როგორც ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ძიებას. ის თვლიდა, რომ მეწარმეს გააჩნია განსაკუთრებული მისწრაფება იპოვოს მოგების

მიღების შესაძლებლობა. ის ებმება კონკურენტულ ბრძოლაში და დიდი შორსმჭვრეტელობის, ნიჭის და მონდომების საშუალებით გამოდის ამ ბრძოლიდან გამარჯვებული. მეწარმეობა მეტია, ვიდრე საბაზრო პროფესია, ხოლო ბიზნესი გაცილებით ფართოა ვიდრე მეწარმეობა: „თავისუფალი ადამიანების სპონტანური თანამშრომლ;ობა ხშირად უფრო დიდი შედეგების მომტანია, ვიდრე მათ ინდივიდუალურ ნებათა შერწყმა რაიმეს მისაღწევად“ [94, გვ. 54]

დღეისათვის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებაში 4 ეტაპს განასხვავებენ. პირველმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ ორთქლის ძალის გამოყენებით კუნთი მანქანით ჩაანაცვლა. მეორეს ელექტროენერგია და მე-19 საუკუნიდან მოყოლებული გამოგონებათა ტალღა, მათ შორის - შიგაწვის ძრავა, თვითმფრინავი და კინოსურათების ამოძრავება მოჰყვა. მესამე რევოლუცია 1960-იან წლებში დაიწყო და მთლიანად ციფრულ ტექნოლოგიაზე, პერსონალურ კომპიუტერებსა და ინტერნეტის განვითარებაზე იყო დაფუძნებული. მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას ინოვაციათა ახალი ტალღა შექმნის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: თვითმავალი მანქანები, ჭკვიანი რობოტები, მსუბუქი და გამძლე მასალები, 3D-ში ბეჭდვის ტექნოლოგია. [69, გვ. 21]

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა აღმშენებლობისაკენ, მეცნიერული კვლევებისა და სიახლეების შეცნობისაკენ სწრაფვით. ამის უდაო მაგალითია თუნდაც „ოქროს საწმისის“ ლეგენდა, კოლხთა მეფე აიეტი ფლობს ტექნოლოგიურ ნოვაციას - ოქროს საწმისს, რომელიც ბერძნების ცხოველი ინტერესის სფერო იყო. მითი ასევე ასახავს კარგად განვითარებულ მეტალურგიას, კარტოგრაფიას, ზღვაოსნობას (კირბები) და მედიცინის მაღალ დონე .[7, გვ 162; 58, გვ. 178]

ნახ. 1.1.1.

ინდუსტრიული რევოლუციები

რევოლუცია		წელი	რა მოხდა
1		1784	ორთქლი, წყალი, მექანიკური საწარმოო მოწყობილობები
2		1870	სამუშაოს განაწილება, ელექტრობა, მასობრივი წარმოება
3		1969	ელექტრონიკა, IT, წარმოების ავტომატიზირება
4		?	კიბერ-ფიზიკური სისტემები

საქართველოსთვის საკვანძო მომენტად მიჩნეულია IV საუკუნე, ქრისტიანობის განმტკიცების ხანა. ამ რელიგიამ მთლიანად შეცვალა საქართველოს ბედი. ის შემოვიდა ყველგან: კულტურაში, ხელოვნებაში, ცხოვრების წესში და სააზროვნო სისტემაში. [52,გვ.12-13] ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ წითელი ხაზი გაავლო აღმოსავლეთთან და გაემიჯნა ჯერ მაზდეანობას, შემდეგ კი ისლამს. ამის ნათელი დადასტურებაა ვახტანგ გორგასალის პოლიტიკა, რომელიც, მიუხედავად სიძნელეებისა, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოლიტიკურ ორბიტაში ცდილობდა დამკვიდრებას. [52, გვ.21] მეფე სპარსეთის დახმარებით ეშურებოდა თავისი ძალაუფლების გაზრდას და ქვეყნის ტერიტორიის გაფართოება-ცენტრალიზაციას, მაგრამ ეს სტრატეგიული მიზნისაკენ მიმავალ ტაქტიკურ ნაბიჯად მიაჩნდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ბიზანტიური სივრცის ნაწილად ექცია ქვეყანა.

VIII საუკუნეში, ქართლში განსაკუთრებით გაძლიერდა არაბთა ბატონობა. ამ ვითარებას კარგად აღწერს იოანე საბანისძე და ყურადღებას ამახვილებს ქართლის ადგილსა და ფუნქციაზე რეგიონში, რითაც ხაზს უსვამს მის განუყოფლობას ბიზანტიისგან, დაზუსტებით კი ქრისტიანული სამყაროსაგან. “რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა . . . არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისა მიერი მოიპოვების, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკვიდრთა” [29, გვ, 447]

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან განსაკუთრებით გახშირდა კავშირები კათოლიკურ სასულიერო ორდენებთან, კერძოდ დომინიკანელებთან და ფრანცისკანელებთან, ხოლო XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის ზეობისას ეს ურთიერთობები ახალ საფეხურზე ავიდა. ამის მიზეზი იყო ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერება, რამაც კათოლიკეებს უბიძგა სმირნადან საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოეტანათ, ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო და რეგიონულ პოლიტიკაში. ვენეციისა და გენუის მიერ, საერთაშორისო ვაჭრობაში უმთავრესი კონკურენტის ბიზანტიის, დასუსტება-ჩამოშორებამ შავი ზღვის ფუნქციის გაზრდა გამოიწვია. იგი იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებულ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩაერთო. ამას მოჰყვა გენუელების მიერ სავაჭრო ფაქტორიების დაარსება შავი ზღვის სანაპიროს ქართულ ნაწილში (ბათუმი – ლო ვატი, ფოთი - ფასო, სოხუმი - ცხუმი). [51, გვ. 116]

ევროპასთან ურთიერთობისას საბედისწერო მომენტი დადგა 1453 წელს, როდესაც დაეცა კონსტანტინოპოლი. [53, გვ. 27-35] ბიზანტიის იმპერიის დამხობით ჩაიკეტა პირდაპირი გზა დასავლეთისაკენ და ქვეყანა აგრესიული მუსულმანური ქვეყნების რკალში მოექცა: “ეს ის ხანა იყო, როცა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიილტვოდნენ. ინგლისში ვარდების ომის შემდეგ 1485 წელს ტიუდორთა ტრუიმფალური აღზევება მოხდა. საფრანგეთში ლუდოვიკო XI ულმობლად მოსპო ფეოდალური თვითნებობის ნაშთები. დიდი მთავრები ივანე დიდი და ვასილი ერთიმეორეს მიყოლებით ნთქავდნენ მოსკოვის დამოუკიდებელ სამთავროებსა და თავისუფალ ქალაქებს და ახალ რუსეთს უყრიდნენ საძირკველს. ბოსფორზე თურქი სულთნები ახალ იმპერიას აშენებდნენ, რომელიც მრისხანედ იდგა ცალი ფეხით აღმოსავლეთში და მეორეთი დასავლეთში. სპარსეთში შაჰ-ისმაილ საფავიმ ახალ ეროვნულ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი და გზა მისცა თავისი ხალხის რელიგიურ და პატრიოტულ აღტკინებას. მაგრამ რენესანსული ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ და ქანცგამოლეულ საქართველოში საათის ისრები უკან მიდიოდა და არა წინ”. [12, გვ 32]

მნიშვნელოვანია ბექა და აღბუღას სამართლის წიგნი, რომელიც XIII-XIV საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას ასახავს. მასში კარგად ჩანს ფეოდალისა და ყმა გლეხის უფლება მოვალეობანი. ამ პერიოდში ყმა გლეხის მრავალი კატეგორია არსებობდა, შესაბამისად მრავალგვარი იყო ბეგარისა და ღალის სახეობა. ხელოსნობაც და ვაჭრობაც მაღალ დონეზე იდგა. [24, გვ. 77-80] საინტერესოა ბექასა და აღბუღას საპროცენტო განაკვეთთან დამოკიდებულება. ისინი თვლიდნენ, რომ მაღალი პროცენტით გაცემული სესხი ხელს უწყობს საზოგადოების ფენების დაცილებას და იწვევს დაპირისპირებას მათ შორის.

საქართველოში ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1725) - ცნობილმა ქართველმა მწერალმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ. [13, გვ. 22] მან ჯერ კიდევ XVII საუკუნეში უარყო მერკანტილისტური მსოფლმხედველობა იმასთან დაკავშირებით რომ ღირებულება ვაჭრობაში იქმნებოდა. მან აღნიშნა, რომ ქვეყნის სიმდიდრის საფუძველს განვითარებული სოფლის მეურნეობა ქმნიდა. [25, გვ. 36]

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისაკენ სწრაფვას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ (1716-1724). [44, გვ. 22] მან დაიწყო სავაჭრო მიმოსვლის გზების მშენებლობა, მეურნეობის მოწესრიგება და გაფართოება, სახელმწიფო მოხელეთა მოვალეობებისა და უფლებების განსაზღვრა, საფუძველი ჩაუყარა დაბეგვრის სისტემას, სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკას, საირიგაციო სისტემების შექმნას, მტრის შემოსევებისაგან გადაბუგული ტერიტორიების დასახლებას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ხელოსნობის განვითარებას, გამოცოცხლდა მშენებლობა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ქვეყნის შიგნით განვითარდა ვაჭრობა, რამაც ხელი შეუწყო ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებას. მოიჭრა ქართული მონეტა. [15, გვ. 168]

XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან იქმნება შესაძლებლობა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და ქვეყნის ფეოდალურ დაქუცმაცებას თანდათან ბოლო ეღება. სამეურნეო განვითარებამ ერთმანეთს დაუკავშირა საქართველოს ცალკეული მხარეები და საერთო ეკონომიკურ ორბიტაში მოაქცია წინათ განკერძოებული სამთავროები. ქალაქების ზრდა და ცხოვრების ევროპული ფორმების დანერგვა,

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები ძირს უთხრიდა ფეოდალურ-პატრიარქალურ წესებს. ამრიგად XIX საუკუნის I ნახევარშივე შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების გეზი.

XX საუკუნის დასაწყისი მსოფლიოში ხასიათდებოდა საზოგადოებრივი განვითარების ორი განსხვავებული იდეის დაპირისპირებით. კაპიტალისტური საზოგადოება აღიარებდა საკუთრების მხოლოდ კერძო ფორმას და დიდ იმედებს ამყარებდა კერძო მესაკუთრეებს შორის ურთიერთობების საბაზრო დარეგულირებაზე. სოციალისტური საზოგადოება აღიარებდა საერთო სახელმწიფოებრივ საკუთრებას და წარმოების პროცესების მართვის ერთიან გეგმიურ სისტემას.

საქართველოს თანამდროვე განვითარების განსაკუთრებული ხედვა ჰქონდა დიდ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს (1843-1928). ძალიან დიდია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი საქართველოს განვითარებაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX დასაწყისში. ნიკო ნიკოლაძეს პოლიტიკური ეკონომია მიაჩნდა ისეთ მეცნიერებად, რომელიც იკვლევს თუ რარიგად გროვდება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზეა დამოკიდებული ხალხის კარგი ან ავი მდგომარეობა. [21, გვ. 337]

ნიკო ნიკოლაძეს ეკონომიკის ამოცანად აწმყოს ეკონომიკურ მოვლენათა აღწერა და სტატისტიკური დალაგება კი არ მიაჩნდა, არამედ მოცემული სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ანალიზის საფუძველზე ეკონომიკური პროცესების დინამიკის ჩვენება და რაც მთავარია, მომავლის განვითარების წინასწარ ხედვა. „როგორც ავადმყოფისთვის“ -წერდა იგი „ნაპოვნია სხვადასხვაგვარი საშუალება, რომლის ძალით ავადმყოფობა წაღმა ხან უკუღმა ბრუნდება და ავადმყოფი კარგი მოვლით და ექიმობით რჩება ან უფრო დიდხანს ცხოვრობს, ისე ეკონომიკური ცხოვრებისთვისაც მოძებნილი და გამოკვლეულია სხვადასხვაგვარი საშვალებები გაჭირებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად. ერთხელ და ორჯერ კი არ მომხდარა მარტო რომ ჩვენ საზოგადოებაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ხალხი ჩინებულად გამოსულიყოს თავის გაჭირვებისაგან და შემდგომში შესანიშნავი ძალა და შეძლება შეეძინოს. ჩვენი საზოგადოება უნდა დაეკითხოს ნამდვილ ექიმს, რომელსაც მისი მოვლა და შველა შეეძლება, ეს ექიმი მეცნიერებაა, რომელსაც მიზნად საზოგადოების

განწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს და სახელად „პოლიტიკური ეკონომიკა“ ჰქვია. [46, გვ 12; 21, გვ. 405]

ნიკო ნიკოლაძემ პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია რაც მთლიანად შეესაბამებოდა და ახლაც შეესაბამება საქართველოს განვითარების მოთხოვნებს. იგი პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ცივილიზებული ბიზნესის და ვაჭრობის პროპაგანდა და მისი განხორციელება დაიწყო, რაც მაშინ ერის შინაგანი გაერთიანების გზაზე(რელიგიის შემდეგ) აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას მოასწავებდა, ისევე როგორც წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღორძინება. [45, გვ10; 23, გვ. 497]

ნიკო ნიკოლაძემ უდიდესი შრომა გასწია ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ათვისებისა და ქუთაისი ტყიბულის რკინიგზის მონაკვეთის გასაყვანად, ჭიათურის მანგანუმის წარმოების სამრეწველო და საექსპორტო დონეზე დასაყენებლად. შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო ხაზის გასაყვანად. [23, გვ, 279]

ნიკო ნიკოლაძემ 1918 წელს გერმანელ დიპლომატებთან საუბარში წამოაყენა ევროპის აზიასთან ვაჭრობის უმოკლეს მარშუტზე-საქრთველოზე გატარების იდეა (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რამაც დღეს ხორცი შეისხა ევრაზიული დერეფნის და აბრეშუმის გზის სახელწოდებით. [22, გვ. 173] ის გამუდმებით ფიქრობდა ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და საზღვარგარეთ გატანის საქმეზე, რკინიგზებისა და ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობაზე. აუცილებელი იყო რევოლუცია ეკონომიკურ წეს-წყობაში, რევოლუცია ფინანსებში, მრეწველობაში. [47, გვ. 7]

დიდი წვლილი მიუძღვნის საქართველოს მეურნეობის აღორძინებაში დიდ ქართველ მწერალსა და მოაზროვნეს ილია ჭავჭავაძეს (1837-1907).

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის შესწავლისა და ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა გაანალიზების შემდეგ, ილიამ დაასაბუთა სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარების როლი და აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში. ილიამ სოფლის მეურნეობა გაიხადა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამის ეკონომიკურ საძირკველად-„ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედებაა

ყოველგვარი, იმიტომ რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას.“ ილიას სწამდა, რომ „ჩვენ ქართველები პურისა და ღვინის ქვეყნიდანა ვართ.“ [11]

ერის მოძღვარი უმდაბლესი და უმაღლესი სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ერის განმანათლებელი ცდილობდა ევროპული გამოცდილების მაგალითზე ჩვენშიც დანერგილიყო ამხანაგობათა (კოპერატივების) ჩამოყალიბების ტენდენცია.

დარგის პრობლემებზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე გამოყოფდა საქართველოში მრავალდარგოვანი, ფართოდ სპეციალიზირებული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობას. ილიას აზრით, დარგობრივ სპეციალიზაციას უნდა ეპასუხა საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებებისათვის.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაწყებულმა სარკინიგზო მშენებლობამ კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის კაპიტალისტური განვითარების პროცესი. რკინიგზის ქსელის ზრდამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საქართველოს სამთამადნო მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებაზე. საქართველოდან როგორც რუსეთს, ისე საზღვარგარეთის ბაზარზე დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქტები. სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის განუხრელმა განვითარებამ და საგარეო ვაჭრობის განვითარებამ, საქართველო მოაქცია რუსეთის საერთო ბაზარში, რითაც თანდათან დაიწყო რუსეთის განაპირა რაიონების ეკონომიკური დონის მიახლოება შიდა რაიონებთან. სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სოფლის მოსახლეობის ქალაქთან დაახლოებას. ამასთან ერთად რუსეთის კაპიტალიზმი საქართველოს თავის ბრჭყალებში ითრევდა და მას გასაღების ბაზრად აქცევდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან შეიქმნა დიდი კაპიტალისტური საწარმოები. თბილისსა და ბათუმში ვითარდებდა ლითონდამმუშავებელი და თუჯის ჩამომსხმელი საწარმოები, აგრეთვე ფართოდ ვითარდება ხე-ტყის, ღვინის, სპირტიანი სასმელების მწარმოებელი და სხვა მრავალი დარგი. ამრიგად, საგლეხო

რეფორმით ბატონყმობის გაუქმებამ, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე.

კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოითხოვდა მტკიცე ფულის მიმოქცევას, რაც შეუძლებელი იყო ოქროს მონომენტალიზმზე გადაუსვლელად. ოქროს მონომენტალიზმი ისეთი საშუალება იყო, რომელზეც თავის დროზე, კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი სხვა სახელმწიფოებიც გადავიდნენ. საქართველოში მემამულეებს ფული სჭირდებოდათ, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება გირაოდ ჩაედოთ ვაჭარ-მევახშეებისათვის. სესხად აღებული ფულის გადახდა მემამულეებს აღარ შეეძლოთ, რის გამოც მათი სიმდიდრე მევახშეების ხელში გადადიოდა.

1810 წელს შეიქმნა საკრედიტო დაწესებულება. XIX საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეთა აზრით, საკრედიტო დაწესებულებას იმდენად ექმნებოდა მნიშვნელობა, რამდენადაც ის თავადაზნაურობას მევახშეს კლანჭებს დააშორებდა და ხელს შუწყობდა იაფი კრედიტის მეშვეობით სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას.მაგრამ ასეთი საკრედიტო დაწესებულების დაარსებას კაპიტალი სჭირდებოდა, საჭირო იყო სახსრების მონახვა საიპოტეკო ბანკის შესაქმნელად, მაგრამ თავად აზნაურობას არ სურდა საგლეხო რეფორმით მიღწეული ფული ბანკში დაებანდებინა. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა აზრით, ისეთი პირები უნდა გამოჩენილიყვნენ რომლებიც დაამუშავებდნენ ბანკის პროექტს, თავადაზნაურობას კი შეაგნებინებდნენ და დაიყოლიებდნენ გამოეყოთ თანხები აღნიშნული ღონისძიებისთვის. ბანკის შექმნის საქმეს სათავეში ჩაუდგა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი დ.ყიფიანი, ის იყო პირველი ქართველი მოღვაწე რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აზრთა ჭიდილს საბანკო საქმის წინ წასაწევად. ყიფიანი თავადაზნაურობის იდეოლოგი იყო და ამდენად სწამდა, რომ საადგილმამულო ბანკის დაარსებით მემამულეები თავს დააღწევდნენ მოახლოებულ დაღუპვას. ის მოუწოდებდა თავადაზნაურობას, რათა მთავრობის მიერ საგლეხო რეფორმით „ნაბოძები“ ფულის ნაწილი საერთო საქმის საკეთილდღეოდ

გამოეყენებინათ. ყიფიანმა და იმდროინდელმა ბევრმა საზოგადო მოღვაწემ არ იცოდნენ, რომ ბანკები კაპიტალისტური დაწესებულებები იყო და მათი გამოყენება უფრო დააჩქარებდა თავადაზნაურობის გაჩანაგებას. მარქსი აღნიშნავდა, რომ ბანკები წარმოადგენს ყველაზე ოსტატურ და სრულყოფილ პროდუქტს, რომელიც კი კაპიტალისტურ წარმოების წესს საერთოდ შეუძლია წაროქმნას. [8, გვ. 54-60]

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ XIX საუკუნე არის მნიშვნელოვანი პერიოდი ქართული ეკონომიკური აზრის ფორმირებასა და განვითარებაში, ეს იყო პერიოდი როცა გატარდა ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა, რამაც საქართველო განვითარების გზაზე დააყენა.

რევოლუციამდელი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტემპები ძირითადად განისაზღვრებოდა რუსეთის მიერ, როგორც კოლონიური სახელწიფოს ეკონომიკა. ძირითადად ის წარომოადგენდა სანედლეულო ბაზას. რუსეთის მიზანდასახული საქმიანობის შედეგია საქართველოში ტექნიკური კულტურების სწრაფი გავრცელება. ამასთან დაჩქარებული სამუშაოები წიაღისეული სიმდიდრის გამოსავლენად. გამოვყოფთ რამდენიმე ძირეულ საკითხს:

1. სოფლად ბატონ-ყმური მეურნეობა და ქალაქად წვრილი ხელოსნური წარმოება ნელ-ნელა გზას უთმობდა სავაჭრო მიწათმოქმედების და კაპიტალური მრეწველობის განვითარებას.
2. ბატნყმობის გაუქმებას მოჰყვა გლეხების უმიწოდ დარჩენა და ამან წაროშვა დაუსაქმებელთა არმია, შეიქმნა მუშათა კლასის უზარმაზარი რეზერვი.
3. პირველი რუსული ინვესტიციები საქართველოში კომუნიკაციების მოწესრიგებაში (რკინიგზები, სამხედრო გზები) ჩაიდო.
4. რკინიგზის მშენებლობამ დიდად შეუწყო ხელი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებას.
5. XX საუკუნის დასაწყისი ხასიათდება, როგორც ფოლადის წარმოების სწრაფი განვითარების ხანა, რამაც ხელი შეუწყო ჭიათურის მანგანუმის მოპოვებას. გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება.
6. განსაკუთრებით გაიზარდა ელექტროენერგეტიკა. კვების მრეწველობიდან დიდი ყურადღება ეთმობა მეღვინეობას, კონიაკის და შამპანურის წაროებას.

მენშევიკური რევოლუციის შედეგად რუსეთიდან დამოუკიდებლად გამოსულ საქართველოს ძალიან გაუჭირდა, რუსეთმა შეუწყვიტა ფაბრიკა-ქარხნებს ნედლეულის მიწოდება. ძლიერ დაეცა მწარმოებლურობა, როგორც მოპოვებით ასევე მწაროებელ სექტორში. ამან განაპირობა ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომ საქრთველოს გაერთიანება საბჭოთა კავშირში რესპუბლიკის სახით.

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად 1918 წელს აღმოცენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლური ორიენტაციისა იყო. მათ მიერ გატარებული რეფორმებიც ამას ადასტურებდა. აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო კონსტიტუციაზე.

საქმეში ისევ, ჩვენნაირი პატარა და ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოსთვის, ნაკლებად ანგარიშგამწევი ფაქტორი – საერთაშორისო პოლიტიკა ჩაერთო, რომელმაც დემოკრატიული ღირებულებების დამცველი საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ გამოაცხადა. ეს კი ევროპული კარების კიდევ ერთხელ მიხურვას და გაწითლებული რუსული იმპერიის ნაწილად ქცევას ნიშნავდა.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტექნიკური პროგრესის ცნების გვერდით გაჩნდა ახალი ცნებები თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი.

კომუნისტური მმართველობის უკანასკნელ 10 წელიწადი მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეროვნული შემოსავალის მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა. მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ XX საუკუნის ბოლოსათვის საქართველო იყო განვითარებული რესპუბლიკა ძლიერი მანქანათმშენებლობით, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობით, სატყეო, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობით, სამშენებლო მრეწველობით, მსუბუქი და კვების მრეწველობით, მაგრამ საქართველო იყო იმ დიდი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაირღვა ის კავშირები, რაც არსებობდა რესპუბლიკებს შორის.

თუ გადავხედავთ 1992 წლის საქართველოს სამრეწველო საწაროთა კატალოგს ვნახავთ, რომ 1991 წლის ბოლოს საქართველოში იყო შემდეგი სახის საწარმოები(იხ. ცხრ.1.1.1).

ძველი კავშირების მოშლამ განაპირობა მთელი სისტემის ფუნქციონირების კოლაფსი და შედეგად მივიღეთ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს დანგრეული ეროვნული მეურნეობა. გარკვეული პრობლემები იყო საერთო სახელმწიფო საკუთრებიდან, კერძო საკუთრებაზე გადასვლის პროცესშიც.

ცხრილი 1.1.1.

სამრეწველო საწარმოები საქართველოში 1992 წელს

საწარმოები		რაოდენობა
კვების მრეწველობა	შაქრის	1
	პურის	27
	მაკარონის	1
	ცხიმების და ზეთების	9
	ღვინის და სპირტის	67
	ლუდის	10
	მინერალური წყლების და წვენების	18
	საკონსერვო	56
	ჩაის	163
	თამბაქოს	9
	კონცენტრატების	6
	ხორცის	35
	რძის, ყველის და კარაქის მწარმოებელი	48
	თევზის	9
	ფქვილის ბურღულეულის და კომბინირებული საკვების	22
ელექტროენერგეტიკა		30
სათბობი მრეწველობა		3
შავი მეტალურგია		8

ფერადი მეტალურგია	3
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	47
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	163
სატყეო, ხის, ცელულოზა-ქაღალდის	89
საშენ მასალების მრეწველობა	139
მინის,ფაიფურის და ქაშანურის მრეწველობა	6
მსუბუქი მრეწველობა	124
სამედიცინო მრეწველობა	7
პოლიგრაფიული მრეწველობა	57
ტელევიზორების	1
გამთიშველების	5
სათამაშოების, კერამიკის	1
ქვაფენილის	1
მუსიკალური ინსტრუმენტების	1
საიუველირო	1
წყალმომარაგების	26

წყარო: საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კატალოგი. თბ.1992

XX საუკუნის ბოლოს „ცივი ომის" დასრულებას მსოფლიოში „ახალი წესრიგის" ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ პროცესმა პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გააჩინა, რომელთა შორის საქართველოც აღმოჩნდა.

ახლადშობილი ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები გამოიხატა 1991-1992 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ორი ეთნო-კონფლიქტის გაჩაღებით, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ, ეკონომიკური სირთულეები, კორუფციის არნახული მასშტაბები და სხვა პრობლემები.

ამ ფონზე, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება დასავლეთთან აქტიური ურთიერთობები. თანამშრობლობა ნატოსთან, ევროკავშირსა და ეუთოსთან.

ამ პერიოდშივე ყალიბდება საქართველოს ფუნქციის კონტურები XXI საუკუნეში, რომელიც შემდგომში გარდაისახა სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში, იყო ეს ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენი, თუ ბაქო-თბილისი-ერზუმის გაზსადენი. ამას თან დაერთო აშშ-თან სტრატეგიული თანამშრობლობა სხვადასხვა სფეროში, ხოლო 90-იანი წლების პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლურ დაგვირგვინებად შეიძლება მივიჩნიოდ 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში მიღება და შემდგომში ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმება.

2008 წლის აგვისტოს ომმა ეს პროცესები შეანელა და ჩვენი საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა არჩევანზე.

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა დიდი პრობლემების წინაშე დგას. აღნიშნული ნაშრომიც ერთგვარი ანალიზია ამ პრობლემების და გამოსავალის გარკვეული გზებია დასახული.

1.2. სამეწარმეო საქმიანობა და დაბეგვრის პოლიტიკა

ნებისმიერ სახელმწიფოში სახელისუფლებო სტრუქტურები ახორციელებენ ეკონომიკურ პოლიტიკას, ანუ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ეკონომიკის განვითარებისაკენ არის მიმართული. მასში შედის საგადასახადო პოლიტიკაც. მისი უპირველესი მოთხოვნა არის ბიუჯეტის შევსება და ეკონომიკის სტიმულირება.

საგადასახადო სისტემა აერთიანებს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ გადასახადებს, დაბეგვრის და გადასახადთა გამოყენების ფორმებსა და მეთოდებს, ასევე საგადასახადო ორგანოებს. გადასახადი სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების დაფინანსების ძირითადი საშუალებაა.

თავდაპირველად გადასახადები მოსახლეობიდან იკრიბებოდა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში, ხოლო შემდგომ - სახელმწიფოების ჯარისა და მუდმივად მზარდი ჩინოვნიკური აპარატის შენახვის აუცილებლობამ მოითხოვა ფულადი საშუალებების უწყვეტი ნაკადი, რის შედეგადაც გადასახადები დროებითიდან

სახელმწიფო შემოსავლების მიღების მუდმივ წყაროდ გადაიქცა. რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, იგი შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა, მაშინ როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო და საგადასახადო სისტემაც ვითარდება სახელმწიფოს განვითარების პარალელურად. XVI-XVII საუკუნეებში ევროპაში წარმოქმნილ თანამედროვე სახელმწიფოებს ფაქტობრივად საგადასახადო თეორია არ გააჩნდა. პერიოდულად პარლამენტი აწესებდა ახალ გადასახადს და ნებას რთავდა აეკრიფა იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას. საგადასახადო ტვირთი უმეტეს წილად სოფლის მცხოვრებლებსა და ქალაქის დაბალი ფენის წარმომადგენლებზე გადიოდა, საგადასახადო სამართალი კი დისკუსიის საგნად რჩებოდა.

აშშ-ს ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ბ. ფრანკლინმა (1706-1790) მოსწრებულად აღნიშნა: ,,ყველა ვალდებულია, რომ გადასახადი გადაიხადოს და მერე თუნდაც მოკვდეს". [59, გვ. 533]

ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის გადასახადების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებდა კ. მარქსიც: ,,გადასახადი ეს არის მთავრობის მასაზრდოებელი დედის ძუძუ... გადასახადი – ეს არის საკუთრებასთან, ოჯახთან და რელიგიასთან ერთად მეხუთე ღმერთი» [14, გვ.201] გადასახადის, როგორც ერთ-ერთი კვლავწარმოებრივი ფაქტორის დასაბუთება მოცემულია მე-18 საუკუნის დასაწყისში საზღვარგარეთის ეკონომისტების - ე. საქსის [60, გვ. 37] ჟ-ბ სეის, [85, გვ. 25] ნაშრომებში. მიუხედავად იმისა, რომ მათი საგადასახადო თეორია უაღრესად გამოყენებით ხასიათს ატარებდა, ანუ, შემოფარგლული იყო სახელმწიფოს შენახვისათვის ფინანსური რესურსების მობილიზაციის ხერხებით, მათში გათვალისწინებული იყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა კანონზომიერებანი და საბაზრო მეურნეობის საფუძვლების ფორმირების საერთაშორისო ტენდენციები.

ეს ფორმირებები ასახავენ ეკონომისტ-თეორეტიკოსების პოზიციების ერთიანობას, მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა. ყველა მკვლევარის მიერ იგი განიხილება, როგორც სახელმწიფოს სასარგებლოდ კონკრეტული ადამიანებისა და მეურნე სუბიექტების შემოსავლების ნაწილის ჩამორთმევა, მას თან სდევს აგრეთვე მაკონტროლებელი ფუნქციაც, რომელიც სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ურთიერთობის

აღწარმოებას უზრუნველყოფს (თვით ფისკალური ფუნქციის აღწარმოება) და, მაშასადამე, მისი გავლენის ერთ-ერთ სახედ გვევლინება [42, გვ. 31-33]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული სახელმწიფო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს საგადასახადო სისტემა, რომელიც შედგებოდა ირიბი და პირდაპირი გადასახადებისგან. ირიბი გასადახადებიდან აღსანიშნავია აქციზი, რომელიც აიღებოდა ქალაქის შემოსავლებიდან შემოტანილ და გატანილ საქონელზე. პირდაპირი გადასახადებიდან კი სულადობრივი და საშემოსავლო გადასახადები. [49, გვ. 12]

ეკონომისტების აზრით, ირიბ გადასახადებს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფო ხარჯების დასაფარად.

ფიზიოკრატების მიხედვით სახელმწიფო „კეთილი დესპოტია“. მათ ჩამოაყალიბეს ერთიანი გადასახადის იდეა. გადასახადი სახელმწიფო მოთხოვნებით კი არ უნდა წარმოიქმნას, არამედ სახელმწიფომ საკუთარი მოთხოვნები ქვეყნის რესურსებს უნდა შეუსაბამოს. [68, გვ. 532]

დაბეგვრის თეორიის ფუძემდებლად ითვლება ინგლისელი ეკონომისტი ადამ სმიტი (1723-1790) [40, გვ. 121]. მან პირველად შექმნა მოძღვრება სახელმწიფო ფინანსების შესახებ და ჩამოაყალიბა დაბეგვრის 5 პრინციპი:

1. გადასახადების თანაბარი განაწილება;
2. გადასახადების სიმარტივე, გარკვეულობა;
3. გადასახადების აკრება ხელსაყრელ პერიოდში;
4. გადასახადების აკრების სიიაფე;
5. გადასახადების აკრების საერთო წესი.

გარდატეხა სახელმწიფო ხარჯების და შესაბამისად გადასახადების სფეროში XX საუკუნეში მოხდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის პირობებში ბიუჯეტში საგადსახადო შემოსავლების მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. მისი გადასახადი ძირითადი იყო საშემოსავლო გადასახადი. დაბეგვრა ხორციელდებოდა ორი ინსტრუმენტით: ბრუნვის გადასახადით და ბიუჯეტში მოგების თავისუფალი ნაშთის ჩარიცხვით.

საბიუჯეტო ეფექტურობა ნიშნავს საგადასახადო სისტემის მიერ სახელმწიფოს უზრუნველყოფას. შესაბამისი ფინანსური რესურსებით, გადასახადთა მობილიზებისათვის შედარებით მცირე დანახარჯების გაწევით.

XIX და XX საუკუნეების გასაყარზე მსოფლიოს ერთ–ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინსმა წამოაყენა რა ,,ეფექტური მოთხოვნის" თეორია, დაასაბუთა, რომ გადასახადები ეკონომიკურთან ერთად არის სოციალური ურთიერთობების რეგულირების მძლავრი ინსტრუმენტი და მისი ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა მაკროეკონომიკური წონასწორობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. [76, გვ. 33] კეინსის ერთ–ერთი მთავარი დამსახურება მდგომარეობს შემდეგი დებულების წამოყენებას და დასაბუთებაში: რაც მაღალია ეროვნული შემოსავლის მოცულობა, მით მეტი გადასახადი უნდა იქნას აკრეფილი და პირიქით.

კეინსის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენაა გადასახადების ,,ფსიქოლოგიური კანონი", რომლის თანახმად, სამეურნე ერთეულს მიდრეკილება აქვს შემოსავლის ზრდის პარარელურად გაზარდოს მოხმარება. მაგრამ შედარებით ნაკლები მაშსტაბით, ვიდრე შემოსავლები იზრდება. ეს თავის მხრივ იწვევს დაზოგვის (დაგროვების) გადიდებას, ხოლო ამ უკანასკნელის შესამცირებლად საჭიროა საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთების დაწესება. ყოველივე ამის შედეგად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, შესაბამისად მეტი თანხა წარიმართება ინვენსტირებისათვის, შემცირდება უმუშევრობის დონე და სტიმული მიეცემა ეკონომიკურ აღორძინებასა და განვითარებას. [76, გვ. 57]

პრინციპული განსხვავება ნეოკლასიკურ და კეინსური თეორიებს შორის მდგომარეობს არაერთგვაროვან მიდგომაში სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პროცესების რეგულირების მეთოდებთან დაკავშირებით, კერძოდ ფინანსური მიდგომისაგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ დინამიური განვითარება შეუძლებელია და ამიტომ არსებობს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, დაბეგვრის ნეოკლასიკური მიმართულება ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი ზემოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ იმისკენ, რომ აღმოიხვრას დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის თავისუფალი კონკურენციის

კანონებს, მაგრამ არ უნდა შეზღუდოს ბაზრის ბუნებრივი თვითრეგულირებადი კანონები.

ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებელი ჯ. მილი. მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო თავად წარმოადგენდა დესტაბილიზაციის ფაქტორს, ამიტომ მისი ეკონომიკაზე ზემოქმედება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ ფულად–საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით, [80, გვ. 77] მაგრამ ფულად–საკრედიტო პოლიტიკისათვის უპირატესობის მინიჭებით უგულვებელყოფილი რჩებოდა საბიუჯეტო–საგადასახადო პოლიტიკა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვით ნეოკლასიკური თეორიის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ერთნაირი შეხედულება სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით ეკონომიკური პროცესების რეგულირების საკითხებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: მონეტარიზმის თეორია და მიწოდების ეკონომიკური თეორია.

გადასახადების თეორიული საფუძვლების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე ნეოკეინსურმა მიმართულებამ. ნეოკეინსური თეორიის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს თავისუფალი მეწარმეობის კონკურენციისა და ფასების ლიბერალიზაციის თეორიული ასპექტები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საგადასახადო მექანიზმი წარმოადგენს წარმოების რეგულატორს, ხოლო საგადასახადო პოლიტიკა – ანტიკრიზისული და ანტიინფლაციური რეგულირების საშუალებაა.

მნიშვნელოვანი ადგილი ნეოკეინსურ თეორიაში დაეთმო საგადასახადო პრობლემებს. ინგლისელი ეკონომისტი ი. ფიშერი [64, გვ. 377] და ნ. კალდორი [73, გვ. 83-100] არიან ნეოკეინსური თეორიის წარმომადგენლები. ისინი გვთავაზობენ დასაბეგრი ობიექტები დაიყოს მოხმარებიდან გამომდინარე და დაიბეგროს მოხმარებული პროდუქტის საბოლოო ღირებულება. სწორედ აქედან წამოვიდა იდეა მოხმარებაზე გადასახადების დაწესების შესახებ, რომელიც, მათი აზრით, წარმოადგენდა დანაზოგების წახალისების მეთოდს და ინფლაციასთან ბრძოლის საშუალებას. ფული, რომელიც გათვალისწინებული იყო სამომხმარებლო საქონლის შესაძენად მიმართული იქნებოდა ინვესტიციისაკენ ან დანაზოგისაკენ.

გრძელვადიანი დანაზოგები უკვე თავისთავად წარმოადგენს მომავალი ეკონომიკის ზრდის ფაქტორს [9, გვ. 20]

კეინსისა და ნეოკეინსიანელთა თეორიულ–ეკონომიკური მოძღვრებანი გარკვეულწილად ეჭვის ქვეშ დააყენა XX საუკუნის 30–40–იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. [87, გვ. 11] საგადასახადო შემოსავლების გადიდებამ კრიზისულ პერიოდში ვერ უზრუნველყო სამომხმარებლო მოთხოვნის კომპენსირება და კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი და სწორედ აღნიშნულმა შეურყია საფუძველი ფართოდ აღიარებულ გადასახადების კეინსურ თეორიას.

ყოველივე ამის შემდეგ, XX საუკუნის პირველ ნახევარში მეცნიერ–ეკონომისტებმა და სპეციალისტებმა დაიწყეს გადასახადების მანამდე აღიარებული და გაბატონებული თეორიული სააფუძვლების გადახედვა. ცნობილმა ამერიკელმა მკლევარმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა პ. სამუელსონმა (XX ს.) წამოაყენა და დაასაბუთა კონცეფცია საბიუჯეტო–საგადასახადო და ფულად–საკრედიტო პოლიტიკის ინტეგრირებულად, ურთიერთდაკავშირებულად ფორმირების აუცილებლობის შესახებ. [84, გვ. 177-94] მისი აზრით, ფულად–საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ოპტიმალურ ურთიერთშეთანხმებას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის არ მხოლოდ აღმავლობა, ან დაცემით გამოწვეული ნეგატიური მოვლენების შერბილება ან ნიველირება არამედ, შექმნას პირობები და გარემო ეკონომიკის განუხრელი აღმავლობისა და სტაბილური განვითარებისათვის.

აღნიშნული იდეა კიდევ უფრო განავითარა და მას ახალი თვისობრივი შინაარსი შესძინა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მ. ფრიდმენმა. მან დაასაბუთა ეკონომიკის მართვის რეგულირებაში სახელმწიფოს მინიმალურ დონეზე ჩარევის ეფექტიანობა და კეინსის ,,ეფექტიანი მოთხოვნის“ თეორიას დაუპირისპირა ,,მიწოდების თეორია“, ანუ ეკონომიკის წონასწორობის უზრუნველსაყოფად მოთხოვნას დაუპირისპირა მიწოდება. [65, გვ.14-17] სწორედ, აღნიშნული უდევს საფუძვლად დღეისათვის მრავალი განვითარებული ქვეყნის საგადასახადო სისტემას.

თანამედროვე საგადასახადო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეფექტურია ის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს დაზოგვას და ხელს უწყობს

ეკონომიკურ ზრდას. გამომდინარე აქედან, საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება პროდუქციის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამასთან, ეკონომიკური ზრდის მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა შეუმსუბუქდეს საგადასახადო ზეწოლა მწარმოებლებს. ამ ამოცანით საგადასახადო პოლიტიკა გამოდის ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტის როლში.

საინტერესოა საქართველოში გადასახადების მობილიზების ისტორიული გამოცდილება და კულტურა. საქართველოში ჩვ.წ.აღ-მდე VIII-I საუკუნეებში მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა და მთელი ქონება საქართველოს ეკუთვნოდა და ამ ქონების გვარის უფროსი-მამასახლისი იყო. სამეფო საგვარეულოს ჰყავდა მონები, რომლებიც სამეფო მამულში ცხოვრობდნენ და გადასახადს (ბეგარას) ჭირნახულით იხდიდნენ.

შუა საუკუნეების საქართველოში ძირითადი გადამხდელი იყო გლეხი. გლეხი ამუშავებდა თავისი პატრონის მიწას და მიღებული მოსავლის ნაწილს მიწის პატრონს აძლევდა. ხოლო შედარებით თავისუფალი გლეხისათვის გადახდის ფორმა იყო პატრონის ხლება და ლაშქრობით სამახური. აგრეთვე იყო „საჭირისუფლო“ და „საქორწინო“ გადასახადები. დაპყრობილი ქვეყნებიც იხდიდა გადასახადს, რომელსაც ნაალაფევი ერქვა.

XVIII საუკუნის დასასრულისათვის საქართველოში გავრცელებული იყო გადასახადების სხვადასხვა სახე(იხ. ცხრ. 1.2.1.)

ცხრილი 1.2.1.

ძირითადი გადასახადები ფეოდალურ საქართველოში [48, გვ. 20]

	გადასახადის სახეობა	ძირითადი მახასიათებელი
1	სახელმწიფო ბეგარა	სამხედრო ვალდებულებების შესრულება პირადად ან დაქირავებული პირის მიერ. შემსრულებელს უნდა ჰქონოდა საგზალი და საკუთარი იარაღი.
2	სანადირო ბეგარა	ნადირობასთან დაკავშირებული ვალდებულებები-ნადირის მორეკვა, ღამით დარაჯობა.
3	საური	ფულადი გადასახადი, 14 შაური, მეშაურის სასარგებლო ძღვენი 1 შაური.

4	კოდისპური	სახელმწიფო გადასახადი ხორბლით ან ქერით. წელიწადში კოლმზე 4 კოდი (10 ლიტრი, 1 კოდი) პური
5	საბალახე	გადასახადი ცხვრით. 100 ცხვარზე 1 ცხვარი. დაბეგვრის სუბიექტი-საქონლის პატრონი
6	პირისთავი	გადასახადი წვრილფეხა საქონელზე, 100 ერთეულზე 1 ერთეული, როგორც საბალახე
7	მოსახლეობის აღწერა	იკრიბებოდა გადამხდელთაგან აღწერის დროს
8	კულუხი	ღვინის გადასახადი მიწისათვის, სადაც ვენახია გაშენებული. მოსავლის 1/10-დან 1/7-მდე საპალნეზე 10 მანეთის ანგარიშით
9	სურსათი	ხორბლეულით გადასახადი, კომლობრივად 2 კოდი პური და 1 კოდი ქერი კომლზე
10	მახტა	იკრიბებოდა ფულით და პურით. თითეულ ოჯახზე 3 კოდი პურეული, მახატას იხდიდნენ ვაჭრები და ხელოსნები
11	მალი	თავდაპირველად კომლზე, შემდეგ სულადობრივი გადასახადია. ოჯახის პატრონზე სრული მალი აბაზი, ახალნაქორწინევზე მისი ნახევარი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საგადასახადო სისტემამ სოლიდური ცვლილებები განიცადა. ბევრი გადასახადების ნატურალური სახე ძირითადად ფულადი ფორმით შეიცვალა. თუმცა შენარჩუნებული იქნა ისეთი გადასახადები, როგორიცაა კოდის პური და მახტა. შემოღებული იქნა სამხედრო სასურსათო ბეგარა, რომელსაც მეფის მთავრობა კრებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოღებულ იქნა საპოლიციელო გადასახადი, რომელიც დღევანდელ ქონების გადასახადს ჰგავდა. შემოღებული იქნა ვაჭრობის გადასახადიც. მას იხდიდნენ, როგორც ადგილობრივი ვაჭრები, ასევე ჩამოსული უცხოელი ვაჭრებიც. საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე მანძილზე, სახელმწიფომ ვერ მოასწრო საკუთარი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და გადასახადები იკრიბებოდა მეფის რუსეთის მიერ დაწესებული სიდიდით. [39, გვ. 45]

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გადასახადის უმეტესი ნაწილი საწარმოებზე მოდიოდა. სოციალისტური საწარმოები ძირითადად იხდიდნენ: ბრუნვიდან გადასახადს, მოგებიდან გადასახადს და სხვა შემოსავლებიდან გადასახადს.

1991 წლამდე საბჭოთა კავშირის საბიუჯეტო სისტემა აერთიანებდა კავშირის ერთიან ბიუჯეტს, სოცდაზღვევის ბიუჯეტს და 15 მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტს. ეს მოიცავდა ავტონომური რესპუბლიკების და 53 ათასამდე ადგილობრივ ბიუჯეტს. საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაცია ეფუძვნებოდა სამ ძირითად პრინციპს: დემოკრატიულ ცენტრალიზმს, ეროვნულ პოლიტიკასა და ერთიანობას. ასეთი სისტემა კავშირში 1924 წლიდან შევიდა. 1990 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტისათვის ამოქმედდა საკავშირო გადასახადიდან და შემოსავლიდან ანარიცხების ერთიანი ნორმატივები. მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა შემოსავლებიდან, ასევე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მოგებიდან გადასახადზე დიფერენცირებული ნორმატივი განისაზღვრა.

საბიუჯეტო პროცესი მოიცავდა ბიუჯეტის პროექტის შედეგების განხილვას, დამტკიცებისა და შესრულების პერიოდს. ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის პირობებში ცენტრი განსაზღვრავდა ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებსაც ეყრდნობოდა მოკავშირე რესპუბლიკებში ბიუჯეტის შედგენა. [17, გვ. 67]

გადასახადის განაკვეთი, ისეთი უნდა იყოს, რომ მან თავისი ორივე ფუნქცია: ფისკალური და მასტიმულირებელ-მარეგულირებელი ერთნაირი ეფექტურობით შეასრულოს. ოქროს შუალედის პრობლემა ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისათვის. ლიბერალური გადასახადები მომხიბვლელია გადასახადების გადამხდელისათვის და საზოგადოებისათვის. იგი ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, მაგრამ რთულდება საქმე მთავრობისათვის, რადგან საჭიროა ბიუჯეტის შენოსავლები გარკვეული პრობლემების მოსაწესრიგებლად და მმართველობითი ფუნქციის შესრულებისათვის.

გადასახადის ფისკალური ფუნქცია გამოიხატება ბიუჯეტის და ფულადი ფონდების შექმნაში, ხოლო მეორე ფუნქცია მდგომარეობს ამ ფონდების, ისეთ გადანაწილებაში, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ასტიმულირებს კაპიტალის ინვესტირების პროცესს, აფართოებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობას. თავიდან გადასახადს, მხოლოდ ფისკალური ფუნქცია ჰქონდა, შემდეგ მას დაემატა მასტიმულირებელი ფუნქცია. [27, გვ. 67]

ეკონომიკის დარეგულირებისათვის გამოიყენება ლიბერალური და მკაცრი საგადასახადო მოდელები. ლიბერალური მოდელის პირობებში არის დაბალი საგადასახადო განაკვეთი და მრავალი შეღავათები. ამით გადასახადების გადამხდელები გარკვეულ დანაზოგებს მიმართავენ რეინვესტირებაში, რომელიც სახელმწიფოდან არ იბეგრება. ეს ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. მკაცრი საგადასახადო მოდელის შემთხვევაში შემოსავლების დიდი ნაწილი მიემართება სახელმწიფოსაკენ ცენტრალიზებულ ფონდებში და სახელმწიფო განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების მიმართულებას.

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სწორად იქნება არჩეული საგადასახადო პოლიტიკა.

არსებული საგადასახადო კოდექსი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ მოკრძალებული დასკვნა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია გადასახადების მაქსიმალური ამოღებისაკენ. შესაბამისად უნდა არსებობდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პროგრამა ჩამოყალიბებული პრიორიტეტებით. არსებული საგადასახადო პოლიტიკა საშუალებას არ აძლევს მცირე ბიზნესს მოახდინოს რეინვესტირება და თავისი შეხედულებისამებრ განავითაროს ბიზნესი. მცირე ბიზნესი მხოლოდ თვითგადარჩენაზე მუშაობს, მას არ გააჩნია თავისი წარმომადგენლობა, რომელიც შეეცდება თავისი აზრი მიაწოდოს სახელმწიფოს.

თუ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია გადასახადების მაქსიმალური მობილიზებისაკენ, შესაბამისად უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობა და გეგმა ქვეყანაში წარმოების და მომსახურეობის სფეროების განვითარებისა. ასეთ შემთხვევაში გამართლებულია გადასახადების მაქსიმალურად მოკრების სახელმწიფო პოლიტიკა.

ნახაზი 1.2.1.

ლაფერის მრუდი



საგადასახადო განაკვეთსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის ურთიერთკავშირის გრაფიკული გამოსახულებაა "ლაფერის მრუდი" (იხ.ნახ. 1.2.1.) გარკვეულ წერტილამდე გადასახადების შემცირება საგადასახადო შემოსავლების ზრდას იწვევს და პირუკუ. ერთობლივ მოთხოვნაზე საგადასახადო ტვირთის ზრდის ზემოქმედება ყოველთვის ისე ცალსახად უარყოფითი არ არის, როგორც ეს კანონიკური სახით ეკონომიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი. გადასახადების ზრდა ხელისუფლების მხრიდან შეიძლება მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული, როგორც წამახალისებელი, ასევე დამმუხრუჭებელი ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად. [26, გვ. 27]

ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო სექტორის განვითარებისათვის პოლიტიკის სწორად წარმართვას. მნიშვნელოვანია რეგიონებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება, რათა ადგილობრივმა მმართველობამ თვითონ შეისწავლოს ისტორიული წინამძღვრები, არსებული პოტენციალი, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსები და იმის

მიხედვით დასახოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების პროგრამები. შესაბამისად არჩევნების დროს ამის მიხედვით იქნას შეფასებული მათი გაწეული სამსახური. ცხრილი 1.2.2.

ცალკეული გადასახადის ხვედრით წილისაქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში (2016 წ.)

საგადასახადო შემოსავლები	ათას ლარებში	ხვედრითი წილი მშპ %-ში
დ.ღ.გ.	2847867,5	45,3%
საშემოსავლო	1795142	28,6%
მოგების	806545	12,8%
აქციზი	722178,1	11,5%
ქონებს	89375,3	1,4%
იმპორტის	26576,8	0,4%
სულ	6287685,1	100%

წყარო:საქსტატი http://www.geostat.ge

თუ გადავხედავთ 2016 წლის შემოსავლებში ცალკეული გადასახადის ხვედრით წილს დავასკვნით, რომ გადასახადების მნიშვნელოვანი წილი მოდის დ.ღ.გ.-ს და საშემოსავლო გადასახადზე. ამიტომაც გასაგებია სახელმწიფოს მიერ დაპირებული დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთის ნორმის 100 000 ლარი ბრუნვიდან 200 000 ლარ ბრუნვაზე დაწესების გაუქმება. თუ არ გაიზრდება მნიშვნელოვნათ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში, ვერ მოხერხდება დ.ღ.გ.-ს გადასახადის დაწესება 200 000 ლარი ბრუნვიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას შეუძლია მნიშვნელოვანწილად შეუწყოს ხელი სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას. საქართველოში დღემდე არ არსებობს საგადასახადო პოლიტიკის გატარების მწყობრი კონცეფცია, რის გამოც მუდმივი ცვლილებები, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობაში შედის, ხშირად ,,წუთიერ", კონიუნქტურულ ხასიათს ატარებს, რომელიც შედეგში ქვეყანაში წარმოების დაცემის, სოციალური პოლიტიკის კრახისა და სხვა ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ერთ-

ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს. ამავდროულად აუცილებელია აღინიშნოს, რომ საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფოს მართვის არსენალში.

გლობალურ საგადასახადო სფეროში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოიკვეთა ტენდენციები, რომელთაგანაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახეზეა საერთაშორისო საგადასახადო კონვერგენციის პროცესი. მის ფონზე ეროვნული სისტემებისა და საგადასახადო პოლიტიკის პრინციპების უნივრსალიზაციის ტენდენცია შეიმჩნევა. ბოლო წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გლობალური კრიზისის ფონზე აქცენტი ლიბელარული საგადასახადო პოლიტიკის გატარებაზე გააკეთა.

საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა, შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რამაც ბიზნესის სტიმულირებას უნდა შეუწყოს ხელი. კერძოდ: მცირე ბიზნესისათვის გამარტივებული საგადასახადო რეგულირება შემოიღეს; დაფუძნდა საგადასახადო ომბუდსმენდის ინსტიტუტი; გადამხდელს წინასწარ ეძლევა უფლება შეათანხმოს ,,თამაშის წესები˜ და დაბეგვრის პირობები შემოსავლების სამსახურთან; დაფუძნდა პირადი საგადასახადო აგენტის ინსტიტუტი; ამოქმედდა გაფრთხილების ინსტიტუტი, როგორც დაჯარიმების ალტერნატივა; დაწესდა დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმი; საგადასახადო კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულია დღგ–ის გადასახადის კვარტალური დეკლარირების სისტემა; მოხდა კანონმდებლობის კონსოლიდაცია, კერძოდ, გაერთიანდა საბაჟო და საგადასახადო კოდექსები, ხოლო აქამდე მოქმედი კანონქვემდებარე აქტები სულ 5 კანონქვემდებარე აქტად ჩამოყალიბდა. საქართველომ საერთაშორისო რეიტინგით ,,Paying Taxes 2011” გადასახადების გადახდის სიმარტივის მიხედვით დასახელებულ 183 ქვეყანას შორის 61-ე ადგილი დაიკავა, ამასთან, საქართველო იმ 10 ქვყნის სიაში მოხვდა, სადაც გადასახადის მთლიანი მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. [20, გვ. 56] მინდა შევეხო კანინს მიკრო და მცირე ბიზნესის შესახებ, რომელიც ამოქმედდა საქართველოში 1912 წლიდან.

მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, როცა ფიზიკური პირი დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და კალენდარული წლის

განმავლობაში მისი ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს. მიკრო ბიზნესი განთავისუფლებულია გადასახადისაგან და სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან.

რაც შეეხება მცირე მეწარმეს, ეს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმეს, რომელსაც აქვს წლიური ჯამური შემოსავალი 100 000 ლარამდე. ის ვალდებულია გადაიხადოს ბრუნვის 5%, ან თუ მისი ხარჯი აღემატება შემოსავლის 60%-ს, მაშინ ბრუნვის 3%. უმარტივესი გამოთვლებით ცხადია, რომ ასეთი გადასახადი მძიმე ტვირთად აწვება მეწარმეს, ამიტომ ის აუცილებლად შეეცდება დაფაროს შემოსავლები.

2018 წლის ივნისიდან ძალაში შედის განახლებული კანონი მცირე მეწარმეებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მცირე მეწარმის სტატუსით ისარგებლებს მეწარმე, რომელსაც აქვს ჯამური წლიური შემოსავალი 500 000 ლარამდე და თუ მისი ხარჯები აღემატება შემოსავლის 60%-ს, გადაიხდის გადასახადს შემოსავლის 1% ოდენობით. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული გადასახადების აკრების ლიბერალური პოლიტიკის გაატარებისაკენ, მაგრამ არასაკმარისია, რადგან დ.ღ.გ.-ის დაწესება 100 000 ლარი წლიური შემოსავლიდან, მაშინაც კი როცა მიმწოდებლებისგან მეწარმე 15% დ.ღ.გ.-ის ჩათვლას ღებულობს ძალიან ძნელია. მიღებული მოგება იმდენად მცირეა, რომ გარისკვის საშუალებას არ იძლევა.

გადავხედეთ საქართველოში გადასახადების მოქმედების ისტორიას, აქედან ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ: ყველა დროში, როცა სახელმწიფოს ნება იყო გადასახადები აკრებილიყო საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და არ ითვალისწინებდა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, გადასახადის სიდიდე ეწინააღმდეგებოდა განვითარებას და მივყავდით მეურნეობის დაქვეითებისაკენ. საგადასახადო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საკმარისი არ არის გადასახადის არსის, ფორმების და აგების პრინციპის ცოდნა, საჭიროა შემოსავლებსა და გადასახადებს შორის ურთიერთკავშირზე დაკვირვება, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი შედეგები. ნებისმიერ საზოგადოებას ყოველთვის კონტროლის ქვეშ უნდა ჰქონდეს გადასახადების ოდენობა და მისი გამოყენება, რადგან გადასახადი თავისთავად რა

მოცულობისაც არ უნდა იყოს ყოველთვის ტვირთია გადასახადების გადამხდელთათვის, თუმცა გარკვეული მოცულობით გადასახადის აკრება და მისი გამოყენებით საზოგადოებისათვის საქონლის და მომსახურეობის წარმოება აუცილებელი და სასარგებლოა მეწარმისათვის, როგორც საზოგადოების წევრისათვის.

თავი 2. ინოვაციებისა და ინვესტიციების როლი სამეწარმეო საქმიანობაში

2.1 ინოვაციური განვითარება და მეცნიერების როლი სამეწარმეო პოტენციალის სრულყოფაში

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზანია, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და მისი მოქალაქეებისათვის თანამედროვე ცივილიზაციის შესაფერისი ცხოვრების დონის მატერიალური გარანტიების შექმნა. ეს შესაძლებელი იქნება დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი და მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების საფუძველზე, რომელიც მიიღწევა მეწარმეობის ყველა ფორმის ფართო განვითარების გზით.

თანამედროვე მსოფლიოში კი ამჟამად ადამიანთა ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში მიღწეული სიახლეები ხშირად ყველაზე გაბედულ ფანტასტთა პროგნოზებსაც კი აღემატება.

ასეთი თავბრუდამხვევი ტემპების მთავარი „დამნაშავე“ კი მეცნიერების განვითარების შედეგად მიღებული ახალი ცოდნის სამეურნეო გამოყენებაა. პროგრესი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მეცნიერება ბიზნესის შემადგენელ ნაწილად იქცა, ხოლო ცოდნამ უშუალოდ წარმოებაში ფუნქციონირებადი ინტელექტუალური რესურსის ფორმა მიიღო. ამ თვალსაზრისით იგი უკვე წარმოების ერთ-ერთი პრიორიტეტული ფაქტორია, არა მარტო წმინდა თეორიული გაგებით, არამედ რეალურადაც, ბუღალტრული აღრიცხვის თანამედროვე სტანდარტებით, ინტელექტუალური რესურსები შესაბამისი ღირებულებით ფირმების არამატერიალურ აქტივებში აღირიცხება, რომელსაც მათი მოგების სოლიდური ნაწილი მოაქვს.

ბიზნესში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენების პროცესი ინოვაციის ცნებით გამოიხატება.

ფირმის ინოვაციური საქმიანობა გულისხმობს თვისებრივად ახალი სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის კრისტალიზაციას უახლეს პროდუქტებად,

ტექნიკად, ტექნოლოგიებად, ბიზნესის და წარმოების მართვის მეთოდებად. ამ თვალსაზრისით ინოვაციური ბიზნესი უახლესი ცოდნის შემოქმედებით-პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობაა, რასაც ბიზნეს-სუბიექტებისთვის არა მარტო ზემოგება მოაქვს, არამედ უკიდურესად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში მათ გადარჩენასაც უზრუნველყოფს.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური ბიზნესის შემდეგ ნიშნებს გამოყოფენ:

1. ინოვაციური საქმიანობის შედეგები არსებითი სიახლეებით ხასიათდებიან;
2. ინოვაციები საბაზრო მოთხოვნის იმ ნაწილს აკმაყოფილებენ, რაც ტრადიციული მეთოდებით ვერ მიიღწეოდა;
3. ინოვაციები დარგში ჩამოყალიბებული მოგების საშუალო ნორმაზე გაცილებით მაღალი რენტაბელობის მიღწევასა და ბიზნესმენის მიერ სამეწარმეო, ანუ, ეკონომიკური მოგების მიღებას უზრუნველყოფს;
4. ინოვაციები რისკიანობის განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩევიან, რადგან, ასეთი საქმიანობა ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროში ძიების პროცესთანაა დაკავშირებული.

ინოვაციური ბიზნესის მაღალ რისკიანობას შემდეგი გარემოებანი განაპირობებს:

1. სიახლეების ძიებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების პირობებში სასურველი შედეგების და ამ საფუძველზე მაღალი მოგების მიღების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან, წარმატებით მხოლოდ მათი მცირე ნაწილი სრულდება;
2. ინოვაციური საქმიანობის შედეგები ხშირად იმდენად უსწრებენ ბიზნესის არსებულ ტექნიკურ დონესა და ტექნოლოგიებს, რომ მათ შორის შეუთავსებლობის ნიშნები ვლინდება. ცხადია, ასეთ ინოვაციებზე საბაზრო მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ გაურკვეველ მომავალში წარმოიშვას.

ინოვაციურ ბიზნეს-საქმიანობას მოქმედების შემდეგი წესები, ანუ პრინციპები უდევს საფუძვლად:

ინოვაციური საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს არა ლოკალურად, არამედ როგორც სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობის ორგანული ნაწილი და მისი

მოღვაწეობის ყველა მიმართულებას კომპლექსურად მოიცავდეს. ინოვაციურ საქმიანობას ტრადიციულთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. ინოვაციური პროექტები ისე იგეგმება, რომ ტრადიციულ საქმიანობასთან შედარებით უფრო მაღალი მომგებიანობა უზრუნველყოს. ინოვაციური საქმიანობა სამეწარმეო სუბიექტს მოცემულ დარგში მაღალი კონკურენტუნარიანობისა და ლიდერობის მიღწევის შესაძლებლობას უნდა უქმნიდეს; ინოვაციები რეალური და განხორციელებადი უნდა იყოს. ე.ი. სამეწარმეო სუბიექტის წარმოების, ტექნიკის, ტექნოლოგიების, აგრეთვე მენეჯმენტის მიღწეული დონე და ფინანსური პოტენციალი ინოვაციების დანერგვისთვის საკმარისი უნდა იყოს. ეკონომიკურ მეცნიერებაში ინოვაციების მრავალ ფორმას განიხილავენ, რომელთა შორის ძირითადი შემდეგი ნიშნების მიხედვით კლასიფიცირდება (იხ. სქემა 2.1.1.). სქემა 2.1.1.

ინოვაციების ფორმები ეკონომიკურ მეცნიერებაში



წყარო: Zverev A.v. 2009; Formation of National Innovation System: Global Experience. http://dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/a840.php

საქმიანობის სფეროების მიხედვით, არსებობს პროდუქტული, ტექნოლოგიური და მმართველობით-ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც იმავდროულად ინოვაციათა ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ; სიახლის სიღრმის მიხედვით განიხილება რადიკალური, გამაუმჯობესებელი და ფსევდო-ინოვაციები; სიახლის მასშტაბების მიხედვით გამოყოფენ მსოფლიო მნიშვნელობის დარგობრივ ინოვაციებს, ქვეყნის არეალის დარგობრივ ინოვაციებს და საფირმო მასშტაბის ინოვაციებს; ფირმის საქმიანობის მოცვის მასშტაბების მიხედვით ინოვაციები შეიძლება იყოს ლოკალური, სისტემური და სტრატეგიული.

რადიკალური ანუ საბაზისო ინოვაციები გულისხმობს მწარმოებლურობისა და ფასის მიხედვით ადრე უცნობი ან არსებითად გაუმჯობესებული სამომხმარებლო და კაპიტალური საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიების და სხვა სიახლეთა შექმნა-დანერგვას, რომლებიც პრინციპულად ახალ ფუნდამენტურ ცოდნას, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტას ემყარებიან. შესაბამისად, ისინი სათავეს უდებენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის ახალ თაობის წარმოშობასა და განსაზღვრავენ მათი განვითარების მიმართულებას. ეს ცვლილებები იმდენად ღრმაა, რომ არსებული დარგისა და შესაბამისი ბაზრის რადიკალურ გარდაქმნას იწვევს.

გამაუმჯობესებელი ინოვაციები დაკავშირებულია რადიკალური ინოვაციების ძირითადი ობიექტების პროგნოზირებად და თანდათანობით ევოლუციურ სრულყოფასთან, რაც არსებული ცოდნის, ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტის ფარგლებში ხორციელდება. ასეთ ინოვაციებად შეიძლება მივიჩნიოთ ზემოთ დასახელებულ საქონელთა ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება და მათი წარმოების ხარჯების შემცირება, რომლის მოწმენიც საკმაოდ ხშირად ვხდებით.

ფსევდო-ინოვაციებში იგულისხმება ისეთი ნაწილობრივი არაარსებითი გარეგნული და ტექნიკური სრულყოფა, რომლებიც მნიშვნელოვნად არ ცვლიან ნაკეთობის კონსტრუქციას, მის სამომხმარებლო პარამეტრებსა და წარმოების ხარჯებს. მიჩნეულია, რომ ასეთი ინოვაციები წარმოადგენენ უკვე მორალურად მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების უშედეგო ცდებს, რითაც ახალ ტექნოლოგიურ გარღვევებს აფერხებენ. ასეთი ინოვაციის მაგალითია

ნაკეთობის დიზაინის გაუმჯობესება, ან რომელიმე დეტალის შეცვლა ტექნიკური სრულყოფის, ან გაიაფების თვალსაზრისით.

პროდუქტული ინოვაციები დაკავშირებულია ახალი, ან არსებითად გაუმჯობესებული კაპიტალური და სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე მომსახურების შექმნასა, წარმოებასა და ბაზარზე გატანასთან. ასეთი პროდუქტები ტრადიციულისგან განსხვავდება ფუნქციონალური დანიშნულებით, მაღალი სამომხმარებლო თვისებებით, დამზადების უნიკალური ტექნოლოგიით, კონსტრუქციით, ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებით და გამოყენებული მასალებით.

პროცესული, ანუ ტექნოლოგიური ინოვაცია გულისხმობს სრულიად ახალი, ან არსებითად გაუმჯობესებული წარმოების მეთოდების შექმნასა და პრაქტიკულ გამოყენებას, რასაც ფირმის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და ხარჯების შემცირება მოსდევს შედეგად. მსგავსი ტექნოლოგიის შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ისეთი პროდუქტული ინოვაციების დანერგვის საჭიროებამ, რომლის განხორციელება ტრადიციული ტექნოლოგიით შეუძლებელია. როგორც წესი, ტექნოლოგიურ ინოვაციებს საფუძვლად უდევს ახალი ფუნდამენტური სამეცნიერო აღმოჩენები და გამოგონებანი, რომლებიც პროდუქტის წარმოების პრინციპს არსებითად ცვლიან.

მმართველობით-ორგანიზაციული, ანუ, ინოვაციური მენეჯმენტი გულისხმობს მართვის ისეთი სისტემის შექმნას, რასაც შედეგად მოსდევს მისი გაიაფება, ოპერატიულობისა და მოქნილობის ამაღლება, ოპტიმალურობა და მომგებიანობის არსებითი ზრდა. ინოვაციის ამ ფორმის შემდეგ მიმართულებებს გამოყოფენ:

- პრინციპულად ახალი საფირმო სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
- მართვის ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა;
- წარმოებისა და მართვის პრინციპულად ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა.
- საქონლის ხარისხის მართვისა და კონტროლის ახალი სისტემის დანერგვა;
- ლოჯისტიკისა და მომარაგების ახალი სრულყოფილი სისტემების დანერგვა;

- ინოვაციური საქმიანობის ისეთი მოქნილი ორგანიზაციული ქვესტრუქტურების შექმნა, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საცდელ-საკონსტრუქტორო და დანერგვითი სამუშაოების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.

ცნობილია, რომ ინოვაციური საქმიანობა განსაზღვრული ციკლებით ხორციელდება, რომელთა მოდელის შერჩევა თვითონ სამეწარმეო სუბიექტზეა დამოკიდებული. კერძოდ, ბიზნესის თეორიაში ინოვაციური საქმიანობის ორ მოდელს განასხვავებენ - **ხაზობრივს** და **ინტერაქტიურს.** ხაზობრივი ინოვაციური მოდელის პირობებში ინოვაციური საქმიანობა მკაცრად განსაზღვრული ლოგიკური თანმიმდევრობით შემდეგ ეტაპებად მიმდინარეობს (იხ. სქემა 2.1.2.).

სქემა 2.1.2 .

ხაზობრივი ინოვაციური მოდელი



წყარო: Zverev A.v. 2009; Formation of National Innovation System: Global Experience. http://dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/a840.php

პირველი, ფუნდამენტური კვლევები, რომლებიც თეორიული, ან ექსპერიმენტული საქმიანობის ფორმით ხორციელდება. მათ უშუალო პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნიათ და საზოგადოების, ადამიანის, ეკონომიკის და ბუნების ადრე უცნობ კანონზომიერებათა აღმოჩენაზე არიან მიმართულნი. კვლევის შედეგები

სამეცნიერო აღმოჩენების სახით ფორმდება, მათ უშუალო კომერციული ღირებულება არ გააჩნიათ და თვითონ მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებას ემსახურებიან, ან მომავალი გამოყენებითი კვლევებისათვის თეორიულ საფუძველს ქმნიან;

მეორე, გამოყენებითი კვლევები, რომლებსაც გამიზნულად, კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად წინასწარგანსაზღვრული კომერციული სარგებლის მიღების მიზნით ახორციელებენ;

მესამე, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს საფუძვლად უდევს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების პირობებში დაგროვილი ცოდნა. იგი მოიცავს ტექნიკური დოკუმენტაციის, პროექტების, ნახაზების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, საცდელი ნიმუშების შექმნისა და მათი გამოცდის პროცესს. მისი საბოლოო შედეგებია ახალი საქონელი, მომსახურება, მასალები, ტექნიკა, ტექნოლოგიები და საწარმოო მეთოდები;

მეოთხე, ათვისებისა და სამრეწველო წარმოების პირობებში ფირმა ინოვაციების მასობრივი გამოყენების ეტაპზე გადადის, სადაც მათი სასარგებლო ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი მხოლოდ პოტენციის სახით გამოვლინდება;

მეხუთე, მარკეტინგული საქმიანობისა და გასაღების ეტაპი, რომელიც ინოვაციების სისტემურობის პრინციპიდან გამომდინარე ასევე ინოვაციური ბუნებისა უნდა იყოს, რომლის დროსაც მარკეტინგის უახლესი მეთოდები პრაქტიკულად გამოიცდება. ამ ეტაპზე ინოვაციების ეფექტი, თუ იგი რეალურად არსებობს, ზემოგების სახით ვლინდება.

მიჩნეულია, რომ ხაზობრივი ინოვაციური მოდელის ძირითად ნაკლს მისი მოუქნელობა და უაღრესად დინამიური ბიზნეს-გარემოს ცვალებადობის გაუთვალისწინებლობა შეადგენს. ამასთან, იგულისხმება, რომ იგი თვითდინებით დამოუკიდებლად მუშაობს და სასურველ შედეგებამდე აქტიური ჩარევის გარეშე მივყავართ, რაც ყოველთვის არ ხდება. ამიტომ, ამჟამად უპირატესობას ინტერაქტიურ ინოვაციურ მოდელს ანიჭებენ.

სქემა 2.1.3.

ფირმის ინოვაციური საქმიანობის ინტერაქტიური მოდელი



წყარო: Zverev A.v. 2009; Formation of National Innovation System: Global Experience. http://dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/a840.php

ინტერაქტიური ინოვაციური მოდელი. ასეთი მოდელის პირობებში ინოვაციების განხორციელების მკაცრი ტრადიციული თანმიმდევრობა დარღვეულია იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროების შესაბამისად წინა ეტაპებს კვლავ უბრუნდებიან.

ასეთი შეიძლება იყოს წინასწარ გაუთვალისწინებელი ისეთი პრობლემების წარმოშობა, რომლებიც ეფექტურად მხოლოდ წინა ეტაპებზე მომუშავე სპეციალისტებთან მჭიდრო კავშირში გადაიჭრება.

კონსტრუქციული ხასიათის პრობლემებმა შეიძლება გაყიდვის შემდგომი მომსახურებისა და რემონტის პროცესში იჩინონ თავი, ხოლო, საცდელი მარკეტინგული კვლევების განხორციელების საჭიროება ჯერ კიდევ სამეცნიერო მუშაობისა და საპროექტოსაცდელი დამუშავების სტადიებზე წარმოიშვას (იხ. სქემა 2.1.3.).

ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სტრუქტურა

წყარო: Zverev A.v. 2009; Formation of National Innovation System: Global Experience. http://dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/a840.php

ინტერაქტიური ინოვაციური მოდელის უპირატესობას შეადგენს მისი მაღალი ეფექტიანობა ინოვაციური საქმიანობის კოორდინაციის, სიახლეთა დონის, მომგებიანობის, ხარჯებისა და დროის ეკონომიის თვალსაზრისით.

ინოვაციური ბიზნესის წამოწყებისთვის მხოლოდ სურვილი საკმარისი არაა. საამისოდ სამეწარმეო სუბიექტმა უპირველესად შესაბამისი საკმაოდ

ძვირადღირებული ინოვაციური პოტენციალი უნდა შექმნას, რომელიც შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს მოიცავს (იხ. სქემა 2.1.4.

ინტელექტუალური პოტენციალი პირველ რიგში ესაა ინოვაციურად განწყობილი მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელსაც გააჩნია როგორც შემოქმედებითი სამეცნიერო-ტექნიკური და კომერციული აზროვნების, ისე, ინოვაციების მართვის უნარ-ჩვევები. ინტელექტუალური პოტენციალი მოიცავს აგრეთვე ბიზნესის ინოვაციურ -სტრატეგიულ გეგმას, ცალკეული ინოვაციური პროექტების ბიზნეს-გეგმების შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციას, პატენტებს, ლიცენზიებს და სხვა.

ინტელექტუალური პოტენციალის განუყოფელი ნაწილია რაციონალური და შემოქმედებითი აზროვნების პოტენციალი. მათ შორის რაციონალური აზროვნება უკვე დაგროვილი ცოდნის გამოყენებით წარმოშობილი პრობლემების ოპტიმალურ გადაწყვეტაზეა მიმართული, ხოლო, შემოქმედებითი აზროვნება ეჭვქვეშ აყენებს პრობლემათა გადაჭრის ტრადიციულ გზებს, შემოაქვს ახალი ცნებები და კატეგორიები, გვთავაზობს მოვლენათა არაორდინალურ ინტერპრეტაციას და ამ საფუძველზე ქმნის პრინციპულად განსხვავებულ ინოვაციურ ცოდნასა და მაღალეფექტურ მეთოდებს. აზროვნების ეს ფორმები კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს და ბიზნესის წარმატების აუცილებელ პირობებს ქმნიან. ამიტომ ასეთი უნარისა და განწყობის თანამშრომლები ხელმძღვანელობის მიერ მაქსიმალურად უნდა იქნან მოტივირებული. გარდა ამისა, ბიზნესში შემოქმედებითი პოტენციალის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა თანამშრომელთა საქმიანობის მინიმალური რეგლამენტირება, პრობლემათა დამოუკიდებელი გადაწყვეტისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნა და განსხვავებული აზროვნების ყოველმხრივი წახალისება.

ფინანსური პოტენციალი. ტრადიციული საქმიანობისგან განსხვავებით ინოვაციური ბიზნესი თავისი სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ სტადიაზე იმდენად დიდი მოცულობის ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, რომ იგი ნებისმიერი წარმატებული ფირმის შიდა შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომ, ინოვაციები, როგორც წესი, გარედან მოზიდული სახსრების ხარჯზე ფინანსდება. ამასთან, თუ

სასიცოცხლო ციკლის საწყის ეტაპებზე, როდესაც სამეწარმეო სუბიექტი ჯერ კიდევ თვითდამკვიდრების პროცესშია და საკუთარი ფულადი სახსრები ქრონიკულად არ ჰყოფნის, მისი ფინანსური რესურსების უდიდესი ნაწილი მოზიდულ სახსრებზე მოდის. სიმწიფის სტადიაზე კი, როდესაც იგი საბოლოოდ დგება ფეხზე და საკუთარი სტაბილური შემოსავლები გაუჩნდება, ფინანსურ რესურსებში უპირატეს წილს საკუთარი რესურსები იჭერენ.

ინოვაციური ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე ფინანსური რესურსების შიდა წყაროები შეიძლება იყოს: საწესდებო კაპიტალი, ამორტიზაციის ფონდი, კაპიტალიზებული მოგება, შიდასაფირმო კრედიტი.

ინოვაციების დაფინანსების შესაძლო გარე წყაროებია: საბანკო კრედიტი, კომერციული კრედიტი, ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან შემოსული ფულადი სახსრები, საინვესტიციო ფონდებიდან მოზიდული სახსრები, მოზიდული ინვესტიციები, სახელმწიფო სუბსიდიები. უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური ბიზნესის დაფინანსებაზე დასპეციალებული არიან ინოვაციური ბანკები და ვენჩურული კომპანიები, რომლებიც საკმაოდ რისკიან ინოვაციურ პროექტებს საკუთარი მაღალკვალიფიციური ექსპერტების დასკვნების საფუძველზე აფინანსებენ. გარდა ამისა, ასეთ ქვეყნებში ინოვაციების ხელშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი და შესაბამისად, მაღალტექნოლოგიური ინოვაციების დასაფინანსებლად საკონკურსო საფუძველზე დიდი მოცულობის გრანტები გაიცემა.

სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი საკადრო პერსონალის იმ ნაწილს მოიცავს, რომელიც უშუალოდაა ჩართული სამეცნიერო-კვლევით და დანერგვით სამუშაოებში. აქვე შედის ძვირადღირებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროები, სამეცნიერო მოწყობილობა და ხელსაწყოები, ექსპერიმენტული საამქროები, სპეციალური კომპიუტერული ტექნიკა და სხვა. საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალი გულისხმობს სამეწარმეო სუბიექტში ისეთი დონის ტექნიკისა და ტექნოლოგიების არსებობას, რომელიც თვით ყველაზე რადიკალური პროდუქტული და პროცესული ინოვაციების დასანერგადაც კი საკმარისი იქნება.

ინოვაციური საქმიანობისთვის ერთი, ან რამდენიმე ინოვაციური კომპონენტის არსებობა საკმარისი არაა. სრული ინოვაციური ატმოსფეროს შესაქმნელად აუცილებელია, რომ ყველა განხილული ინოვაციური პოტენციალი ერთიან შეკავშირებულ ორგანიზმად მუშაობდეს, რომელსაც ასევე ინოვაციური მენეჯმენტი გაუწევს კოორდინაციას. მათ შორის გადამწყვეტი როლი მოტივაციის მოქნილი მექანიზმის არსებობას ენიჭება. სათანადო მოტივაციის გარეშე თვით ყველაზე რევოლუციური, ინოვაციური იდეაც კი თავიდანვე დასაღუპადაა განწირული.

ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის მთელი სპექტრისა და მისი ყოველი ქვედანაყოფის შემოქმედებითი სინქრონული მუშაობის პირობებში მიიღწევა ერთობლივი დამატებითი ე.წ. სინერგიული ეფექტი, რომელიც თითოეული მათგანის მარტივ დაჯამებულ ძალისხმევას მნიშვნელოვნად აღემატება.

საბაზრო ურთიერთობების განვითარება გვთავაზობს საკუთრების მრავალი ფორმის თავისუფალ თანაარსებობას და განვითარებას. საბაზრო სისტემა შედგება მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესისაგან. თითოეულ ამ ჯგუფს გააჩნია თავისი თავისებურებები და შინაგანი ინტერესები, რომელიც ეხება განვითარების სტრატეგიას და სახელმწიფოსადმი და მის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას.

მცირე ბიზნესი არის მცირე მეწარმეების ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა, რომელიც თავისი რაოდენობით მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და ნაწილობრივ პოლიტიკურ დონეს. მას მიეკუთვნება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ფართო სპექტრით წარმოადგენს საქონლის, როგორც მწარმოებელს ისე მომხმარებელს. მისი პატარა ზომის ტექნოლოგიური, საწარმოო და სამმართვლო მოქნილობის გამო მცირე საწარმოებს შეუძლიათ დროულად მოახდინონ რეაგირება ცვალებად საბაზრო მოთხოვნებზე.

ცხრილი 2.1.1.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
• ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო • გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები	• სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა • კონკურენტუნარიანობის დაბალი

და განვითარებული სახელმწიფო სერვისები • ბიზნესის დაწყების მარტივი პროცედურები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკონსულტაციო მომსახურება • მთავრობა კორუფციის გარეშე • მცირე საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის • რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი • ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები: DCFTA ევროკავშირთან; თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან, GSP აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან და ნორვეგიასთან • კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა • მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტები • მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები • ახალგაზრდებში ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე • ელ. ენერგიაზე დაბალი ხარჯი	დონე • დაბალი პროდუქტიულობა • ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა • **ინოვაციების და კვლევისა და R&D დაბალი დონე** • **კვლევისა და განვითარების ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა** • ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული • შესაძლებლობები • ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა • უცხოური ბაზრების შესახებ ცოდნის დაბალი დონე • ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა • ახალი ტექნოლოგიების/ძირითადი საშუალებების მაღალი ხარჯი • მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება • ბიზნესის დახურვის სირთულე
შესაძლებლობები • ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა • კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება • DCFTA-ის ეფექტიანი გამოყენება - ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები • მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში [63] • ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები DCFTA-ის მოთხოვნების შესრულების სფეროში [57] • თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებთან და ჩინეთთან [62]	**საფრთხეები** • შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.) • ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება • პოლიტიკური არასტაბილურობა • მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე • არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები • საერთაშორისო კონკურენციის ფონზე მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები • DCFTA-ის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და მათთან ადაპტაციის დაბალი დონე

• შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა • კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა - შემცირებული ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში • წარმოების დივერსიფიკაცია • საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია • კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება • ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება • თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა • განგრძობითი სამეწარმეო განათლების განვითარება • ევროპულ საწარმოთა ქსელში (Enterprise Europe Network) ინტეგრაცია - სავაჭრო კავშირები ევროკავშირში არსებულ კომპანიებთან • მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა • მეწარმეთა გაზრდილი მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში საჯარო კერძო დიალოგის სტრუქტურირებული ფორმატის შექმნის გზით	• ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო საწარმოების არასაკმარისი მონაწილეობა • საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა

მოცემული SWOT ანალიზი მოიცავს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებზე. ამ ტიპის ანალიზის საფუძველზე შევეცდებით გავნსაზღვროთ საქართველოში ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითერების პრობლემები და პერსპექტივები.

მეწარმეობის პრობლემებს ახასიათებს მასშტაბურობა, სირთულე და მრავალსახეობა რაც კომპლექსური პროგრამული მიდგომის საჭიროებას წარმოშობს. გარდა ამისა აუცილებლობას წარმოადგენს კოორდინაციაში არასამთავრობო ორგანიზაციების მაგალითად მეწარმეთა კავშირის ჩარევა.

მცირე ბიზნესი არის სამეურნეო საქმიანობის რესურსდამზოგი ფორმა, რომელიც დღესდღეობით დგას მრავალი პრობლემის წინაშე. მათ შორის აღსანიშნავია

ფინანსური რესურსების, ბიზნესის მდგრადობის, მსხვილი საწარმოების წარმოებისა თუ რეალიზაციის მსხვილ ჯაჭვში ჩართვის პრობლემა. ისტორიულმა კატაკლიზმებმა უარყოფითად იმოქმედეს მსხვილი ბიზნესის არსებობაზე. ამ მოვლენებს საქართველოში განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა ჰქონდა საკუთრების ფორმის ჩამოყალიბების პროცესზე. როგორც ვნახე (სქემა. 2.1.1.) არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირებას, ამ ზომის საწარმოები ავსებენ მსხვილ ბიზნესებს შორის ნიშებს. მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს სულ უფრო მეტი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- მას გააჩნია შესაძლებლობა შედარებით მცირე თანხებით მოხდეს საწარმოოს სრული ტექნიკური უზრუნველყოფა;
- არსებობს მეტი შესაძლებლობა მეცნიერებატევადი მომსახურეობისა;
- არსებობს სატანდარტული მომსახურეობის ნაცვლად პერსონიფიცირებული მომსახურების მიღების საშუალება;
- მცირე და საშუალო საწარმოები მობილიზებული არიან რეგიონული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ამით ხელს უწყობენ რეგიონის განვითარებას.

თუმცა მიუხედავად აქ ჩამოთვლილი დადებითი ფაქტორებისა მცირე და საშუალო ბიზნესი ბევრი პრობლემის წინაშე დგას, მათ შორის:

1. ნაკლებია საფინანსო სექტორის ნდობა და შესაბამისად ფინანსური რესურსების წვდომა, მაღალია საპროცენტო განაკვეთი.
2. ნაკლებად ხელმისაწვდომია ინოვაციები.
3. დიდი პრობლემებია მცირე და საშუალო საწარმოს მენეჯმენტში.
4. არ არსებობს კავშირი და შესაბამისად ინფორმაციის გაცვლის დეფიციტია სამეწარმეო სუბიექტებს შორის.
5. ძნელია ქვეყნის ბაზარზე დამკვიდრება, საერთაშორისოზე გასვლა უფრო რთული.
6. პროფესიული კადრების სიმცირეა.

თუ მსხვილი ბიზნესი ხელს უწყობს საერთო სამეურნეო ეფექტურობის ამაღლებას სამეურნეო საქმიანობის მასშტაბების ხარჯზე, მცირე ბიზნესი მეურნეობას ანიჭებს მოქნილობას და მობილურობას. მცირე საწარმოებს დიდი სოციალური მნიშვნელობა გააჩნიათ, რომელიც შემდეგში გამოიხატება :

- ქმნიან მცირე მესაკუთრეების დიდ ფენას.
- ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს , შესაბამისად ამცირებენ უმუშევრობის სოციალურ დაძაბულობას და ხელს უწყობენ ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას .
- იცვლება საერთო საზოგადოებრივი ფსიქოლოგია. მცირე ბიზნესი საშუალებას აძლევს ადამიანს გამოავლინოს საკუთარი მეწარმობრივი შესაძლებლობები.
- უფრო მასშტაბური ხდება ცოდნის, გამოცდილების, ენერგიის და შრომისუნარიანობის გამოყენება.

მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის თანაარსებობის და მათ წინაშე მდგარი პრობლემების შეფასებაში დაგვეხმარება მოცემული ცხრილი:

ცხრილი2.1.2

მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლები 2016 წ.

მაჩვენებელი	ბიზნესის სახეები		
	მსხვილი	საშუალო	მცირე
დასაქმებულთა რიცხ. ნორმა	100-ზე მეტი	20-100	20-ზე ნაკლ.
დასაქმებულთა რაოდენობა	356543	100843	169353
დასაქმებული %	56,9	16,1	27
ბრუნვა, მლნ. ლარი	47019,5	4792,4	5173
ბრუნვა %	82,5	8,4	9,1
პროდუქციის გამოშვება, მლნ. ლარი	24107,5	2923,8	2962,6
გამოშვება %	80,4	9,7	9,9
საწარმოთა რაოდენობა	4224	7193	78986
საწარმოთა რაოდენობა %	4,7	8	87,3

წყარო: საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 22.12. 2017

თუ გავაანალიზებთ მონაცემებს დავინახავთ, რომ მსხვილ ბიზნესში დასაქმებულია დასაქმებულთა 56,9%, რომლებიც ახორციელებენ მთელი საქონელბრუნვის 82,5%-ს და ქმნიან მთელი პროდუქციის 80,4%-ს. ეს მიანიშნებს,

რომ მსხვილი ბიზნესის ორგანიზაციის დონე დამაკმაყოფილებელია, რასაც ვერ ვიტყვით საშუალო და მცირე ბიზნესზე.

საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა 16,1% ახორციელებს მთელი საქონელბრუნვის 8,4%-ს და ქმნის მთელი პროდუქციის 9,7%-ს. მცირე ბიზნესში დასაქმებულთა 27% ახორციელებს მთელი საქონელბრუნვის 9,1%-ს და ქმნის მთელი პროდუქციის 9,9%-ს. აქ კარგად მოჩანს, რომ მცირე ბიზნესის მწარმოებლურობა საკმაოდ მცირეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მრავალმხრივ დახმარებას მოითხოვს. რაც შეეხება საშუალო ბიზნესს აქ იკვეთება არა მარტო მისი დაბალი მწარმოებლურობის პრობლემა, არამედ საშუალო ზომის საწარმოების რიცხოვნობის პრობლემაც. ამის გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთი დაბეგვრის მექანიზმია, რომელიც მცირე საწარმოებს არ ეხმარება თანდათან საშუალო საწარმოებად ჩამოყალიბდნენ.

ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას კარგად ასახავს 2012-2016 წლების სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. (ცხრილი 2.1.3.)

ცხრილი 2.1.3.

სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2012-2016 წწ.)

	2012	2013	2014	2015	2016
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობაერთეული	472557	505974	541289	564549	598947
ბრუნვა, მლნ.ლარი	42048.0	44327.9	50064.7	56984.8	64081.8
გამოშვებული პროდუქცია,მლნ. ლარი	23096.0	23553.6	26068.6	29993.9	34156.9
დამატებული ღირებულება, მლნ.ლარი	11190.7	12139.1	12849.5	14761.0	16772.4
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	11905.3	11414.5	13219.2	15232.9	17348,5

ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი	18625.8	20346.4	23183.9	24829.9	28195.1
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	534397	550885	592147	626739	666790
საშუალო თვიური ხელფასი, ლარი	714.3	760.1	800.5	896.8	938.3

მომსახურების სფეროს პროცენტულმა ზრდამ განაპირობა შესაბამისად მცირე საწარმოების უმეტესად მომსახურეობის სფეროში შექმნა.ამ მხრივ გარკვეული პრობლემებია წარმოების სფეროში.რაც განპირობებულია: ბიზნესის ტექნიკით და ტექნოლოგიებით უზუნველყოფის დეფიციტით, ასევე სესხის მაღალი საბანკო პროცენტით, პროფესიული კადრების სიმცირით, ტექნოპარკების არ არსებობით.

ინტერესს იწვევს დიდი და მცირე საწარმოების თანამშრომლობა აუტსორინგის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მსხვილი ფირმა მცირეს გადასცემს წარმოების გარკვეულ ფუნქციას ან ბიზნეს-პროცესს იმ პირობის საუძველზე, თუ მსხვილ ფირმას უფრო ძვირი დაუჯდება მისი წარმოება, ვიდრე მცირეს.

აუტსორინგი ფართოდ გამოიყენება საქმიანობის ყველა დარგში, მაგრამ ყველაზე ეფექტური გახდა ინოვაციურ პროექტებში. ამას მოწმობს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ათვისების გამოცდილება მოწინავე ქვეყნებში. მაგალითად, რუსეთში ასეთია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელსაკონსტრუქტორო სამუშაოები ან ნანოტექნოლოგიები. ნანოტექნოლოგიების კვლევამ დიდი სახელმწიფო მხარდაჭერა მოიპოვა განვითარებულ ქვეყნებში.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კომპანიის ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.

აქედან გამომდინარე, აუტსორსინგი, არის რესურსების ოპტიმიზაციის მექნიზმი მცირე მეწარმეებისთვის. ეს განაპირობებს ფინანსურ რესურსების ეფექტურ გამოყენებას. მეორე მხრივ, თვით აუტსორსინგის მექანიზმის განვითარება ეხმარება მცირე ბიზნესს. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ახალი მომსახურების

აუტსორსინგის ბაზარზე უმეტესი ნაწილი სუბიექტებისა სწორედ მცირე საწარმოებია, რომლებიც სთავაზობენ დიდ და საშუალო კომპანიებს ვიწროსპეციალიზირებულ და ინოვაციურ პროდუქტს.

შეიძლება გამოიყოს ის დადებითი მხარეები, რომელიც ახასიათებს აუტსორსინგის გამოყენებას მცირე ბიზნესში: მოგების ზრდის შესაძლებლობა; სხვისი გამოცდილების გამოყენება; მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ზრდის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას; მომსახურების ხარისხის და საიმედობის გაზრდა.

დადებით ფაქტორებთან ერთად არის უარყოფითიც. ესენია: საფრთხე საწარმოს მხრიდან, რომელიც წარმოიშობა ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქციის აუტსორსინგზე გადაცემით; მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაჟონვის საშიშროება.

ზემოთ აღნიშნულის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აუტსორსინგი არის მცირე და მსხვილი ბიზნესის ინტეგრაციული თანამშრომლობის პერსპექტიული ფორმა, რომლის საფუძველზეც მცირე ბიზნესის ფინანსური სიმყარე იზრდება და ხდება შიგა და გარე ხარჯის ოპტიმიზაცია.

მცირე საწარმოებისათვის მაღალტექნოლოგიური ძირითადი ფონდების უკმარისობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მოწყობილობის ლიზინგით, რომლის საშუალებითაც მცირე საწარმოები, რომლებსაც საკმარისი სახსრები არ გააჩნიათ მაღალტექნოლოგიური აპარატურის შესყიდვისა და საბანკო რესურსებიც მიუწვდომელია, საშუალება ეძლევათ გამოიყენონ ახალი პროგრესული აპარატურა და ტექნოლოგიები.

ლიზინგი მცირე საწარმოებს დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს, თანაც ამცირებს რისკის ცალკეულ ფაქტორებს ინვესტიციური ბაზრის წარმომადგენლებისათვის. ლიზინგი საშუალებას იძლევა შემცირდეს ძირითადი ფონდებისათვის საჭირო ინვესტიციების თანხის მოძიება. მაძიებლებს სთავაზობს ინვესტიციის სახით არა ფულად სახსრებს არამედ მანქანა-დანადგარებს, რომელიც გირაოს სახითაც შეიძლება იქნას გამოყენებული. ამით შესაძლებელი ხდება დარჩენილი სახსრები უფრო მოქნილად იქნას განკარგული.

სამწუხაროდ, თანამედროვე სალიზინგო კომპანიები არ არიან ორიენტირებული მცირე საწარმოებზე, როცა საზღვარგარეთის ქვეყნების მცირე საწარმოებზე მოდის სალიზინგო გარიგების 60-80%.

მცირე საწარმოების თითქმის 80% საჭიროებენ სალიზინგო მხარდაჭერას როგორც უცხოური კომპანიებიდან, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებიდანაც. სალიზინგო მომსახურების მოთხოვნა- მიწოდებას შორის არსებობს დიდი განსხვავება. განსაკუთრებით ჭარბობს სალიზინგო მიწოდება ქალაქად, რაც განაპირობებს სოფლად მოთხოვნა-მიწოდების დისპროპორციას. ამჟამად ბანკები იწყებენ სალიზინგო პროგრამების შემოთავაზებას, მაგრამ ეს მხოლოდ ჩანასახის პროცესშია. სალიზინგო მომსახურების განუვითარებლობის მიზეზებია: გრძელვადიანი დაფინანსების დაბალი მიღწევადობა; სასამართლოში საკუთრების დაცვის სისტემის არარსებობა. ლიზინგის გამცემი ბევრ პრობლემას აწყდება სალიზინგო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ქონების უკან დაბრუნებაზე; არ არის განვითარებული დანადგარების მეორადი ბაზარი; სალიზინგო მომსახურების შესახებ არსებობს მწირი ინფორმაცია და იგი საჭიროებს პოპულარიზაციას; კარგად არ არის დამუშავებული სალიზინგო ხელშეკრულებების მომზადების ნორმატიული ბაზა;

საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და სუვერენულ სახელმწიფოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ეძლევა შანსი ჩაერთოს თანამედროვე ინტეგრაციულ პროცესებში, გამოიყენოს დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილება და აირჩიოს საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის დასაბუთებული, აპრობირებული სტრატეგია. ამ თვალსაზრისით უზარმაზარია ევროპასთან ასოცირებული ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელების მნიშვნელობა. [43, გვ.43]

ინდუსტრიული ეკონომიკა მოითხოვდა ტექნოლოგიების, ცოდნისა და ჩვევების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტურ მასიურ წარმოებას. ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში ეს პრობლემა წინააღმდეგობაში გადაიზარდა მიზნების შეუსაბამობის გამო. ინფორმაციული ეკონომიკა

ორიენტირებულია ინოვაციებზე და უზრუნველყოფს ინიცირებული იდეების გენერირებით ახალი გადაწყვეტილების რეალიზაციას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შედარებით მომგებიანი და ეფექტური საქმიანობა რეალურად ამცირებს ტერიტორიის ეკონომიკურ პოტენციალს. ეს არის შედეგი რესურსების დაუბალანსებელი გამოყენებისა.

ცხადია რომ განვითარებული რეგიონები ნედლეულის დაზოგვით ეძებენ გამოსავალს. რესურსის დაზოგვა და ჩანაცვლება არის მეწარმეთა გრძელვადიანი სტრატეგია. ტექნიკის და ტექნოლოგიების სრულყოფის გზით ერთი ამოწურვადი რესურსი შეგვიძლია ჩავანაცვლოთ სხვა უფრო გავრცელებულით. ამან კი შეიძლება იქამდეც მიიყვანოს რესურსებზე ორიენტირებული რეგიონი, რომ არა მარტო დაკარგოს თავისი ადგილი მსოფლიო შრომის დანაწილებაში, არამედ დაკარგოს დიდი წილი ნაციონალურ საქონელწარმოებაში.

ერთადერთი გამოსავალი ასეთი რეგიონებისათვის არის ისეთი სარესურსო - ინოვაციური პოლიტიკის გატარება, რომელიც რეგიონს ისეთი ახალი ეკონომიკური სისტემის დონეზე გაიყვანს, რომელსაც ახასიათებს სტრატეგიული კონკურენტუნარიანობა და ორიენტირებულია მზარდი პოტენციალის მქონე დაბალანსებულ ეკონომიკაზე.

ინოვაციური ტექნოლოგიების და ტექნიკის დანერგვა დაკავშირებულია სამეცნიერო - საკვლევი და საცდელ - საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებასთან, ამისათვის კი სახსრები ბევრ ქვეყანას არ აქვს. ინტელექტუალური რესურსების მზარდი ჩამორჩენილობა იწვევს წინააღმდეგობას ეფექტური სარესურსო - ინოვაციური პოლიტიკის გატარებაში.

აქედან გამომდინარე საერთაშორისო და მსოფლიო ინტეგრაციის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს თანამშრომლობა მეცნიერებატევად და რესურსტევად ქვეყნებს შორის.

შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რეგიონის ინოვაციური განვითარების ძირითადი პრობლემები:

1) დანერგვის მექანიზმი. რეგიონი ან საწარმო, რომელიც აქტიურად ნერგავს ინოვაციებს უნდა ეყრდნობოდეს იმ მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს მათი დანერგვის პროცესის ეფექტურობას. ესენია:

- განუწყვეტელი საინოვაციო - საინვესტიციო განვითარების მექანიზმი.
- წარმოების გარე და შიგა ინტეგრაციის მექანიზმი.
- ინოვაციური რესურსების ზრდის მექანიზმი.

2) იდეის შერჩევა. ბიზნეს იდეების განსაზღვრული კრიტერიუმებით წინასწარი შერჩევა ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. ინოვაციური მოქმედების სისტემის შემცირების მიზნით აუცილებელია პროექტების საგულდაგულო შერჩევა.

3) თანადროულობა, ინოვაციების შემუშავების და დანერგვის სიჩქარე განსაზღვრავს განვითარების ეფექტურობას და მდგრადობას.

4) დინამიურობა და კომპლექსურობა. ჩვენთვის ინოვაციური სტადია არის მოკლევადიანი პერიოდი პოტენციალის ძველი მდგომარეობიდან ახალ მდგომარეობაში გადასვლისა. ამასთან ინოვაციური სტადია ეხება, როგორც რესურსების არსს აგრეთვე მათ გამოყენებას, გარადქმნას და განაწილებას.

5) პოტენციალის ზრდა. ამ დროს შეიძლება მიღწეული იქნას სისტემის ეფექტურობის ზრდა რესურსების მასიური გამოყენებიდან - ხარისხობრივ გამოყენებაზე მიზნობრივი გადასვლის გზით.

6) რაციონალურობის მხარდაჭერა. ინოვაციური განვითარება შეიძლება იყოს ოპტიმალური და არაოპტიმალური. არაოპტიმალურია მაშინ, როცა პერსპექტივის არმქონე ცვლილებათა რიცხვი მეტია პერსპექტიულ ცვლილებათა რიცხვზე.

7) რესურსების ხარჯვის შემცირება. თუ ინვესტიციები არ არის რაციონალური მაშინ მას მივყავართ რესურსების დაკარგვასთან ამ შემთხვევაში კი დანაკარგი საკმაოდ დიდია.

8) კონკურენტული შეზღუდვები. უარყოფითი ინოვაციური ეფექტი დაკავშირებულია კონკურენციისთვის ზედმეტ ინოვაციურ დანახარჯებთან, როდესაც ფირმა ატარებს განუწყვეტელი ინვესტიციურ - ინოვაციური განვითარების პოლიტიკას, თავისთავს აქცევს მუდმივი ინვესტიციური მოთხოვნების ჩიხში.

9) პოტენციალის დივერსიფიკაცია. ამა თუ იმ ფაქტორის აღმატებულობის ხასიათი განაპირობებს რეგიონების პოლარიზებას. რესურსების მოხმარების სხვაობა შესაძლებელია კომპენსირებული იქნას ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის გზით.

10) სუბიექტების ინტერესი. ინოვაცია არის ადამიანის და ბიზნესის აქტიურობა - მოღვაწეობის სპეციფიური ფორმა, რომელიც თავის თავში მოიცავს ეკონომიკურ, ტექნიკურ და სოციალურ შემადგენლებს და ასახავს ეკონომიკური სისტემის სტრატეგიულ, ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ინტერესებს.

აქედან გამომდინარე ინოვაციური პროცესების ინტენსივობა განსაზღვრავს ბიზნესის მესაკუთრეების დღევანდელ და მომავლის ხედვას, მათ სურვილს ხანგრძლივი დროით გააკეთონ ბიზნესზე პასუხისმგებლობის პერსონიფიცირება.რეგიონის ინვესტიციებსა და ინოვაციებზე მისწრაფება კარგად მოჩანს ფონდების განახლების კოეფიციენტში და როცა მოგება ბევრჯერ ამეტებს ფონდების ღირებულებას ამავდროულად კი გასაღების კოეფიციენტი ძალიან დაბალია შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რეგიონში ინოვაციური ცვლილებების დაბალი მოთხოვნილებაა. [43, გვ. 37]

რეგიონის პოტენციალის ფორმირების საფუძველს ადრე წარმოადგენდა მოსახლეობის მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურეობაზე. ასევე სახელმწიფო პოლიტიკის, როგორც სამხედრო ასევე წარმოებრივი რეალიზაცია.თანამედროვე პერიოდში საზოგადოების ინტერესების იქეთ არსებობს კორპორაციების ინტერესები, რომლებიც ცდილობენ მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედება იქონიონ. თვითონ ეკონომიკური პოტენციალი გაიყო სხვადასხვა სუბიექტების პოტენციალებად, რომლის ნაწილი ფორმირებულია, როგორც არა მოთხოვნაზე ორიენტირებული არამედ, როგორც მოცემული სუბიექტების ინტერესების გამტარებელი.

ჩვენი აზრით დაჩქარებული ინოვაციური განვითარების სტრატეგიის რეალიზაციისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ეკონომიკური იდეოლოგია, მნიშვლეოვანია:

- საფუძვლიანი და სრული ინფორმაცია იქნას წარმოდგენილი რეგიონში ბიზნესის ეკონომიკურ მიმზიდველობაზე.

- ინფრასტრუქტურული პირობების შექმნა რეგიონებს შორის პოტენციალის გათანაბრებისათვის.

მხარდაჭერის მექნიზმის მთავარი ელემენტებია:

- მეწარმეების დახმარება საგარეო ურთიერთობის და მართვის ფუნქიცების შესრულებაში. კვაზი ოფისების (ტექნოპარკების, ბიზნეს - ცენტრების, ბიზნესინკუბატორების და ა.შ.) შექმნის გზით. მათი დახმარებით შეიძლება გადაწყდეს იურიდიული, ბუღალტრული და სხვა მრავალი პრობლემა, რომელიც ბიზნესის შექმნის და განვითარების თანმდევია. ყოველივე ამას მნიშვნელოვნად შეუძლია შეამციროს მმართველობითი ხარჯები.

- საწარმოების დახმარება პირველადი კაპიტალდაბანდებების დაფინანსების ორგანიზებაში დაფინანსების სქემებითა და ინსტიტუტებით, როგორიცაა (ლიზინგი, გრანტი და საკრედიტო კოოპერატივი). ეს მნიშვნელოვნად ამცირებს დარგში შესვლის ფინანსურ ბარიერებს.

ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერის მთავარი მიზანი მისი ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნაა. მხარდაჭერის სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს:

- ინფორმაციულ, კონსალტინგურ და მარკეტინგულ მომსახურებაზე.

- ანალიტიკური ხასიათის რესურსებით მომსახურებაზე, მათ შორის დაფინანსების ორგანიზებაში.

ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ძიება და გამოვლენა შემდეგ კი ამ ინფორმაციის წარდგენა ბიზნესზე არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ინოვაციურ სტრატეგიაში.

ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნება რეგიონულ განვითარებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შეძლონ წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და კვალიფიციური კადრების გადამზადების სამუშაოების ერთმანეთთან დაკავშირება.ამით თითოეული ეს მიმართულება თავის სასიცოცხლო ფუნქციას შეიძენს და გაცილებით ქმედუნარიანი და განვითარებაზე ორიენტირებული გახდება.

ევროინტეგრაციის პროცესში ერთერთიმნიშვნელოვანი მოთხოვნაა ქვეყნის რეგიონალური საინოვაციო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება. [93, გვ. 317]

ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებულ პრიორიტეტებში კარგად მოჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება მეწარმეობის განვითარებაზე. [32] 2014 წელს იქნა შექმნილი: — ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტო, ანუ რომელიც ვალდებულია ხელი შეუწყოს ორგანიზაციის და კვლევით საქმიანობებს ან ახალი პროდუქციის შექმნას ან მის გაუმჯობესებას. [31]

- მეწარმეობის განვითარების სააგენტო - მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებას ითვალისწინებს. [18]

საეთერო ტელემაუწყებლობა გადავიდა ციფრულ ტელემაუწყებლობაზე. რაც საკმაოდ ძვირადღირებული ინოვაციაა და ზემოქმედებს დახვეწილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

- მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული სოფლის მეურნეობის დახმარებისათვის: როგორც შეღავათიანი კრედიტების სახით ისე ინოვაციური პროექტების წახალისებისათვის. ინტელექტუალური რესურსების მობილიზაცია არის გარანტი და წინამძღვარი რეგიონის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა საერთაშორისო დონეზე.

2.2 სამეწარმეო საქმიანობის საინვესტიციო უზრუნველყოფა

უცხოური ინვესტიციები ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ის ავითარებს ქვეყნის ეკონომიკას და ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობა და ამ საწარმოსთან დაკავშირებული ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოება. [30] სტატისტიკური მეთოდოლოგიის მიხედვით, პირდაპირი ინვესტორი საწარმოს აქციების მინ. 10 პროცენტს უნდა ფლობდეს.

საგარეო სექტორის სტატისტიკის მეთოდოლოგიური განმარტების მიხედვით, ინვესტიციები მოიცავს: სავაჭრო კრედიტებს, ავანსებს, სესხებს, ნაღდ ფულს, დეპოზიტებს, სხვა აქტივებსა და ვალდებულებებს. [37]

2001 წლის ივნისში, ეკონომისტებმა პრაკაშ ლუნგანმა და ასაფ რაზინმა, გამოაქვეყნეს სტატია, სადაც განიხილეს ყველა ის მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც მოაქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებისთვის. ესენია: [77, გვ. 21-26]

1. ტექნოლოგიური ცვლილებები (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხდება საწარმოო ფაქტორების გამრავალფეროვნება და განახლება), ასევე კონკურენციის ზრდა ადგილობრივ ბაზარზე
2. თანამშრომლების გადამზადება (იმისათვის რომ ინვესტორს ჰყავდეს კვალიფიციური კადრი, იგი ახდენს მის გადამზადებას ახალი საქმის ასათვისებლად, ეს კი ხელს უწყობს ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის ზრდას)
3. საგადასახადო შემოსულობების ზრდა (უფრო კონკრეტულად, მოგების გადასახადის ნაწილში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა იწვევს დასაბეგრი შემოსავლების ზრდას, რაც თავის მხრივ ზრდის ქვეყნის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობებს).

მსოფლიოში აპრობირებულია შერეული ეკონომიკური სისტემა, რომელსაც შუალედური მდგომარეობა აქვს კაპიტალიზმსა და საკომანდო ეკონომიკას შორის. ამ ეკონომიკისათვის დამახასიათებელია, როგორც თავისუფალი მეწარმეობა, ასევე სახელმწიფო სამეწარმეო სექტორი. კერძო სექტორში ფართოდ არის წარმოდგენილი მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესი ქმნის ახალ ნაწარმს, იყენებს ახალ ტექნოლოგიებს, იღებს ახალ მარკეტინგულ გადაწყვეტილებებს, ავსებს დიდ საწარმოებს შორის არსებულ ნიშას და უფრო ელასტიურს ქმნის მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას. ასაქმებს მრავალ ადამიანს, არის ფულის მნიშვნელოვანი მასის შემომტანი ეკონომიკაში, უფრო ხშირად მიდის რისკზე ვიდრე დიდი კომპანიები, ნაკლები აქვს იერარქიული მართვის ხარჯები და შესაბამისად არ ჭირდება დამატებითი კონტროლი.

დღეისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოდინებას საქართველოში. დიდი ინვესტიციები ხელს შეუწყობს მრეწველობის განვითარებას, სესხის გაიაფებას და წარმატებული სამეწარმეო გარემოს შექმნას. ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე ასახავს: რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპეტივა. ამ თვალსაზრისით გავაანალიზებთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შესახებ (იხ. ცხრილი 2.2.1.)

ცხრილი 2.2.1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
452	1 170	1750	1 564	658	813	1 048	911	949	1 763	1 576	1565	1 346

წყარო:საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

ცხრილიდან ჩანს, რომ 2009 წლის მსოფლიო კრიზისის შემდგომ პერიოდში ინვესტიციების სიდიდე შემცირდა და შემდგომ 2014 წლისთვის კვლავ მიაღწია კრიზისამდელ პერიოდს და შეადგინა 1763 მლნ აშშ დოლარი. 2017 წელს, წინასწარი მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდემ 1346 მლნ. დოლარი შეადგინა და იგი წინა წელთან შედარებით 14 %-ით არის შემცირებული. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2014 წელს ზრდამ 2013 წელთან შედარებით 85% შეადგინა, შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი კლება ინვესტიციების მოცულობაში საგანგაშო არ არის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2012 წლიდან 2016 წლამდე საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 6 821 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2016 წელს საქართველოში 1 645 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია დაფიქსირდა, რაც 5% -ით აღემატება 2015 წლის მონაცემებს.

დიაგრამა 2.2.1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2012-2016 წლებში კვარტლების მიხედვით

(მლნ. აშშ. დოლარი)



წყარო:საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

2016 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობა წინა წელთან შედარებით 5%-ით გაიზარდა, ხოლო გაერთიანებული სამეფოდან მიღებული FDI 69% შემცირდა.

რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით FDI რეიტინგს, 2015 წლის მონაცემების მიხედვით FDI რეიტინგის სათავეშია აზერბაიჯანი (549,6 მლნ აშშ დოლარი), მეორე ადგილს იკავებს გაერთიანებული სამეფო (386 მლნ აშშ დოლარი), ხოლო მესამე ადგილს ნიდერლანდები (155,3 მლნ აშშ დოლარი). [37]

2016 წლის მონაცემების მიხედვით პირველ ადგილზეა ისევ აზერბაიჯანი (FDI გაიზარდა 5%-ით), საიდანაც 578,4 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, მეორე ადგილზეა თურქეთი (272,3 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია), ხოლო მესამე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო (UK) - 120,8 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაერთიანებული სამეფოს FDI-ის მოცულობა 2016 წელს 69 %-ით შემცირდა წინა წლის მონაცემებთან შედარებით.

რამდენადაც ქვეყნების მიხედვით FDI რეიტინგის ათეულში გაერთიანებული სამეფო არის ერთადერთი ქვეყანა რომელშიც, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა მაღალი პროცენტული მაჩვენებლით (69%-ით), დეტალურად შევჩერდებით ამ საკითხზე.

2015 წელს გაერთიანებული სამეფოს FDI-დან (386 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი FDI-ის 25%) ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოც. დახმარების სექტორში(139 მლნ აშშ დოლარი), საფინანსო სექტორში [38](98 მლნ აშშ დოლარი) და სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში (89 მლნ აშშ დოლარი).

2016 წელს გაერთიანებული სამეფოს FDI-ის სამეული სექტორის მიხედვით იგივეა რაც 2015 წელს, თუმცა განსხვავებულია ინვესტირების მოცულობები: საფინანსო სექტორი - 125 მლნ აშშ დოლარი, ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარების სფერო - 28,9 მლნ აშშ დოლარი და სასტუმროები და რესტორნები - 23 მლნ აშშ დოლარი.

დიაგრამა 2.2.2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით 2016



წყარო: საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

დიაგრამა 2.2.3.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით

საქართველოში 2017 წელს (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო:საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

სექტორების მიხედვით, საქართველოში 2016 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი, ისევე როგორც 2015 წელს, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაზე მოდიოდა, სადაც 645 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა (მთლიანი ინვესტიციების 39 %), მას მოჰყვა ენერგეტიკის სფერო - 202,7 მლნ. აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 12%), მშენებლობა - 163,5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 10%), საფინანსო სექტორი 135,8 - აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 8 %), დამამუშავებელი მრეწველობა - 120,4 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციის 8%), სასტუმროები და რესტორნები - 110,8 მლნ აშშ დოლარი (7 %), უძრავი ქონება - 69,7 აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 4%), სამთომოპოვებითი მრეწველობა - 38 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 2%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება - 27,1 აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 2%), სოფლის მეურნეობა, თევზჭერა - 10 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 1%) და დანარჩენი სექტორები (განათლება, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება) – 122 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 7%) (იხ. დიაგ. 2.2.4)

დიაგრამა 2.2.4

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით, 2016



წყარო :საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2015 წელს ყველაზე დიდი ინვესტიციები ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელდა, რომელსაც მოჰყვა საფინანსო სექტორი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, სასტუმროები და რესტორნები, ჯამში 1,042 მლნ აშშ დოლარი.

2016 წელს აისეტისა (ISET) [72] და გერმანული ეკონომიკური ჯგუფის (GET Georgia) [67] მიერ ჩატარდა ერთობლივი კვლევა, სადაც წარმოდგენელია 2015 წელს საქართველოში განხორციელებული FDI- ის ყველაზე დიდი პროექტები:

1. სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი (SCPX) – 556 მლნ აშშ დოლარი
2. „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი"-ს მიერ აქციების განთავსება ლონდონის საფონდო ბირჟაზე (IPO) 100 მლნ აშშ დოლარი
3. ისთ ფოინთ თბილისი მოლის მშენებლობა - 100 მლნ აშშ დოლარი
4. შუახევის ჰესის მშენებლობა - 100 მლნ აშშ დოლარი
5. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი - 66 მლნ აშშ დოლარი
6. ნენსკრა ჰესის მშენებლობა - 30 მლნ აშშ დოლარი

სხვადასხვა ქვეყნებში, ეროვნული სააგენტოები სხვადასხვა პერიოდულობით (კვარტალურად ან წლიურად) აქვეყნებენ FDI-ის მაჩვენებლებს. საქართველში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება საქსტატის მიერ საწარმოთა პირდაპირი გამოკვლევიდან და კომერციული ბანკების ანგარიშგებიდან, ხოლო დამატებითი ინფორმაციის მოზიდვა ხდება ინტერნეტიდან და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან. ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წანამძღვარია. ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრძელვადიანი და არასპეკულაციური ინვესტიციების მოზიდვას, აქ უნდა განვიხილოთ ორი პრობლემა:

1. ძნელია ინვესტიციების მოპოვება.
2. თითქმის არ არსებობს ინვესტიციების მართვის საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი.

უფრო სრული ანალიზისათვის განვიხილოთ 2015 და 2016 წლები კვარტლების და შემადგენელი ნაწილების მიხედვით ინვესტიციური შემოდინებები. (ცხრილი 2.2.2) ცხრილის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსული სააქციო კაპიტალი, კერძოდ 608,7 მლნ. ა.შ.შ. დოლარით. რეინვესტირებაში მოგება-დივიდენდებს შორის სხვაობა, რომელიც IV კვარტალში გაიცემა შემცირდა 45,1 მლნ.ა.შ.შ.დოლარით, რამაც ხელი შეუწყო წლის განმავლობაში რეინვესტირების თანხა გაზრდილიყო 141 მლნ.ა.შ.შ. დოლარით. შემოსავლების ასეთმა მოდინებამ განაპირობა სავალო ვალდებულებების შემცირება. თუ 2015 წელს აღებული იქნა 195,3 მლნ. ა.შ.შ. დოლარი ვალი 2016 წელს დაიფარა 553მლნ.ა.შ.შ. დოლარი.

დღეს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და სუვერენულ სახელმწიფოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ეძლევა შანსი ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში, გამოიყენოს დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილება და აირჩიოს საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის დასაბუთებული, აპრობირებული სტრატეგია. რაც დაგვეხმარება შეცდომების თავიდან აცილებაში.

ცხრილი 2.2.2.

ინვესტიციური ნაკადები 2015-2016 წლებში

წელი	2015					2016				
კვარტალი	I	II	III	IV	სულ	I	II	III	IV	სულ
სულ	291,5	462,7	483,2	327,1	1564,5	390,1	404,3	501,3	270,2	1565,9
სააქციო კაპიტალი	230,8	333,2	289,1	369,9	1223	1010,9	269,2	255,6	296	1831,7
რეინვესტირება	44,1	54,3	112,1	-64,2	146,2	15,8	81,9	208,5	-19,1	287,2
სავალო ვალდებულება	16,6	75,2	82	21,4	195,3	-636,7	53,1	37,2	-6,7	-553

წყარო: საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

საინვესტიციო პოლიტიკაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონული საინვესტიციო სისტემის ჩამოყალიბებას და კვლევას. რეგიონის მიერ საინვესტიციო პრობლემების გადაწყვეტა საჭიროებს სამუშაოთა კომპლექსს, რომელიც მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული.

სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათი სამართლებრივი უზრუნველყოფა, რეგიონული საინვესტიციო ბიუჯეტის ჩამოყალიბება და კავშირი სახელმწიფო საინვესტიციო ბიუჯეტთან.

გერმანელი მეცნიერის ბ.კერნი ინვესტიციებს განიხილავს ძირითადი და მეორე ხარისხოვანი გამოვლინებით [4]. ინვესტიციების ძირითადი გამოვლინება არის მისი ეკონომიკური შინაარსი. მეორეხარისხოვანი გამოვლინება შეგვიძლია დავყოთ:

- საინვესტიციო ობიექტი;
- საინვესტიციო მიზეზი;
- საინვესტიციო სფერო.

ინვესტიცია საინვესტიციო ობიექტით შეიძლება იყოს: ფინანსური და რეალური; მიზეზის მიხედვით შეიძლება იყოს : ახლის შემმქმნელი, მიმდინარე და დამატებითი; ინვესტიციები სფეროს მიხედვით : შესყიდვის, წარმოების, მართვის, კადრების მომზადების, გაყიდვების;

უცხოური ინვესტიციების განხორციელების ოთხი მიმართულება გვაქვს :

I. სახე ითვალისწინებს ინვესტირებას ძირითადად რესურსების მიმართულებით. საქართველოში ძირითადად ასეთი ინვესტიციები ხორციელდება, ეს არის რესურსის მაძიებელი ინვესტიციები.

II. სახე ითვალისწინებს საწარმოების გამართვას, რათა პროდუქცია მიწოდებულ იქნას ამ და მეზობელ ქვეყნებში. ესენი არიან ბაზრის მაძიებელი ინვესტიციები.

III. სახე გათვლილია მაქსიმალური ეფექტის მიღებაზე. ეს ინვესტიცია ხორციელდება ეფექტიანი ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანაში.

IV. სახე ტრანსნაციონალური კორპორაციების ინვესტიციაა, რომელიც გრძელვადიან სტრატეგიას ითვალისწინებს.

ინვესტირებას საქართველოში 2009 წლიდან კლებადი ტენდენცია ჰქონდა. საერთოდ დიდი სამუშაო არის შესასრულებელი რეგიონული ინვესტიცირების განვითარების ხაზით.

ინვესტიციების კვლევა გვიჩვენებს, რომ უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც ინვესტიციების შემოდინებას უშლის ხელს და ნეგატიურად მოქმედებს საინვესტიციო გარემოზე არის ა) პოლიტიკური არეულობა; ბ) მაკროეკონომიკური არასტაბილურობა; გ) გადასახადები; დ) სამართლებრივი რეგულირება ე) კორუფცია.

მნიშვნელოვანია მთავრობამ ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან განვითარებაში თბილისს, რომელზეც მთლიანი ბიზნესს ბრუნვის 72% მოდის, ხოლო რეგიონებში დანარჩენი 28%. ბიზნეს ბრუნვა თბილისში წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე არის 27 200 ლარი, ხოლო რეგიონშ ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 3 700 ლარია. რეგიონული ბიზნესი ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით და კონკურენტუნარიანობით. ამ პრობლემის მოგვარება უნდა იყოს პრიორიტეტული საქართველოს მთავრობის პოლიტიკაში.

ჩვენი ღრმა რწმენით გარდა იმისა, რომ ინვესტიციების ნაკადებს უნდა გაეხსნას გზა რეგიონებისაკენ, ამასთან უნდა ჩამოყალიბდეს ინვესტიციების მართვის სწორი მექანიზმი რეგიონში. რაც მთავარია ინვესტიციების განთავსების პრიორიტეტები

უნდა განისაზღვროს რეგიონის მმართველობითი აპარატის მიერ რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კარგი იქნება მუნიციპალიტეტებს დაევალოს მის არეალში არსებული საწარმოების პრობლემების კვლევა და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით განისაზღვროს პრიორიტეტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას. უმჯობესია ჯერ დახმარება მოხდეს იმ სექტორზე, სადაც უფრო ადვილი იქნება მდგომარეობის გამოსწორება და შემდგომ გაზრდილი შემოსავლები მიმართული იქნას სრულყოფილი სამეწარმეო ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ.

ამასთან მნიშვნელოვანია სწორად გათვლილი კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მცირე დანახარჯებით ეფექტურად გავაკონტროლოთ იმ თანხების განკარგვა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის მიზანმიმართულ განვითარებას.

საყურადღებოა რეგიონების მიხედვით ინვესტიციების განაწილების უთანხმოება, რაც მნიშვნელოვნად აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე.

ცხრილი 2.2.3.

ინვესტიციების განაწილება რეგიონების მიხედვით 2016წ

რეგიონის დასახელება	ათასი ა.შ.შ. დოლარი
აჭარა	204 531,01
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	25 701,83
კახეთი	16 118,63
სამეგრელო, ზემო სვანეთი, გურია	49 822,34
სამცხე-ჯავახეთი	18 099,27
თბილისი	1 234 656,99
ქვემო ქართლი	21 159,77
შიდა ქართლი	15 590,07

წყარო :საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

ცხრილი გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ მდგომარეობა საქართველოში. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდის თბილისში, რაც განაპირობებს სამუშაო ძალის მიდინებას თბილისში. იმერეთი მეოთხე ადგილზეა თბილისის, აჭარის, და სამეგრელო ზემო სვანეთის მერე. შესაბამისად გაცილებით დიდი გამოცოცხლებაა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში სხვებთან შედარებით.შესაბამისად გასათვალისწინებელია არსებული მდგომარეობა და

საჭიროა გავააქტიუროთ იმ რეგიონებში ინვესტირება, რომლებიც ასე მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან, რათა დავაკავოთ მოსახლეობა ადგილზე და მივიღოთ თანაბრად განვითარებული საქართველო.

ქვეყანას ახასიათებს ბევრი პოზიტიური მაჩვენებელი, რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციების განხორციელებას: მდიდარი ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, იაფი კვალიფიციური მუშახელი, ჩამოყალიბებული საბანკო სექტორი.

თუ ინვესტიციების განხორციელების დადებითი ფაქტორი არის: ახალი სამუშაო ადგილები, დასაქმებული მოსახლეობა, აღორძინებული წარმოებები,ინფრასტრუქტურა. უარყოფითი მხარეებიც საკმარისად აქვს მათ შორის : ეროვნულ წარმოებაზე კონტროლის დაქვეითება, ეროვნული ფირმების შევიწროება, დანახარჯების ზრდა, შეიძლება პოლიტიკურო თავისუფლების დაკარგვაც.

განვიხილავთ რა ინვესტირებას რეგიონულ ჭრილში რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი უნდა შევაფასოთ 8 ძირითადი ფაქტორით:

1 - ნედლეული და რესურსები;

2 - შრომითი რესურსები;

3 - საწარმოო რესურსები;

4- ინოვაციური - სამეცნიერო განვითარების დონე;

5 - ინსტიტუციური - საბაზრო ინსტიტუციების განვითარების დონე;

6 - ინფრასტრუქტურული - კომუნიკაციური, ეკონომიკურ-გეოგრაფიული დონე;

7 - საფინანსო - საგადასახადო სისტემის მდგომარეობა, მოწესრიგებულობა და საწარმოების მომგებიანობა;

8 - რეგიონის მსყიდველობითი უნარი;.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ რისკი შემდეგი სახეების მიხედვით უნდა შეფასდეს :

ა) ეკონომიკური (რეგიონის ეკ. განვითარების ტენდენციურობა);

ბ) ფინანსური (ბიუჯეტის და საწარმოების ფინანსების დაბალანსება);

გ) პოლიტიკური (მოსახლეობის პოლიტიკური სიმპათია);

დ) სოციალური (სოც. დაძაბულობა);

ე) ეკოლოგიური (გარემოს დაბინძურების დონე);

ვ) კრიმინალური (დამნაშავეების დონე);

ზ) საკანონმდებლო (ინვესტირების იურიდიული პირობები).

საინვესტიციო ბიუჯეტის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ რეგიონული ბიუჯეტის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმირება დაკავშირებულია ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნასთან.

უნდა გაემიჯნოს რეგიონის მიმდინარე ხარჯები და საინვესტიციო ბიუჯეტი. მიმდინარე ხარჯები უკანდაუბრუნებული ხარჯებია. ხოლო საინვესტიციო ბიუჯეტი ყალიბდება დაბრუნებადობის, ვადიანობის, გადახდის პირობით. ამით ვინარჩუნებთ რეგიონში ეკონომიკური ზრდის წყაროს. ცხრილი 2.2.4.

ინვესტიციების განაწილება დარგების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

დარგი	2015	2016
სამთომომპოვებელი	42 781,53	88 027,82
სასტუმრო და რესტორანი	124 851,84	138 815,3
საფინანსო სექტორი	115 322,65	178 553,5
სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	12 290,31	14 577,57
ტრანსპორტი და კავშირგაბ.	433 654,67	584 648,72
ჯანდაცვა და სოც. დახმარ	9 517,64	140 325,59
დამამუშავებელი მრეწველ.	205 417,41	67 174,55
ენერგეტიკა	189 944,99	123 663,76
მშენებლობა	316 588,12	110 678,41
უძრავი ქონება	138 654,83	89 940,43

წყარო: საქსტატი http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018

ცხრილიდან ჩანს, რომ ინვესტიციების მნიშვნელოვანი მატებით გამოირჩეოდა შემდეგი დარგები: სამთომომპოვებელი(2,05-ჯერ), სასტუმრო და რესტორნები(1,11-ჯერ), საფინანსო სექტორი(1,55-ჯერ), სოფლის მეურნეობა (1,19-ჯერ),ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა(1,35-ჯერ), ჯანდაცვა(14,74-ჯერ). მნიშვნელოვანი შემცირებაა სხვა დარგების ინვესტირებაში, როგორიცაა დამამუშავებელი მრეწველობა(3,06-ჯერ), ენერგეტიკა(1,54-ჯერ), მშენებლობა (2,86-ჯერ), უძრავი ქონება(1,54-ჯერ). [37]

თუ გავაანალიზებთ ინვესტირების ობიექტებს დავინახავთ, რომ თანხები მიმართულია ძირითადად ინფრასტრუქტურის და მომსახურეობის სფეროს განვითარებისაკენ, არადა რაოდენ აუცილებელია სოფლის მეურნეობის და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, რათა შევძლოთ განვახორციელოთ

იმპორტჩანაცვლებადი პოლიტიკა და საქონელბრუნვის უარყოფითი სალდო გარკვეული ოდენობით შევამციროთ.

ინვესტირებაში ტრადიციულად აქტიურ საერთაშორისო ინსტიტუტებს 2014-2016 წლებიდან ახალი საფინანსო ინსტიტუტები და ექსპორტის ხელშემწყობი ბანკები შეემატა. მაგალითად: აზიური ინფრასტრუქტურული ინვესტირების ბანკი AIIB, ჩინეთის განვითარების ბანკი, კორეის განვითარების სააგენტო, იტალიური SAKE, აღმოსავლეთ ევროპის ექსიმ ბანკები და ა.შ. ამიტომ კომერციულად მდგრადი პროექტების შეთავაზებისას ინვესტორებს შედარებით იაფ საფინანსო რესურსებთან ექნებათ წვდომა.

თავი 2.3. სამეწარმეო საქმიანობის საკადრო უზრუნველყოფა

საინოვაციო პოლიტიკა განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად არის მიჩნეული. ეს განაპირობებს ინოვაციური განვითარების იდეების განხორციელებას, ამიტომ ჩვენი კვლევის ადრესატს წარმოადგენს უნივერსიტეტები და კვლევითი ორგანიზაციები, მეწარმეთა და ფერმერთა გაერთიანებები, სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები. კადრების მოთხოვნის მიხედვით გადამზადება ხელს შეუწყობს ნოვაციების დანერგვას წარმოებასა თუ მომსახურეობაში და დაგვეხმარება მსოფლიო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. იმისათვის რომ დროის შესაბამისად მოვამზადოთ კადრები საჭიროა შევქმნათ ისეთი ინფრასტრუქტურა, სადაც მჭიდროდ ითანამშრომლებენ უნივერსიტეტები, კვლევითი ორგანიზაციები, მეწარმეები და ფერმერები, საკონსულტაციო სამსახურები. მათი ერთობლივი მუშაობით მიიღწევა ინოვაციური მიმართულებების საკადრო უზრუნველყოფა, ეს კი ქვეყანას კონკურენტულს გახდის მსოფლიო დონეზე.

უწყვეტი განათლების კონცეფცია დინამიურად ცვალებად მსოფლიოში განვითარების გარანტიას წარმოადგენს. უწყვეტი განათლების პირობებში ყველა ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობა, განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ისეთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა. გადამზადების პროცესი დიდი ინტენსივობით უნდა მიმდინარეობდეს იმ მიმართულებით, რომელიც საჭიროა ქვეყნის ეკონომიკის არსებული მდგომარეობისათვის. [41, გვ. 1] ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

ამჟამინდელი მდგომარეობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი ახორციელებს 70-ზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამასა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. სულ ცენტრმა ბოლო 3 წლის მანძილზე გადაამზდა 4000-მდე მსმენელი, მათ შორის მასწავლებელთა საკვალიფიკაციო ტრენინგ-მოდულები გაიარა 2500-ზე მეტმა ლექტორ-მასწავლებელმა რაც თვალსაჩინოა გასული წლების მაჩვენებლებთან მიმართებაში. [41, გვ. 4]

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებისათვის, ევროკავშირის მხრიდან დახმარების სხვა მექანიზმებთან ერთად ეფექტურია ჟან მონეს პროგრამა, [7] რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის უწყვეტი განათლების პროგრამის საერთაშორისო შტოს. ეს პროგრამა ქვეყნის მოსახლეობას ეხმარება ევროკავშირის შესწავლაში, აძლევს ინფორმაციას ევროკავშირში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამ პროგრამაში უნივერსიტეტების პროფესორები და მკვლევარები მოიაზრებიან, როგორც ევროკავშირის შესახებ ცოდნის მულტიპლიკატორები. მათი მეშვეობით ხდება სტუნდეტებისა და საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, რეგიონის ინოვაციური პოტენციალი თავის თავში მოიცავს ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ სისტემას. ახლა გვინდა შევჩერდეთ უმაღლესი სკოლის ინოვაციურ პოტენციალზე. ინოვაციური პოტენციალის განვითარება შეიძლება მოხდეს ორ გვარად: ინერციული გზით და აქტიურად. უფრო მომგებიანი აქტიური მიმართულებაა, ამისთვის კი სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს გაფართოებული ინოვაციური კვლავწარმოების მთელი რიგი ზომების შემუშავება და რეალიზაცია. ამასთან ფინანსური რესურსების კონცენტრაცია უნდა მოხდეს პრიორიტეტული პროექტების მხარდასაჭერად, ისეთი პროექტებისა, რომლებიც სინერგიულ ეფექტს იძლევა მთელი ეკონომიკისათვის. მდგრადი განვითარების მაქსიმალური ტემპი შეიძლება მიღწეული იქნას იმიტაციური ინვესტიციური ზრდიდან ინოვაციურ ზრდაზე გადასვლის გზით. ჩამოყალიბებული სამეცნიერო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოებისა და განვითარების პროგრამების გაერთიანებით შეიძლება შეიქმნას კეთილსაიმედო გარემო ინოვაციური სექტორის ხვედრითი წილის გაზრდისთვის, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლებელი დაწესებულებები. ძირითადი მაჩვენებელი ინოვციური მოღვაწეობისა შეიძლება იყოს ინვესტიციური მიმზიდველობა. თუ ქვეყანა ხელს არ შეუწყობს მის ტერიტორიაზე გამრავლდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საკონსტრუქტორო ონგარიზაციები, უმაღლესი სკოლები, სამეცნიერო ტექნიკური დანაყოფები, პროფესიული დაწსებულებები, მაშინ ამის გარეშე შეუძლებელი იქნება

ბრძოლა ინოვაციური სრულყოფისათვის და შესაბამისად ინვესტიციების მოდინებაც. ინოვაციურ განვითარებას ხელს შეუწყობს ტექნოპარკების, დარგთა შორისი ინფორმაციული ცენტრის, კონსალტინგური ფირმების შექმნა. კარგი გარემო შეიძლება შექმნას უნივერსიტეტების აქტიურმა ინოვაციურმა მოღვაწეობამ. დაინტერესება შეიძლება გაიზარდოს ინოვაციების კომერციალიზაციის გზით. გაფართოებული ინოვაციური კვლავწარმოების ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს უნდა შეადგენდეს :

- ცოდნის გენერაციის ქვესისტემა, უმთავრესად უმაღლესი სკოლა და ამასთან განათლების და პროფესიული მომზადების სფერო.
- ინოვაციური მომსახურეობის და პროდუქციის წარმოების ქვესისტემა.
- ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც თავის თავში მოიცავს კვლავწარმოების ფინანსურ უზრუნველყოფას.

არაკონკურენტულ საფუძველზე გაცემული საბიუჯეტო რესურსები ხელს უშლის პრიორიტეტულ მიმართულებაში მეცნიერული კვლევების წარმართვას.

უნდა შეიქმნას მოწინავე კვლევების ცენტრი და სუბსიდირებიდან უნდა მოხდეს გადასვლა დაკრედიტებაზე, იმის მიხედვით, თუ როგორ მიდის წინსვლა ინოვაციურ ჯაჭვში. ინოვაციური მოღვაწეობის სტიმულირებისათვის კარგი იქნება:

- იმ საწარმოებს, რომლებიც მიმართული არიან ახალი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ შეღავათი გაეწიოთ მოგების გადასახადის გადახდაში.
- მხარი დაეჭიროს მეცნიერებატევადი ფირმების შექმნას.
- უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო და კერძო დაზღვევა ასეთი ფირმებისა.
- სასტარტო კაპიტალის გადაცემის გზით ხელი შეეწყოს ფირმების მასიურ შექმნას.

აქტიური სცენარის რეალიზაციისათვის საჭიროა:

- საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო რესურსების კონცენტრაცია, რათა პრიორიტეტულ მიმართულებებში დაფინანსდეს მეცნიერებატევადი პროექტები.
- უზრუნველყოფილი იქნას ახალი მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების საწარმოებამდე მიტანა და ასევე ინფორმირება მასზე არსებულ მოთხოვნაზე.

- სამეწარმეო სექტორის ინოვაციებზე მოთხოვნის სტიმულირება, ამასთან ტექნოლოგიების იმპორტის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სახსრების შემოდინებას.

კვალიფიციური მენეჯერების, პატენტოლოგების, იურისტების უკმარისობა ხელს უშლის ინტელექტუალური მოღვაწეობის ობიექტების მიერ ეფექტური პოლიტიკის რეალიზებას.

საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციის ბაზად უნდა იქცეს სამეცნიერო-ინოვაციური კომპლექსები. უმაღლესი სკოლის სტრუქტურაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო დანაყოფებთან ერთად უნდა შედიოდეს ინოვაციური და ბიზნეს სტრუქტურები.

სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ინოვაციური და საწარმოო მოღვაწეობის ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მომზადების ინტეგრაცია საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ და რეალიზება გავუკეთოთ სასწავლო პროცესში ინოვაციურ და საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც დაგვეხმარება მრავალდონიანი სპეციალისტების მომზადებაში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მომზადების დისციპლინათაშორის მიმართულებებს, რათა მომზადებული იქნას კადრი მაღალ ტექნოლოგიებზე სამუშაოდ. მნიშვნელოვანია ინოვაციების მართვაში აქტიურად ჩავრთოთ ახალგაზრდობა.

საბაზრო ინტერესების რეალიზაცია ჩვენი აზრით უპირველესად დაკავშირებულია სამეწარმეო სისტემის განვითარებასთან. ეს სფერო შეიძლება განხილული იქნას როგორც გზა ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა. იმისათვის, რომ სწორად წავმართოთ განვითარება, მრავალი ფაქტორის გათვალისწინება გვმართებს, მათ შორისაა: სპეციფიკა (თავისი მახასიათებელი სტრუქტურითა და ფინანსებით), კონკურენტული უპირატესობანი, ადგილობრივი პირობები, ბაზარი და რესურსები.

ბიზნეს-ინკუბატორი ეს არის საერთო დასახელება ორგანიზაციებისა, რომლებიც ანვითარებენ მეწარმეობას, ქმნიან პირობებს, ახორციელებენ კომპლექსურ მომსახურეობას, სთავაზობენ რესურსებს იმ პერიოდში, როცა საწარმოები

იმყოფებიან ჩანასახოვან სტადიაში [71]. როგორც წესი ეს სპეციალურად შექმნილი სტრუქტურებია ისინი ხელს უწყობენ მეწარმეობის განვითარებას და მცირე საწარმოებს ჩანასახოვან პერიოდში.

ბიზნეს ინკუბატორი უნდა შეიქმნას კონკურენციის წესით შერჩეული მცირე საწარმოების მხარდასაჭერად. ასეთი მცირე საწარმოები უნდა უზრუნველყონ დანადგარებით, საოფისე ფართით, ინფორმაციული და კონსულტაციური მხარდაჭერით. უნდა იქნას უზრუნველყოფილი მათი კავშირი სარეალიზაციო ქსელამდე. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს :

- ეკონომიკური აქტივობის ზრდას.
- შიგა ბაზრის განვითარებას.
- რეგიონის რესურსების სრულ გამოკვლევას.
- ბიზნესის ინოვაციური აქტივობის ზრდას.
- ახალი ტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს დანერგვას.
- საერთაშორისო, რეგიონთაშორისი კავშირების შექმნას და განვითარებას.
- დასაქმებულობის და ცხოვრების დონის ზრდას.

საინტერესოა როგორ იყენებენ ბიზნესმენები ადგილობრივ რესურსებს. მათ მიერ ადგილობრივი რესურსების გამოყენება ძალიან დაბალია. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ინფორმაციის მიუწვდომლობით ან თვითონ ბიზნესის მხრიდან იმ კადრის არ არსებობით, რომელიც შეძლებდა ინფორმაციის მოპვებას. მდგომარეობის ანალიზისას ყურადღება უნდა მივაქციოთ თუ როგორ ეწყობა ხელი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირებას, რომელიც ასე რიგად საჭიროა. საინტერესოა,რომ ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტი გარდა იმისა, რომ დგას ქვეყნისა და რეგიონისათვის უმაღლესი განათლების კადრების მომზადების სამსახურში, ასევე ხელს უწყობს იმ საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირებას, სადაც ხდება კადრების გადამზადება პროფესიულ პროგრამებზე. იმ პროგრამებზე, რომელზეც დიდი მოთხოვნაა შრომის ბაზარზე.

სქემა 2.3.1.

მოსწავლეთა აქტივობა პროფესიულ პროგრამებზე



	1	2	3	1	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
2014		17	17	6	15	5	24	31	9	36		20	21			7		
2015	7	5	18	14	28		31	32		61		48		7	12			
2016	13	5	6	7	19		28	12		35		29			5		21	24
2017	10	10	10	15	10		19			20	20		15		10		20	15

პროგრამები:1. ძრავის შემკეთებელი; 2. სავალი ნაწილის ტექნიკოსი; 3. სამაცივრე მოწყობილობის ტექნიკოსი; 4. ელექტრიკოსი; 5. მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი; 6. სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაცია; 7. სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი; 8. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი; 9. გიდი; 10. აგროლოჯისტიკის ოპერატორი; 11. მცირე ბიზნესის მწარმოებელი; 12. ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი; 13. სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი; 14. ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი; 15. ავტომობილის ზეინკალი; 16. სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი; 17. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნიკოსი; 18. ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი.

თუ დავაკვირდებით 2014-2017 წლებში ამ სპეციალობაზე გადამზადებული მოსწავლეების რიცხოვნობას, რომელიც მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი მივხვდებით თუ რა პროფესიებზე იზრდება მოთხოვნა, რა პროფესიების შესწავლას სჭირდება მოტივაცია. საჭიროა სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს პროფესიული სწავლების ასეთ ფორმებს, განსაკუთრებით სასწავლო

დაწესებულებების (როგორიც არის უნივერსიტეტი) ფარგლებში. ეს დაზოგავს მმართველობითი აპარატის შენახვის ხარჯებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გაამარტივებს მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მოძიებას და ეკონომიურად მიმზიდველი იქნება.

ახალგაზრდობა ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა, როგორც დემოკრატიული განვითარების ასევე ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია მუდმივმოქმედი საკორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით.

ახალგაზრდობის შესაძლებლობების რეალიზაცია საჭიროებს სახელმწიფო სტრუქტურების, თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების განუხრელ ყურადღებას.

საქართველოს მოსახლეობის მსიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში. იმათგან, ვინც მუშაობს ოფიციალურად, დაახლოებით 50% დაკავებულია საბიუჯეტო სექტორში, დაახლოებით 16% - სახელმწიფო კომპანიებში. კერძო სექტორი ჯერჯერობით ვერ თამაშობს აქტიურ როლს დასაქმების საკითხში. [82]

1991 წელს ოფიციალურად უმუშევარი იყო მხოლოდ 3500 კაცი, 1992 წელს უმუშევრობის დონე 32-ჯერ გაიზარდა და 113 ათასი კაცი შეადგინა, 1993 წელს უმუშევართა რიცხვი კიდევ 60%-ით გაიზარდა და 180 ათასი კაცი შეადგინა. დღეისათვის, ოფიციალური ინფორმაციით, უმუშევარია 330 ათასი კაცი. [37]

უმუშევრობის ფორმალური მაჩვენებლები ვერ ასახავს შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ სიტუაციას. 2916 წელს ამერიკის ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის - NDI-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 73% თვლის თავს დაუსაქმებლად. აქედან 41% თავს უწოდებს უმუშევარს, 25% პენსიონერია, რომელიც ეძებს სამუშაოს, დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები გააჩნია გამოკითხულთა 81%-ს. ჩატარებული რეფორმები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს დადებით ძვრებს ამ საკითხში. [81]

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის აღნიშნული დონე ეფუძნება ორ სტატისტიკურ–მეთოდოლოგიურ დაშვებას, რომლებიც “ანელებენ” აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს:

1. უმუშევრებს არ მიეკუთვნება ე.წ. თვითდასაქმებულები.
2. უმუშევრობის დონე გაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის “მკაცრი” კრიტერიუმით

მოსახლეობის აღწარმოების ანალიზმა ცხადყო, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველო უკვე დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყნა იყო. 90-იანი წლებდან მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო კი ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდა. ამჟამად საქართველოში ყოველი მეექვსე ადამიანი 59 წელსაა გადაცილებული, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, 1970 წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაორმაგებულია და 13.8% შეადგენს.

დაბერების ზღვრად ითვლება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ამ ასაკის მოსახლეობის 7%. თუ 1970 წელს 64 წელს გადაცილებული მოსახლეობა 0-14 წლამდე ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 26.2% -ს შეადგენდა 2015 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 81.2% -ს მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში 0-14 წლის ასაკის მოსახლეობა 1 425.8 ათ. კაციდან შემცირდა 759.8 ათ. კაცამდე, ხოლო 64 წელს გადაცილებულები 373.9 ათასიდან გაიზარდა 616.7 ათასამდე, ანუ 0-14 წლის ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 30.5% -დან შემცირდა 17.0%-მდე, ხოლო 64 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი 8.0%-დან გაიზარდა 13.8%-მდე. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეიცვალა დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი.

მაშასადამე, დემოგრაფიულმა დაბერებამ ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. კერძოდ, სახეზეა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შრომისუნარიანზე მაღალი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის მკვეთრი ზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ეკონომიკური დატვირთვის ზრდა.

დემოგრაფიული დატვირთვის გაზრდის გამო საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ნაწილობრივ იპოვა გამოსავალი და 90-იანი წლების ბოლოს

საპენსიო ასაკი ხუთი წლით გაზარდა (ამჟამად საპენსიო ასაკი მამაკაცებისათვის 65 წელია, ხოლო ქალებისათვის 60 წელი).

ლოგიკურია, რომ საპენსიო ასაკის გაზრდას მოჰყვა პენსიონერთა რიცხოვნობისა და ხვედრითი წილის შემცირება. თუ 1995 წელს პენსიონერთა ხვედრითიწილი მთელ მოსახლეობაში 23.0% იყო, 2015 წლისათვის მან 18,5% შეადგინა. მაგრამ, მოსახლეობის დაბერების პროცესის უწყვეტობის გამო, ასაკით პენსიონერთა რიცხოვნობა 2015 წელს 2000 წელთან შედარებით 116.4 ათასით გაიზარდა (550,0 ათასიდან 666.4 ათასამდე).

მიუხედავად უმუშევრობის მაღალი დონისა ახალგაზრდებში, საქართველოს ამ მხრივ თავისი სპეფიციკა აქვს: 2003 წლის შემდეგ. მმართველობით ორგანოებში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდების მასობრივმა მოსვლამ გააჩინა ერთგვარი ეიჯიზმის სინდრომი – მკაფიოდ გამოხატული დისკრიმინაციული დამოკიდებულება საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ.

საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე მნიშვნელოვანი ყურადღების საგანი უნდა გახდეს ქვეყნისათვის. ამ პრობლემის გადაჭრა და ახალგაზრდების სამეწარმეო გარემოში ჩართვა დაგვეხმარება, როგორც უმუშევრობის დონის შემცირებაში, ასევე ახალგაზრდა ჯანსაღი სამუშაო ძალის ქვეყნიდან გადინების აღკვეთაში.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდების მეწარმეობრივი შესაძლებლობების რეალიზაციის და მათი ამ პროექტებში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა თვით ამ ახალგაზრდების ინდიფერენტული დამოკიდებულებაა და მოტივაციის დაბალი დონეა.

რეგიონებში არსებული მძიმე სოციალურ- ეკონომიკური პირობები აღრმავებს ახალგაზრდობის გულგრილ დამოკიდებულებას საკუთარი ბიზნესის დაწყების კუთხით. ბევრს გააჩნია გარკვეული აზრი, მაგრამ ვერ ხედავს გაყიდვების ბაზარს ადგილზე. ეს პრობლემა მძაფრად დგას სოფლის მეურნეობაშიც. [28, გვ. 14]

ცხადია კერძო საფინანსო სექტორისათვის ახალგაზრდების დაფინანსება მით უმეტეს დასაწყისში დიდ პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ სახელმწიფო და

საერთაშორისო სექტორს შეუძლია ახალგაზრდა მეწარმეებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა იაფი კრედიტის ან გრანტის გაცემის გზით. ახალგაზრდები ნაკლებად არიან ინფორმირებული პროფესიების მოთხოვნაზე, თუ რომელ პროფესიაზეა უფრო მეტი მოთხოვნაა ქვეყანაში.

გამოკითხვებმა აჩვენა ის საკითხები, რომლებიც ხელს უშლიან რეგიონში ბიზნესის განვითარებას:

- არასტაბილური ეკონომიკური გარემო (არამდგრადი სავალუტო კურსი და მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა).
- კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატაკლიზმები (ძირითადად სოფლისმეურნეობაში).
- შიდა და გარე მიგრაცია.
- რეგიონში განვითარებულ დარგებში არსებული მაღალი კონკურენცია.

ცხრილი 2.3.1.

განათლების სისტემაში მოსწავლეების რაოდენობა

წლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
მოსწავლეთა რაოდენობა ათასი	568,5	559,4	553	554	553,9	564,7
სტუდენტთა რაოდენობა ათასი	95,1	109,5	117,7	124,2	132,9	140,3
დოქტორანტთა რაოდენობა	4266	3040	3213	3410	3765	4076

თუ გადავხედავთ მონაცემებს, განათლების სისტემაში მოსწავლეების რაოდენობის ცვლილებას 2011 დან 2016 წლამდე დავინახავთ, რომ მოსწავლეების რაოდენობის მზარდი ტენდენციაა,თუმცა 2012 წელი გამოირჩევა მოსწავლეების და დოქტორანტების მნიშვნელოვანი კლებით,მართალია მას შემდეგ მოსწავლეების და დოქტორანტების ზრდა გვაქვს მაგრამ 2011 წლის ნიშნულამდე მაინც ვერ მოხერხდა გასვლა.რაც შეეხება სტუდენტების რაოდენობას მას ახასიათებს მნიშვნელოვანი ზრდა. ძალიან კარგია როცა კადრები ისწრაფიან კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ, მაგრამ ყოველივე ამას თავის შესაბამისი ხელფასი ჭირდება.

ცხრილის მიხედვით ხელფასს მზარდი ტენდენცია აქვს მსხვილ და საშუალო ბიზნესში, ხოლო მცირე ბიზნესისათვის დამახასიათებელია ხან ზრდა და ხან კლება

(იხ.ცხრ. 2.3.2) ეს კი იმის მანიშნებელია, რომ მცირე ბიზნესი არასტაბილურად ვითარდება და საჭიროა მეტი ყურადღების გამახვილება მის პრობლემებზე. თუნდაც ის რომ 2015 წლისათვის მცირე ბიზნესში საშუალო ხელფასი იყო 300,9 ლარი და ეს გაცილებით მაღალი მაჩვენებელია წინა წელთან შედარებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს თანხა ნამდვილად არ არის საკმარისი კვლავწარმოებისათვის.

ცხრილი 2.3.2.

ხელფასის მონაცემები 2010-2015 წლებში (ლარი)

საწარმოს ზომა	ხელფასი					
	2010	2011	2012	2013	2014	2015
მსხვილი	483,7	621,1	656,6	712,5	751,2	837,9
საშუალო	268,7	248	358	355,3	451,5	457,3
მცირე	191,7	194,9	253,5	223,4	191,5	300,9

საქართველოში შრომის უნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაქმებელია, რაც ხელს უწყობს მათ ქვეყნიდან გადინებას.

არ ტარდება კვლევები რა სახის სპეციალისტებზეა მოთხოვნა, რა შეიძლება გახდეს მოთხოვნადი უახლოეს მომავალში. პრობლემაა კვალიფიციური კადრის და დამქირავებლის ერთმანეთთან დაკავშირება. საინტერესო იქნება უნივერსიტეტებში შეიქმნას „კარიერული წინსვლის“ განყოფილებები სადაც მოთავსდება ინფორმაცია სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დასამქმებელთათვის. ეს თავის მხრივ გაზრდის კარგად სწავლის მოტივაციას და თან საშუალება იქნება დასამქმებელთათვის სწორი ინფორმაციის მიღებაზე.

ჩვენს მიერ შედგენილი იქნა კითხვარი და დარიგებული იქნა მეწარმეებზე. გამოვიკითხეთ 50 სხვადასხვა სახის ბიზნესმენი. განვიხილოთ შედეგები.

ცხრილი 2.3.3.

მეწარმეებისთვის დარიგებული კითხვარის ანალიზი

1.რამდენი წელია ფუნქციონირებს თქვენი ბიზნესი ა) 1< ბ) 1-5 წლამდე გ) 5 წელზე≥	 6 23 21

2. საწარმოში დასაქმებულია ა) 5 კაცზე< ბ) 6-15 მდე	 28 22
3. როგორია ბიზნესის საშუალოწლიური ბრუნვა ა) 20 000-მდე ბ) 20 001-50 000 გ) 50 000-100 000 დ) 100 000-500 000	 15 17 10 8
4.საქმიანობის სფერო ა) კვების პროდუქტების წარმოება ბ) სამკერვალო და ტექსტილის წარმოება გ) საცალო ვაჭრობა დ) სასტუმრო	 13 10 19 8
5. რომელი ბაზრისთვის არის განკუთვნილი თქვენი პროდუქცია ა) ადგილობრივი ბ) დ.ს.თ. გ) ევროკავშირი დ) სხვა	 39 11 0 0
6. კონკურენტები ა) არ მყავს ბ) 1-5 კონკურენტი გ) 6-10 კონკურენტი დ) კონკურენციის მაღალი დონე	 0 13 0 37
7.საქმიანობის წარმართვის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ბარიერი ა) მიწის ნაკვეთის ნაკლები ხელმისაწვდომობა ბ)კორუფცია	 0 0 8

გ) საკანონმდებლო სფეროს არასტაბილურობა დ)ლიცენზირების სირთულე ე) მაკონტროლებელი ორგანოების ზეწოლა ვ) ბარიერი არ არის	0 0 42
8.კონკურენტუნარიანობის ამაღლების რომელი მეთოდი გამოიყენე ბოლო 3 წლის განმავლობაში ა) პერსონალის სწავლება ბ) მარკეტინგული სტრატეგიის ამოქმედება გ) დანახარჯების შემცირება დ) ახალ ბაზრებზე გასვლა ე) პროდუქციის მოდიფიკაცია ვ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვა	10 19 0 15 6 0
9. რა ღირებულების ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია დანერგეთ ბოლო 3 წლის განმავლობაში ა) 50 000 ლარამდე ბ) 50 001-100 000 100 000≥	40 10 0

თუ გავაანალიზებთ გამოკითხვის შედეგებს დავასკვნით, რომ რეგიონში ძირითადად გავრცელებულია მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთა ბრუნვა 100 000 ლარს არ აღემატება. ძირითადად მომსახურეობის სფეროა განვითარებული და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია ადგილობრივი ბაზრისთვისაა განკუთვნილი. განვითარებულ დარგებში მაღალია კომკურენცია, მცირეა ბიზნესის წამოწყების ადმინისტრაციული ბარიერი,ნაკლებად ხდება ინოვაციების წარმოებაში გამოყენება და ფინანსური რესურსების სიდუხჭირეა.

მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ცხრილი შრომის საშუალო თვიური ანაზღაურების შესახებ 2012-2016 წლების მიხედვით. (ცხრილი 2.3.4) ამ ცხრილიდან შეგვიძლია შევაფასოთ თუ რომელ სპეციალობების დაუფლებაზე იქნება მეტი

მოთხოვნა ხელფასიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაეხმაროს რეიტინგის ამაღლებაში იმ დარგებს, სადაც შედარებით დაბალია ხელფასი,რათა ადგილი არ ჰქონდეს პროფესიული კადრების გადინებას და შემცირებას.

შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება(ლარებში) 2012-2016წ.წ.

ცხრილი 2.3.4.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით	2012	2013	2014	2015	2016
სულ	714,3	760,1	800,5	896,8	938,3
სოფლის, სატყეო და თევზის მეურ.	423,5	494,8	498,6	586,3	568,1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	874,5	893,1	902,8	1047,4	1154,1
დამამუშავებელი მრეწველობა	628,5	689,7	719,5	776,1	781,4
ელ.ენერგიის, ორთქლის, აირის მიწ	1026,8	1056,8	1147,6	1257,5	1348
წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა.	597,3	736,4	752	754,3	819,8
მშენებლობა	895,5	872,8	948,3	1190,7	1272,9
საბითუმო და საცალო ვაჭ. ავტომობილების და მოტ. რემონტი	650	693,2	702,6	783,8	790,4
ტრანსპორტირება და დასაწყობება	901,3	1014,3	1048,4	1153,2	1156
განთავსების საშ. უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობა	397,3	437,1	477,8	563,9	626,6
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1041,4	1170,8	1163,5	1344,1	1324,4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	609,1	719,1	904,3	967,8	1025
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1131,3	1271,9	1211	1325,8	1575,2
ადმინისტრაციული და დამხმარე	571,1	586,1	699,3	674,7	745,8

მომსახურეობის საქმიანობები					
განათლება	428,9	471,6	488,2	525,5	618,2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურეობის საქმიანობები	581,4	646	732,7	836,8	899,4
ხელოვნება, გართობა და დასვენება	738,4	905,9	948,3	1039,7	1198,5
სხვა სახის მომსახურეობა	316,6	338,2	418,1	374,5	321,6

წყარო: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/Mewarmeoba%20sakqrtveloshi%202016.pdf ნანახია 10.01. 2018

აქედან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა ნუსხა:

-სახელმწიფო სტრუქტურებმა მთელი ძალისხმევა უნდა მიმართონ ახალგაზრდებში მოტივაციის დონის ამაღლებისათვის, კერძოდ, უნდა დაფინანსდეს წარმატებული ახალგაზრდული პროექტები და უნდა მოხდეს მათი პოპულარიზაცია. ეფექტიანი იქნება გამოფენების და შეხვედრების მოწყობა ახალგაზრდებისათვის:

- განათლების და ცოდნის დონის ამაღლება. გამრავლდეს რეგიონში პროფესიული გადამზადების ცენტრები.

- გამოვლინდეს პრიორიტეტული სფეროები რეგიონში და მოხდეს მათი რეკლამირება.

- ყველაფერი იქნას გაკეთებული კერძო სექტორის და ახალგაზრდობის იდეების დასაახლოვებლად.

- ახალგაზრდობისათვის გრანტების და სხვა სახის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

- სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება ახალგაზრდობის ინოვაციურობის მხარდასაჭერად.

თავი 3. სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

3.1. სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა - პროგრამული კონტექსტი

სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა აპრობირებული მეთოდია თანამედროვე პირობებში. „აწარმოე საქართველოში“ ყველაზე პოპულალური პროექტია საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, ექსპორტის ხელშეწყობას, სასტუმრო ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის და კინოინდუსტრიის განვითარებას. პროექტი არამარტო აფინანსებს წარმატებულ ბიზნეს იდეებს, არამედ ხელს უწყობს ბიზნეს იდეების ჩამოყალიბებას და დოკუმენტალურ უზრუვნელყოფას ტრენინგებისა და კონსულტაციის გზით. საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორებს უტარდებათ ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგები და მომზადებული ბიზნეს გეგმის კონკურსში გამარჯვებულები ღებულობენ თანა დაფინანსებას. გარდა ბიზნეს გეგმის შედგენის ტრენინგისა წარმატებულ ბენეფიციარებს უტარდებათ ბიზნეს ადმინისტრირების ტრენინგი. [19]

პროგრამაში ჩართვა ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

- მონაწილე უნდა იყოს სრულწლოვანი.
- არ უნდა იყოს საჯარო მოხელე.
- არ უნდა გააჩნდეს მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.
- კონკურსში გამარჯვებული განახორციელებს 20% თანხობრივ თანადაფინანსებას, უნდა დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად (გარდა დ.ღ.გ.-სგადამხდელისა).

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ იმყოფება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დაქვემდებარებაში, რომელიც ზრუნავს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე. ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოებს გადაიარაღებაში, რათა გააკეთონ ექსპორტზე ორიენტაცია. პროექტის ფინანსურ მხარდაჭერა მდგომარეობს: საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებაში პირველი 24 თვის განმავლობაში; სესხის

უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა (50%) პირველი 48 თვის განმავლობაში (არა უმეტეს 2,5 მილიონი ლარისა);

პროექტის მოთხოვნაა: სესხის 80% დაიხარჯოს ძირითადი ფონდების შეძენაზე, 20% საბრუნავი საშუალებების შეძენაზე, წარმოების პროფილი უნდა შედიოდეს პრიორიტეტული მიმართულებების ჩამონათვალში. „აწარმოე საქართველოში“ გასცემს სესხებს რეგიონში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისათვის, რისთვისაც: შეიძლება გადასახადების თანადაფინანსება 24 თვის განმავლობაში არა უმეტეს 300 000 ლარისა; კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის საპრონცეტო განაკვეთის თანადაფინანსება 24 თვის განმავლობაში; უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა(<2,5 მლნ. ლარი); საკონსულტაციო მომსახურეობის დაფინანსება. მოთხოვნაა: სესხის 80% დაიხარჯოს ძირითადი კაპიტალური დანახარჯებისათვის, სატუმრო უნდა მდებარეობდეს საქართველოს ტერიტორიაზე გარდა თბილისისა და ბათუმისა.

„აწარმოე საქართველოში“ დიდ ყურადღებას უთმობს ექსპორტის მოცულობის გადიდებას, კერძოდ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციას, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება:

- საერთაშორისო გამოფენების ორგანიზება სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე.
- სავაჭრო მისიების ორგანიზება. ექსპორტიორი კომპანიებისათვის შეხვედრების ორგანიზება.
- უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან.
- სავაჭრო პლათფორმა www.tradewithgeorgia.com-ზე რეგისტრაცია.
- ექსპორტის პროცედურებზე ინფორმაციის მიწოდება. ექსპორტისთვის საჭირო სერთიფიკატებზე ინფორმაციის მიწოდება.
- უცხოურ ბაზრებზე არსებულ ტარიფებზე ინფორმაციის მიწოდება, კონკრეტულ ბაზრებზე ტარიფის დადგენა.
- ექსპორტ მენეჯერების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება .

ცხრილი 3.1.1.

იმერეთის რეგიონში დაფინანსებული პროექტები

ამხანაგობის დასახელება	მდებარე-ობა	თანადაფინანსების სიდიდე (ლარებში)	დაფინანსების ობიექტი	პერსპექტივა
ამხანაგობა „დემი“	სოფ. ბროწეულა	14927	ყურძნის საწური აპარატურა	აგროსასტუმროს განვითარება
ამხანაგობა “ჩირის საშრობი“	ვანი	15000	საშრობი აპარატები	ხურმის, ვაშლის და ქლიავის ჩირები
ამხანაგობა „ფაზისი“	ქუთაისი	15000	სიმინდის მარცვლის საფქვავი	ფქვილით ვაჭრობა
ამხანაგობა „მოდინახე“	საჩხერე	15000	საცხობი ქურები და საზელი მოწყობილობ.	
ამხანაგობა „პანდა“	ქუთაისი	14814	ბავშვთა გართობა	
ამხანაგობა „კრეპამანია“	ქუთაისი	10000	საკონდიტრო მომსახურეობა	
ამხანაგობა “ნერგი“	ბაღდადის რაიონი	14060	ხის დამამუშავებელი აპარატურა	აზერბაიჯანში საქონლის გატანა
„რიო-რიტა“	ქუთაისი	5000	საცხობი	

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. ეს მიმართულება ეგრეთწოდებული ფანჯარაა, რომელიც ეხმარება უცხოელ ინვესტორებს საინტერესო პროექტების მოძიებაში, მეორე მხრივ ეხმარება საინტერესო იდეებს რათა მოიპოვონ დაფინანსება და იქნან განხორციელებული. ამისთვის პროექტი აკეთებს სტატისტიკურ კვლევებს აყალიბებს კომუნიკაციის ფორმებს და გეგმავს სამუშაო ვიზიტებს. მაგალითისათვის მოვიტანეთ იმერეთში დაფინანსებული პროექტები (იხ. ცხრ. 3.1.1).

ეს ის მცირე ჩამონათვალია მეწარმეებისა, რომელთაც იმერეთის რეგიონში სახელმწიფოს მიერ გაეწიათ თანადაფინასება ბიზნესის წამოწყებასა თუ გაფართოებაში. კიდევ მრავალი საინტერესო იდეა იქნა დაფინანსებული, როგორც

ექსპორტის გაფართოების, ასევე იმპორტჩანაცვლებადი წარმოების და მომსახურეობის სფეროს განვითარების მიმართულებით.

განვიხილოთ „ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა (BAS) საქართველოში“ მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ხელშეწყობის მიზნით, TAM/BAS პროგრამების გუნდი ახორციელებს ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების პროგრამას (BAS) საქართველოში. 2003-2015 წლების განმავლობაში BAS პროგრამამ შეიძინა სათანადო გამოცდილება და 176 ბენეფიციარ საწარმოსა და 100-მდე საკონსულტაციო კომპანიასთან თანამშრომლობით განახორციელა 223 პროექტი.

BAS პროგრამა ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების ნაწილობრივი დაფინანსების გზით. პროგრამა სთავაზობს საწარმოებს პროფესიული საკონსულტაციო მომსახურების ფართო არჩევანს და გასცემს გრანტს პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

საწარმოს შეუძლია მიმართოს BAS პროგრამას, რათა შეამცირონ პროფესიული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება შემდეგ სფეროებში: ბიზნესის დაგეგმვა პროექტის დაფინანსებისათვის საჭირო ბიზნესგეგმებისა და შესაძლებლობათა კვლევის ჩათვლით, ბიზნესის შესწავლა და მარკეტინგული დაგეგმვა, ხარჯთაღრიცხვის საბუღალტრო სისტემების დანერგვა და ხარჯების შემცირება, მართვის საინფორმაციო სისტემები (MIS) და სხვა IT გადაწყვეტილებები, საწარმოს სტრატეგიის განვითარება, მათ შორის, რესტრუქტურიზაცია, რეორგანიზაცია და საწარმოს მართვა, საინჟინრო კვლევები, არქიტექტურა და დიზაინი, ხარისხის მართვის სისტემები და სტანდარტების შემუშავება, ბიზნესპარტნიორებისა და ინვესტორების ძებნა, სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება.

BAS პროგრამა არ აფინანსებს აუდიტორულ და იურიდიულ მომსახურებას. რეგიონული საწარმოებისთვის პროგრამა ითვალისწინებს განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებს. BAS პროგრამა არ გასცემს გრანტს კომპანიებზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან აუდიტორულ და საბანკო საქმეებში, სათამაშო ბიზნესში,

ძლიერი ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს, სამხედრო დანიშნულების საქონლისა და პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ოპერაციებში.

პროექტის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის, მაგრამ შეზღუდულია გრანტის თანხა, თითოეული პროექტისათვის მაქსიმუმ 10 000 ევროს ოდენობით. BAS პროგრამა არ ეხმარება საწარმოებს, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას ან რადიკალურ რესტრუქტურიზაციას. BAS პროგრამა არ გასცემს სუბსიდიებს წარსულში განხორციელებული პროექტების დასაფინანსებლად.

ამრიგად პროექტის ფარგლებში კომპანია კლიენტებს გაუწევს შემდეგი სახის კონსულტაციებს: ბაზრის შესწავლა და მარკეტინგული დაგეგმვა; ბიზნესის დაგეგმვა; პროექტის განხორციელების ალბათობის შესწავლა; პარტნიორების მოძიება,რეორგანიზაცია / რესტრუქტურიზაცია; სოფლის მეურნეობა; პროგრამა თანამშრომლობს "ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკთან"(EBRD)

ქალ მეწარმეთა განვითარების პროგრამა 2006 წლის იანვრიდან BAS პროგრამამ დაიწყო ახალი ინიციატივა, პილოტური პროგრამა სახელწოდებით „ქალები ბიზნესში“, რომელიც მიზნად ისახავდა ქალ მეწარმეთა მხარდაჭერასა და წახალისებას. პილოტური პროგრამა დააფინანსა კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (CIDA).

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 9 სტანდარტული საკონსულტაციო პროექტი, სადაც ბენეფიციარ კომპანიებს ფლობდნენ ან მართავდნენ ქალები. ამასთან ერთად, პილოტური პროგრამა ითვალისწინებდა ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას როგორც დამწყები, ასევე უკვე ბიზნესში დამკვიდრებული ქალი მეწარმეებისთვის. ტრენინგების ციკლი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი;
- გადასახადები, ფინანსები და ბუღალტერია;
- მარკეტინგი და ბიზნეს დაგეგმვა;
- სოფლის ტურიზმის განვითარება აჭარის მაღალმთიან რაიონებში.

პროგრამა განხორციელდა საკმაოდ წარმატებულად, რაც აისახა კიდეც პროგრამის საბოლოო შედეგებში.

BAS პროგრამის ხელმძღვანელობამ და დონორებმა, პილოტური პროგრამის წარმატებიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს ამ პროგრამის გაგრძელება. 2008 წლის აპრილიდან პროგრამამ მიიღო ახალი დაფინანსება 2 წლის ვადით. ამჯერად პროგრამის დონორები გახდნენ კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA), EBRD ETC ფონდი და ტაივანის მთავრობა.

„ქალები ბიზნესში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საკონსულტაციო პროექტებისთვის BAS პროგრამამ შეიმუშავა თანადაფინასების სპეციალური პირობები. საკონსულტაციო პროექტის ტიპის, ბენეფიციარი საწარმოს ზომისა და რეგისტრაციის (ძირითადი საქმიანობის) ადგილის მიხედვით თანადაფინასების განაკვეთები სხვადასხვაა.

2016 წლის მონაცემებით მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის შედეგები ასე გამოიყურება:

3 205 გამარჯვებული ბიზნეს პროექტი;

8 880 გადამზადებული ბენეფიციარი;

4 876 დაფინანსებული მეწარმე ქალ მეწარმეთა წილი 40%;

5 464 სამუშაო ადგილი;

ერთი სამუშაო ადგილი საშუალოდ ჯდება – 2,4 ათასი ლარი.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინფორმაციით რეგიონებში საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მიკრო და მცირე გრანტების სახით დამტკიცებული გეგმების 40% ტრადიციულად სოფლის მეურნეობის დარგზე მოდის, თუმცა, ამასთანავე, აღსანიშნავია მომსახურების სფეროს კუთხით დაფინანსებული საქმიანობებიც, კერძოდ სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული ბიზნესები, მეტალისა და პლასტმასის საამქროები, ავეჯის წარმოება, ავტო-ტექ. მომსახურების, სილამაზისა და ესთეტიკის სალონების გახსნა. საყურადღებოა, რომ დღეისათვის ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნესების 99%-ს მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ, რომლებიც არსებული სამუშაო ძალის 40%-ს ასაქმებენ, მაგრამ მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, აღნიშნული ბიზნესების წილი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 16%-ს შეადგენს. არსებული ვითარების

გამომწვევ მიზეზად ბიზნესების მხრიდან სახელდებოდა ფინანსებზე შეზღუდული წვდომა და ინფორმაციისა თუ ცოდნის ნაკლებობა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მონაცემებით (2017 წლის ივნისი) სულ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილია 3205 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მინიმალური მოცულობა შეადგენს 29 155 007 ლარს, ხოლო ჯამურად დასაქმდება 8 000-მდე ადამიანი, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 942 704 ლარი, სადაც არის 4 909 ბენეფიციარი. სახელმწიფო გრანტების შედეგად 1 სამუშაო ადგილის შექმნაზე დაახლოებით 2,8 ათასი ლარი იხარჯება, ხოლო კერძო ინვესტიციასთან ერთად მიკრო და მცირე ბიზნესის სექტორში საშუალოდ 3 644 ლარად საქმდება ადამიანი. [54]

მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით 2015 წელს 133 პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებში მოსალოდნელმა ჯამურმა ინვესტიციის ოდენობამ 355,6 მილიონი ლარი შეადგინა. პროგნოზით, უნდა შექმნილიყო 6 759 ახალი სამუშაო ადგილი. ერთი სამუშაო ადგილის შესაქმნელად საშუალოდ 52,6 ათასი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. ინდუსტრიული მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტომ მხარი დაუჭირა 75 საწარმოს, რომელთაგან 34 სრულიად ახალია, აღნიშნული პროექტების ინვესტიციის საერთო ღირებულება 205 100 000 მილიონ ლარს შეადგენს, სამუშაო ადგილების რიცხვი კი 2 900-ია. ანუ, ინდუსტრიული მიმართულებით ერთი სამუშაო ადგილის შესაქმენალად საშუალოდ 70,7 ათასის ინვესტიცია იყო საჭირო. პროექტების უმრავლესობა (56 ერთეული) თბილისში განხორციელდა, თუმცა ინვესტიციების კუთხით სამეგრელო-ზემო სვანეთი (55,9 მლნ. ლ) და ქვემო ქართლი (49,9 მლნ. ლ.) ლიდერობენ.

თუ ეს ციფრები ზუსტია, მაშინ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამა ამ კუთხით დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ რადგანაც შეუძლებელია ამ ციფრების გადამოწმება, უცნობია რა შედეგენს ვიღებთ მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული პროგრამებით.

ასე მაგალითად, უცნობია იმ 25 ათასი სამუშაო ადგილიდან, რამდენი არსებობს 1 წლის თავზე. ან თუნდაც იმ 3 200 მცირე და მიკრო მეწარმეებისთვის გაცემული გრანტებიდან, რომლებმაც 8000-მდე სამუშაო ადგილი შექმნა, რამდენია კვლავ აქტიური. თუ საერთაშორისო გამოცდილებას გადავხედავთ, განვითარებულ ქვეყნებში ყოველი 10 სტარტაპიდან 8-9 პირველ წელსვე კოტრდება. ქართულ პრაქტიკაში ბიზნესის განვითარება უფრო რთულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. შესაბამისად, გამოდის, რომ უკეთეს შემთხვევაში იმ 8000 ადგილიდან დღეისათვის 2 მაქსიმუმ 3 ათასი სამუშაო ადგილი თუ შემორჩა.

მიუხედავად იმისა, რომ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამა ყოველწლიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდება მასში ჩართული მეწარმეებიდან გამომდინარე, სააგენტო კვლავ არ აღრიცხავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი მის მიერ მხარდაჭერილი კომპანია გაკოტრდა, ხოლო რამდენი აგრძელებს მუშაობას. რომელ სფეროში რა თანხის ინვესტირებაა საშუალოდ საჭირო 1 სამუშაო ადგილი შესაქმნელად და სად უფრო სტაბილურია დასაქმება. უცნობია რომელი მიმართულებით უფრო ხარჯეფექტურია სახელმწიფო ფინანსების მიმართვა. რომელ სფეროში ჯობია მეწარმეობის განვითარების სააგენტო რომ გააქტიურდეს ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, სასტუმროების თუ სხვა.

ამასთან არაა დათვლილი თუ რა ოდენობის გრანტები თუ როგორი ტიპის დახმარებას მოაქვს უკეთესი შედეგი. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტომ 2015 წელს, კოოპერატივების შექმნის წახალისების მიზნით, პროგრამის ორივე კომპონენტში (საბრუნავი საშუალებები და ძირითადი საშუალებები) განხორციელდა ცვლილებები. საბრუნავი საშუალებების კომპონენტით ძირითადად სარგებლობდნენ მიკრო და მცირე ფერმერები, თუმცა მისი ეფექტი უფრო სოციალური იყო. ფინანსური (სახელმწიფო) რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული კომპონენტი შეიცვალა და ამჟამად მის ფარგლებში ხდება მხოლოდ სეზონური პროექტების დაფინანსება გადამამუშავებელი საწარმოებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება უკავშირდება სესხის ქვედა ზღვარს, რომელიც 5,000-დან 20,000 ლარამდე გაიზარდა. ამ ცვლილების მიზანი იყო მცირე ფერმერების წახალისება, რომ გაერთიანდენ და შექმნან კოოპერატივები.

„გადამამუშავებელ საწარმოთა მხარდამჭერი პროგრამა“

ორგანიზაცია **AGVANTAGE**-ის საქმიანობა მიზნად ისახავს ქართველი მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების დახმარებას საექსპორტო გაყიდვების გაზრდაში, საერთაშორისო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის გზით. აღნიშნული მიზნის მიღწევას **AGVANTAGE** სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასთან, გადამუშავებასა და მარკეტინგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დამაბრკოლებლების შემსუბუქებით ახორციელებს. აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ლიზინგით შეძენის დანერგვის გზით **AGVANTAGE** გრძელვადიანი კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდასაც უწყობს ხელს.

პრიორიტეტული პროდუქტებია: ნედლი ხილი და ბოსტნეული - ვაშლი, კარტოფილი, სუფრის ყურძენი, მწვანილი, მანდარინი, ხახვი, კენკრა და ა.შ.; გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული - ვაშლის წვენი, გაყინული ბოსტნეული, ტყემალი, აჯიკა, ლეღვის მურაბა და ა.შ.; სპეცპროდუქტები - სოკო, წაბლი, თხილი და ა.შ.; იმპორტის ჩანაცვლება - რძის პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქტები, გადამუშავებული ხორცის პროდუქტები და ა.შ.

ორგანიზაცია საქმიანობს:

- თანამშრომლობა ქართველ მწარმოებლებთან და გადამამუშავებლებთან საერთაშორისო ბაზარზე მათი წარმატებით მუშაობის მიზნით;
- ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე გასატანად სტრატეგიების დამუშავება;
- გადამუშავების ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების გაუმჯობესების მეთოდების დამუშავება;
- უცხოელი მყიდველების მოძიება და მათთან ქართველი მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების დაკავშირება;
- ქართველი მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების დახმარება ლიზინგის საშუალებით ტექნიკის შესაძენად საჭირო დაფინანსების მოძიებაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტი - IESC (2006 წელი)

საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხრდაჭერით, ახორციელებს ოთხწლიან პროექტს მცირე და საშულო ბიზნესის განვითარებისთვის. [5]

პროექტის ძირითადი მიმართულებებია:

- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- „ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი - საქართველო";
- ტურიზმის განვითარება;
- კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის ხელშეწყობა;
- სამეწარმეო საქმიანობის უნარის განვითარება.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთელი მასშტაბით, არსებული ბიზნესასოციაციების ბაზაზე, ჩამოაყალიბდა „ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი-საქართველო", რომელიც მეწარმეებს სთავაზობს ბიზნესკონსულტაციებს, სასწავლო კურსებს/ტრენინგებსა და ბაზრის კვლევას. ქსელი განსაკუთრებულად ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე და ქსელის კლიენტებთან ურთიერთობა ემყარება კვალიფიციურ სერვისს, მჭიდრო კავშირებსა და ნდობას. დაარსების (2006 წელი) შემდეგ ქსელი გაფართოვდა და ამჟამად „ბიზნესსაკონსულტაციო ქსელ-საქართველოში" გაერთიანებულია „თბილისი კონსალტინგი", „გორი კონსალტინგი", „ქუთაისი კონსალტინგი", „ბათუმი კონსალტინგი", „ზუგდიდი კონსალტინგი" და „თელავი კონსალტინგი".

მეწარმეებს შეუძლიათ მომსახურების მიღება სხვადასხვა კუთხით: საგადასახადო და საბაჟო საკითხები, მარკეტინგული დაგეგმვა, ბუღალტრული აღრიცხვა, ბიზნესის დაგეგმვა და მართვა, საწარმოთა რეგისტრაცია, ბიზნესპარტნიორების მოძიება და სხვ. ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების მიღება ასევე შესაძლებელია ბიზნესსაკონსულტაციო ქსელის რეგიონალურ ოფისებში.

„ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი - საქართველო"-მ (BCNG) 2006-2016 წლებში კონსულტაცია გაუწია მცირე და საშუალო ბიზნესის 5700-ზე მეტ წარმომადგენელს

და 316 ტრენინგი ჩაატარა ბიზნესის საკითხებით დაინტერესებულ 5 681 პიროვნებისათვის. ასევე BSNG-ის ხელშეწყობით შეიქმნა 1107 სამუშაო ადგილი მცირე და საშუალო ბიზნესში. [35]

CHF საერთაშორისო ასრულებს კატალიზატორის როლს გრძელვადიანი და პოზიტიური ცვლილებებისათვის მცირე და საშუალო შემოსავლიან თემებში მსოფლიო მასშტაბით. ის ეხმარება მათ, გაიუმჯობესონ სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პირობები.

CHF საერთაშორისო არის 50 წლის ამერიკული არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ემსახურება პოზიტიური და გრძელვადიანი ცვლილებების განხორციელებას თემის, საცხოვრებელი გარემოსა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს უკეთესი მსოფლიოს მშენებლობა.

CHF საერთაშორისო ქმნის ანაზღაურებად სამუშაო ადგილებს, რომლებიც აწარმოებენ შემოსავალს და ეხმარებიან ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას; აძლიერებს ბიზნესს სესხებისა და პროფესიული ტრენინგების საშუალებით და ავითარებს ბისნესასოციაციებს; აუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის, აგრეთვე გზების აშენებისა ან შეკეთების გზით, წყლის და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობით, ელექტრო გაყვანილობის და სხვა სოციო-ეკონომიკური ინფრასტრუქტურების გაუმჯობესებით; ხელს უწყობს მეწარმეობის წახალისებას და მცირე ბიზნესის განვითარებას ტრეინინგებითა და ინფორმაციის გავრცელებით.

CHF საერთაშორისოს საქმიანობის სფეროა: თემის განვითარება; ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარება; მიკრო-დაფინანსება და ფინანსური განვითარება; ბიზნესისა და ასოციაციების განვითარება; დემოკრატია და მართვა; პოსტ-კონფლიქტური რეკონსტრუქცია; ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ადგილი; წყალი და კანალიზაციის სისტემები; უბედური შემთხვევების შემდგომი რეაბილიტაცია; ეკოლოგიური მართვა.

CHF საერთაშორისო საქართველოში ხელს უწყობს მდგრად ზრდას პროგრამაში მონაწილე თემებისა და კლიენტების შესაძლებლობებისა და საკუთარი თავისადმი

რწმენის ჩანერგვის მეშვეობით. მუშაობისას უპირატესობას ანიჭებს საუკეთესო გამოცდილებაზე დაფუძნებულ ინოვაციურ მეთოდებს, სისტემებსა და მიდგომებს, რომლებიც ახდენენ ჰუმანიტარულ დახმარების მდგრად ეკონომიკურ განვითარებად გადაქმნას.

პროექტი მიზნად ისახავს ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და შემოსავლის გაზრდას საქართველოს სოციალურად და ეკონომიკურად გაძლიერებული მოქალაქეებისთვის. ხუთწლიანი პროექტი, სახელით „საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივა“ (USAID) დაიწყო 2004 წლის ოქტომბერში და გაგრძელდა 2009 წლის სექტემბრამდე.

პროექტი, რომელიც CHF საერთაშორისომ შექმნა და ამჟამად ხელმძღვანელობს, სტიმულირებას გაუწევს თემებს, კერძო სექტორისა და ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებს შორის პარტნიორობის გზით წარმართულ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს 400-ზე მეტ მცირე, უმეტესად სოფლის თემში.

განვიხილავთ რამდენიმე სახელმწიფო პროგრამას.

პროგრამა - „დაიწყე ბიზნესი მერიის დახმარებით“. მიმდინარეობს 2006 წლიდან დღემდე.

პროგრამა ითვალისწინებს ბიზნესკონსულტაციებს, ტრენინგებს ბიზნესუნარების შეძენისა და განვითარების მსურველთათვის, ბიზნესის დაწყებისა და არსებული (მცირე და საშუალო) ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო დაფინანსების მიღებაში მხარდაჭერას. პროექტისათვის თბილისის მერიის მიერ გამოყოფილია 500 000 ლარი.

ფინანსდება ისეთი პროექტები, რომლებიც ხელს უწყობენ თბილისის, შემოერთებული ტერიტორიებისა და ძველი თბილისის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას, ტურიზმისა და წარმოების განვითარებას. პროექტის ფარგლებში ასევე შესაძლებელია, დაფინანსდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის თბილისელი მომხმარებლისათვის მიწოდება. პროექტის ფარგლებში მერიის პარტნიორი ბანკია სს. „საქართველოს ბანკი“. შედეგების

შემოწმება, სტატისტიკური მონაცემები და ანალიზი ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია.

პროგრამა - „იაფი სესხი“. პერიოდი: 2007 -დან დღემდე. „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდა „იაფი კრედიტის“ სახელმწიფო პროგრამის თანდართული ქვეპროგრამები: „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამა და „რეგიონული ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების“ ქვეპროგრამა. აღნიშნული ქვეპროგრამების მიზანს წარმოადგენს კერძო მეწარმეებისთვის შეღავათიანი საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამ გზით ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების, რეგიონული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

საქართველოს მთავრობის დადგენილების, „იაფი კრედიტის“ სახელწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის შეღავათიანი სესხების გაცემის უზრუნველყოფა, მისი შემდგომი ადმინისტრირება და მონიტორინგი დაევალა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს.

„იაფი სესხის“ პროგრამის „რეგიონალური ტურიზმის,სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების“ ქვეპროგრამა [32]

ქვეპროგრამის მიზანია კერძო მეწარმეებისათვის შეღავათიანი საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდით რეგიონალური ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ზემოაღნიშნულ სფეროში მომუშავე და ბიზნესის დაწყების მსურველი მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქვეპროგრამა ფინანსდება 10 000 000 ლარით.

ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები, განხორციელების პრინციპებია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად წარადგენს წინასწარ შერჩეულ პროექტებს. დამტკიცებული

პროექტები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის სესხად გამოყოფის მეშვეობით. ბენეფიციარ საწარმოებს მოეთხოვებათ პროექტების თანადაფინანსება (თანამონაწილეობა) და სესხების უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი დასაშვებია პირველადი იპოთეკით, მაღალრეიტინგული კომერციული ბანკების გარანტიით, მაღალრეიტინგული სადაზღვევო კომპანიების მოწმობით (პოლისით) ან პირველადი გირავნობით.

ბენეფიციარი საწარმოები კვარტალურად ამზადებენ და წარუდგენენ ინფორმაციას ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, წარუდგენს მათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის სექტორებში სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ, აგრეთვე აღნიშნულ სექტორებში ბიზნესის დაწყების მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც „იაფი სესხის“ პროგრამის ფარგლებში საკუთარ საქმიანობას განავითარებენ საქართველოს რეგიონებში.

„იაფი სესხის“ პროგრამის „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამის მიზანია, საქართველოს მთავრობამ იაფ სესხზე ხელმისაწვდომობის გაზრდით ხელი შეუწყოს ახალი საწარმოების შექმნას საქართველოს რეგიონებში, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ზრდას და მათ აქტიურ დამკვიდრებას საერთაშორისო ბაზარზე. „ექსპორტის წახალისების“ პროგრამა ასევე გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. პროგრამის საერთო ფონდი 25 000 000 ლარია.

„100 ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმო“ პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და აგრობიზნესის განვითარება, რეგიონებში სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოების ამუშავების გზით სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების ზრდა და შედეგად სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

პროგრამის განხორციელების მიზნით, მთავრობის მიერ შერჩეულ იქნა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთები, რომლებიც ფორმირებულ იქნა 100-ზე მეტ ლოტად. აღნიშნული ლოტების გარდა შესაძლებელია, ინვესტორმა თავად შეარჩიოს სასურველი მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მინიმალური ფართი 5ჰა) მიწის ფონდიდან, ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომელთა საკუთრებაში არის სასოფლო-სამეურნეო მიწის არანაკლებ 5ჰა.

პროგრამის ამოცანებია: სოფლის მეურნეობის საწარმოების შექმნის ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მარკეტინგის განვითარება;

ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წილის გაზრდა შიდა ბაზარზე; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის ზრდა და ექსპორტის ხელშეწყობა; რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვა; რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპებია: ინვესტორი, გამარჯვების შემთხვევაში, იხდის ლოტის ღირებულების 20%-ს; წინასწარ შეთანხმებული პირობების შესრულების შემთხვევაში, ინვესტორი მიიღებს ლოტზე 80%-იან ფასდაკლებას. პროგრამის ფარგლებში განიხილება სამი ტიპის პროექტი : პირველადი წარმოება - მეცხოველეობა, მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეთევზეობა და ა.შ. აგრეთვე, მემცენარეობა: მეხილეობა, მეჩაიეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა და სხვ; გადამუშავება - დახარისხება - დაფასოება, შეყინვა და მეორადი გადამუშავება, გაყინვა, კონსერვირება, პრესერვირება; საწარმო ჯაჭვი - სოფლის მეურნეობის პროდუქტის შენახვის, გადამუშავების, სასაქონლე სახის მიცემისა და ბაზარზე დამკვიდრების მთლიანი ციკლი. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები: შემოთავაზებული უმაღლესი ფასი; წარმოდგენილი ბიზნესგეგმის დამაჯერებლობა და აქტუალობა; დადგენილი სამუშაო ადგილების რაოდენობა; დადგენილი ინვესტიციების მოცულობა; პროექტის განხორციელების ვადა; გადასამუშავებელი ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის შეფასებითი მოცულობა.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე მოხდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შერჩევა, რომლებიც ფორმირებულ იქნა 100-ზე მეტ ლოტად. ყოველივე ამის შემდგომ მოხდა აღნიშნული ლოტების გასხვისება შემდეგი პრინციპით გამარჯვებული იხდიდა ლოტის ღირებულების მხოლოდ 20%-ს. პროგრამის ფარგლებში განხილულ იქნა 3 სახის პროექტი: პირველადი წარმოება, გადამუშავება და საწარმოო ჯაჭვი.

სამწუხაროდ ამ პროგრამებზე თანმიმდევრული მონიტორინგისა და სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო მათ ეფექტურობაზე დასკვნების გაკეთება ძალიან გართულებულია, რაც ჩვენი აზრით ცალკე კვლევის და შესაბამისი სამსახურების ძალისხმევის საგანს წარმოადგენს.

ცხრილი 3.1.2.

საქართველოში მოქმედიბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები

პროგრამა	მიზანი
აწარმოე საქართველოში	მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა, სასტუმრო და კინოინდუსტრიის განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარება.
ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურეობის პროგრამა	საწარმოების პროფესიული საკონსულტაციო მომსახურეობა(ბიზნეს დაგეგმვა,კვლევები, მარკეტინგული დაგეგმვა, საბუღალტრო სისტემების დამერგვა, მართვის საინფორმაციო სისტემები)
ქალ მეწარმეთა განვითარების პროგრამა	ქალ მეწარმეთა მხარდაჭერა და წახალისება.
გადამამუშავებელ საწარმოთა მხარდამჭერი პროგრამა	ქართველ მწარმოებლების და გადამამუშავებლების დახმარება საექსპორტო გაყიდვების გაზრდაში
CHF საერთაშორისო	პოზიტიური და გრძელვადიანი ცვლილებების განხორციელება საცხოვრებელი გარემოს და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში. უკეთესი მსოფლიოს მშენებლობა
დაიწყე ბიზნესი მერიის დახმარებით	კონსულტაციები, ტრენინგები ბიზნესუნარების შეძენისათვის. დაფინანსების მხარდაჭერა თბილისის

	მასშტაბით
იაფი სესხი	ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების, რეგიონული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ხალხური რეწვის განვითარების ხელშეწყობა
100 ახალი სასოფლო-სამეურნეო	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და აგრობიზნესის განვითარება

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთვის უმნიშვნელოვანესია სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა იმისათვის, რომ სწორად დაგეგმოს და განახორციელოს მისი საქმიანობა. დღეისათვის ის ფაქტობრივად ბრმად ხარჯავს სახელმწიფო ფინანსებს. მისთვის უცნობია, როგორც პროგრამის პირდაპირი შედეგები, ასევე მისი არაპირდაპირი ზეგავლენა ეკონომიკაზე. სტატისტიკური ინფორმაციის მწვავე ნაკლებობა შეუძლებელს ხდის „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ობიექტური შეფასების საშაუალებას. ჩვენთვის უცნობია ამ პროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხები იყო თუ არა წარმატებული. მიუხედავად იმისა, რომ გაუგებარია ზუსტად რა შედეგებს გვაძლევს „აწარმოე საქართველოში“ ის კვლავ გრძელდება. სტატისტიკური ინფორმაციის არსებობისა და სწორი მენეჯმენტის პირობებში მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა შეიძლება ეკონომიკისთვის დადებითი შედეგების მომტანი გახდეს.

3.2. სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

საქართველოში მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განვიხილავთ შემდეგ მიმართულებებს:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

3. ვინაიდან მცირე და საშუალო მეწარმეობის შედეგები უმნიშვნელოა საერთო საქონელწარმოებაში, მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

5. ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

მიუხედავად საკანონმდებლო და ზოგადად, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი კვლავ აწყდება სიძნელეებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ კონკურენტუნარიანობაზე. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მეწარმეობის ზრდის და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, ისინი გაძლიერებას საჭიროებენ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახლადშექმნილი მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შემდგომი გაძლიერება ბიზნესისთვის მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარებისთვის. ბიზნეს-ასოციაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია მცირე და საშუალო საწარმოთა საჭიროებებზე.

მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მხარდაჭერის ინსტრუმენტების, მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარების და მათი ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია მეწარმეთა საჭიროებების ანალიზი და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა. ამ ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა და კონსულტაციები კერძო სექტორთან, ისევე როგორც ერთმანეთთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შედეგებზე ორიენტირებული დახმარების პროგრამების შემუშავებას. ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ ხაზს უსვამს მცირე და საშუალო მეწარმეებთან კონსულტაციების მნიშვნელობას, მათი მოთხოვნების გათვალისწინების და არაპროპორციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილების მიზნით.

ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმი, რაც ითვალისწინებს ბიზნესის ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესის ადრეულ ეტაპზე. ამ ეტაპზე, საჯარო-კერძო დიალოგი ტარდება, როგორც ბიზნეს-ომბუდსმენის (რომელიც წარმოადგენს მედიატორს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის), ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ (როგორც საკანონმდებლო ცვლილებზე, ასევე DCFTA-ის მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით), თუმცა არ არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეებთან თანამშრომლობის ფორმალური პლატფორმა. მსგავსი პლატფორმის შექმნა მნიშვნელოვანია, როგორც რეგულაციებთან დაკავშირებით მათი მოსაზრების გაზიარების და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს ფორმირების, ასევე, პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისითაც.

მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროს, როგორც შემლებისდაგვარად ფართო სტატისტიკის, ასევე, მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების არსებობა, რომელიც მორგებულია და ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს და ამასთან, შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან. მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტება, რომელიც ამჟამად გამოიყენება საქსტატის მიერ ბიზნეს სტატისტიკის შეგროვებისთვის, შემუშავებულია 2002 წელს და ითვალისწინებს საწარმოთა ბრუნვას და დასაქმებულთა რაოდენობას. ეს განმარტება შეესაბამება ევროკავშირის განმარტებას, გარდა კრიტერიუმების დადგენილი ზღვრებისა და ასევე საწარმოს ბალანსისა (რომელიც ასევე მიიღება მხედველობაში). მნიშვნელოვანია განმარტების განახლება, რომელშიც, კრიტერიუმების ზღვრები დაეფუძნება ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის და შესაბამისად - კომპანიების განვითარების მაჩვენებლებს.

გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსში [34] გამოყენებული მცირე ბიზნესის განმარტება არ შეესაბამება სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებულ განმარტებას. მცირე და საშუალო საწარმოთა სწორი, რეალობას მორგებული განმარტების არქონის გამო საწარმოთა სტატისტიკური მონაცემები (რომელიც ამ განმარტებას ეყრდნობა) არ ასახავს საწარმოთა ზუსტ მაჩვენებლებს და შესაბამისად,

ართულებს მიზანმიმართული ღონისძიებების, როგორც შემუშავებას, ასევე მათი გავლენის შეფასებას. ბოლო წლების მანძილზე საქსტატმა, ბიზნესის სტატისტიკის შეგროვების მიზნით, მნიშვნელოვნად გააფართოვა, როგორც საწარმოთა ჩამონათვალი, ასევე, მონაცემთა რაოდენობა, მაგრამ არსებობს ინფორმაციები (მაგ. ექსპორტ/იმპორტის ციფრები საწარმოთა ზომის მიხედვით), რომლებიც ამ ეტაპზე არ გროვდება და რომელიც აუცილებელია ბიზნესის ტენდენციების, ასევე, სირთულეების იდენტიფიცირების და განვითარების მიზნობრივი ღონისძიებების შემუშავებისთვის.

ამჟამად, საქართველოში არ არსებობს რეგულირების გავლენის შეფასების ჩამოყალიბებული სისტემა (RIA). ხორციელდება მხოლოდ ახალი რეგულაციების შესაძლო ზეგავლენის (როგორც სამეწარმეო გარემოზე, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებზე) მარტივი შეფასება. შესაბამისად, არ არსებობს სიღრმისეული ანალიზი, თუ რა გავლენა შესაძლოა მოახდინოს ახალმა რეგულირებამ ბიზნეს-სექტორზე, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის ზრდის და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, საჭიროა როგორც ახალი საკანონმდებლო წინადადებების, ასევე, არსებული კანონმდებლობის შეფასება, ბიზნესზე რეგულირების ტვირთის და რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების იდენტიფიცირებისთვის. ევროპული მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპი ასევე ითვალისწინებს RIA-ს სისტემის არსებობას სამეწარმეო გარემოს უკეთესი რეგულირების და მცირე და საშუალო მეწარმეებზე არაპროპორციული ტვირთის თავიდან აცილებას.

ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება, რაც დღეისთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენს. საწარმოების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ოპერირებს, ვერ ახერხებს ბიზნესის დახურვას.

შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობა, რაც ასევე იდენტიფიცირებულია მსოფლიო ბანკის Doing Business-ის ანგარიშებში, [61] სადაც საქართველოს 2016 წელს 101-ე ადგილი უკავია. ბიზნესის

დახურვის პროცედურების გამარტივება ასევე ხელს შეუწყობს სამეწარმეო რეესტრის და შესაბამისად - ბიზნესის სტატისტიკის გაუმჯობესებას (სამეწარმეო რეესტრში არ იქნება აღრიცხული ის კომპანიები, რომლებიც აღარ ფუნქციონირებს). კანონმდებლობის ანალიზი და საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება მოხდება კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მნიშვნელოვანია საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება საერთაშორისო და ევროპული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, რითაც გაფართოვდება ბიზნესის სტატისტიკური მაჩვენებლების არეალი უფრო დეტალური ინფორმაციის მოგროვების/დამუშავების თვალსაზრისით. ეს შესაძლებელს გახდის უფრო ზუსტად იქნეს იდენტიფიცირებული ბიზნესის განვითარების ამსახველი ტენდენციები, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია მხარდაჭერის საჭიროებებზე ორიენტირებული და ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებისთვის.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება ხელს შეუწყობს ამ სექტორის შემდგომ განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

საჯარო და კერძო სექტორში, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმომადგენელთა შორის დიალოგის და თანმშრომლობის გაღრმავების მიზნით, ინსტიტუციურ დონეზე უნდა შეიქმნას პლატფორმა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის რეგულარული და სტრუქტურირებული დიალოგის წარმოებას. დიალოგის მექანიზმი ხელს შეუწყობს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის ნდობის გაზრდას და პროგნოზირებადი გარემოს ჩამოყალიბებას.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და ზრდისთვის. „Global Competitiveness Index 2015-2016“-ის მიხედვით, [90] ბიზნესის წარმოების მეორე ყველაზე დიდი პრობლემა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა. გამოკვლეული საწარმოების 13.6% ბიზნესის წარმოების მთავარ დაბრკოლებად სწორედ ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ასახელებს. მსოფლიო ბანკის 2015 წლის საწარმოთა კვლევაში [91] ფინანსებზე ხელმისაწვდომობა 10-დან მეორე მთავარ პრობლემად არის მიჩნეული. მსოფლიო ბანკის შეფასებით, კომერციული ბანკების სესხების

პორტფელში მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა (24,4%), რაც ვერ პასუხობს საჭიროებებს ქვეყნის ზრდის და განვითარებისათვის. როგორც კომერციული ბანკების, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. მიუხედავად ბოლო 10 წლის განმავლობაში (2005-2015) კომერციული ბანკებში გრძელვადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა 20%-დან 15.7%-მდე - ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე და 15.6%-დან 10.6%-მდე - უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე, ის კვლავ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. გარდა ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეობას ხშირ შემთხვევაში არ აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (რომელიც რიგ შემთხვევაში გასაცემი სესხის 100%-ს აღემატება).

გარდა ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტებსა (fund rising) და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე (მათ შორის, კერძო და ვენჩურული კაპიტალის ფონდებზე). შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, მეწარმეთა ცნობიერების და კაპიტალის ზრდის და ალტერნატიული წყაროებიდან ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით.

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ კარგად არის განვითარებული. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში ოპერირებს 72 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთაც ქვეყნის მასშტაბით 393 ფილიალი/სერვისცენტრი აქვთ, სადაც დასაქმებულია 4 899 ადამიანი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ყველაზე მეტად აქტიურნი არიან მცირე და საშუალო მეწარმეობის დაფინანსებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს კომუნიკაციის ნაკლებობა კერძო სექტორთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების გამოვლენის და შესაბამისი ქმედებების განხორციელებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“

(2016)),[10] მცირე და საშუალო საწარმოებს ამ ეტაპზე არ აქვთ ვალდებულება ანგარიშგება აწარმოონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) მიხედვით. ამავე დროს, ასოცირების შეთანხმებით, [36] საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება ქვეყნის კანონმდებლობა დააახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას ბუღალტრული აღრიცხვის სფეროშიც. ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაზრდის კომპანიების ანგარიშგების გამჭვირვალობას და ასევე, მათ შესაძლებლობებს, უფრო მარტივად შეიძინონ ბიზნეს-პარტნიორები და მოიზიდონ დამატებითი ფინანსური რესურსი. მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაძლებლობები, აწარმოონ ფინანსური ანგარიშგება IFRS for SMEs-ის მიხედვით შეზღუდულია, რაც აფერხებს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას და შესაბამისად - კომპანიების ზრდას და განვითარებას.

მეწარმეებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა გრანტებზე, ვინაიდან კომპანიები (მათ შორის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ინდ. მეწარმე და ა.შ.) არ შეიძლება იყვნენ გრანტის ბენეფიციარები, რაც ქმნის დაბრკოლებას ალტერნატიული დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით. აღნიშნული შეზღუდვა ასევე პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით და ზღუდავს კომპანიებში ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) შესაძლებლობებს.

ფინანსური განათლების ამაღლება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო კომპანიების შესაძლებლობების ზრდას, უკეთესად დაგეგმონ ბიზნესი, მოიზიდონ და ეფექტიანად გამოიყენონ ფინანსური რესურსები. ფინანსური განათლების გაუმჯობესება ასევე შეუწყობს ხელს მეწარმეთა მიერ ფინანსურ ბაზარზე არსებული მოთხოვნების, პროდუქტებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას და შესაბამისად - ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას კომპანიის განვითარებისთვის.

IFRS for SMEs -ისთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო მეწარმეებს ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში გამოიყენონ ეს სტანდარტები, რაც თავის მხრივ, განაპირობებს კომპანიების ანგარიშების გამჭვირვალობას და

შესაბამისად, გააუმჯობესებს საინვესტიციო კაპიტალსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას. ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალეობა ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიზნეს-პარტნიორების მოძიების თვალსაზრისით. IFRS for SMEs დანერგვის ხელშეწყობისთვის უზრუნველყოფილი იქნება ცნობიერების ამაღლება მიზნობრივი ჯგუფებისთვის ამ სტანდარტების გამოყენების სარგებელთან დაკავშირებით, ასევე, შემუშავდება ტრენინგ-მოდულები და ჩატარდება მიზნობრივი ტრენინგები მცირე და საშუალო კომპანიებისთვის.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მეწარმეების ცოდნის ამაღლება fund raising-ის მიმართულებით, ვინაიდან მათი ცოდნა, თუ როგორ და საიდან (გარდა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა) არის შესაძლებელი დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა, შეზღუდულია.

მცირე და საშუალო კომპანიების დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო ფონდების მოზიდვა საქართველოში ხელს შეუწყობს დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე ხელმისაწვდომობას და შესაბამისად - ამ კომპანიების ზრდას, განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ხოლო ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა კი - დამწყები ბიზნესის განვითარებას. ამავე დროს, მცირე და საშუალო მეწარმეობის მზადყოფნა საინვესტიციო ფონდებთან თანამშრომლობისთვის, ისევე როგორც დამწყები ბიზნესის მზადყოფნა ვენჩორული კაპიტალის ფოდნებთან თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ ფონდებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვისთვის.

მცირე და საშუალო საწარმოთათვის კომერციული ბანკებიდან დაფინანსებაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გაფართოვდეს სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ხელი უნდა შეეწყოს კერძო სექტორს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის სადისკუსიო მრგვალი მაგიდების ორგანიზებას, რომლის მიზანია დაფინანსების თუ ფინანსური ცნობიერების კუთხით არსებული დაბრკოლებების და საჭიროებების იდენტიფიცირება. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს

პროდუქტისა და მომსახურების გაუმჯობესებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან, ისევე, როგორც გააუმჯობესებს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებს უკეთ დააკმაყოფილონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნები.

კონკურენტული ადამიანური კაპიტალის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია ზოგადად, მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის და მოიცავს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს პროფესიული განათლებისა და გადამზადების რეფორმა, სამუშაო ძალის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჯერ კიდევ რეალობას წარმოადგენს.

სამუშაო ძალის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან არასაკმარისი შესაბამისობა, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს დასაქმების ტენდენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული ბოლო წლების განმავლობაში, ის კვლავ მაღალია და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარება „საქართველო 2020“-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის სიმწირე დაბრკოლებაა განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდისა და განვითარებისათვის, ვინაიდან მათი რესურსები მცირეა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, რათა ხელი შეეწყოს მაღალკვალიფიციური ადამიანების დასაქმებას მცირე და საშუალო კომპანიებში. ამ მიზნით, საჭიროა შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირება შესაბამისი უნარების განვითარების პროგრამების შესამუშავებლად. სამეწარმეო განათლება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპეტენციის დანერგვა განათლების ყველა ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია როგორც კერძო სექტორის განვითარებისთვის, ასევე თვითდასაქმებისთვის.

ამ ეტაპზე, საქართველოს განათლების სისტემაში სრულად არ არის დანერგილი სამეწარმეო განათლება საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად. ასევე არ არის დანერგილი უწყვეტი სამეწარმეო სწავლება (Lifelong Entrepreneurial Learning), რაც გულისხმობს სამეწარმეო განათლებას განათლების ყველა საფეხურზე. საჭიროება, შემუშავდეს სასწავლო პროგრამები განათლების ყველა დონეზე, რომელიც მოიცავენ სამეწარმეო სწავლების კომპონენტებს.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარებას, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „შრომის ბაზრის ფორმირების სტრატეგია“ [33] და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2015-2018 წლებისთვის (აგვისტო, 2013), რომელიც მოიცავს არაფორმალური განათლების საკითხებს, შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერას, შრომის ბაზრის კვლევების ინსტიტუციონალიზაციას და ინფორმაციული ბაზის შექმნა/განვითარებას, პროფესიული და სამეწარმეო უნარების განვითარებას და სხვა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინაციას უწევს სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. ამასთან, შეიქმნა სპეციალური პორტალი [96], სადაც ხდება, როგორც სამუშაოს მაძიებლების, ასევე, დამსაქმებელთა მიერ ვაკანსიების რეგისტრაცია. დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება. მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობა და სამეწარმეო უნარების გაუმჯობესება. სამეწარმეო უნარების ნაკლებობა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ხელისშემშლელი ფაქტორია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია საბჭოთა მემკვიდრეობით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ სამეწარმეო უნარები გაუმჯობესებულია, ის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. ბიზნესის დაგეგმვის და განვითარების, მარკეტინგის და სხვა იმ

უნარების ცოდნის დონე, რაც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისთვის - დაბალია.

ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ქალთა მეწარმეობის გაძლიერება და ხელშეწყობა. ქალები ნაკლებად არიან ჩართულები სამეწარმეო საქმიანობაში, ვიდრე მამაკაცები, ასე რომ, მნიშვნელოვანია მოხდეს კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ქალ მეწარმეთა სტიმულირების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქალების მონაწილეობის ზრდას ეკონომიკურ საქმიანობაში.

ეფექტიანი და კერძო სექტორის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიული განათლების ფორმირების ყველა დონეზე. პარტნიორობა მაკრო დონეზე გულისხმობს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიული განათლების ფორმირების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ ჩართულობის მექანიზმი იყოს ფორმალური (თემატური სამუშაო ჯგუფები) და სისტემატური. ჩართულობის ეფექტური მექანიზმი უზრუნველყოფს კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინებას პროფესიული განათლების პოლიტიკის ფორმირების ყველა დონეზე. მეზო დონეზე პარტნიორობა და ჩართულობა გულისხმობს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ კვალიფიკაციათა შემუშავების პროცესში, რაც ასევე მნიშვნელოვანია მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციების განვითარების და შესაბამისად, დასაქმების თვალსაზრისით. პარტნიორობა მიკრო/ინსტიტუციონალურ დონე გულისხმობს კერძო სექტორის საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირდაპირ ჩართულობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ე.წ. „პარტნიორობა ცოდნისთვის“ (Knowledge Partnership)[75] განვითარება, საგანმანათლებლო დაწესებულებების პირდაპირ პარტნიორობას, როგორც კერძო სექტორთან, ასევე სხვადასხვა საჯარო თუ სამეცნიერო ინსტიტუტებთან.

მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. ეფექტიანი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების ხარისხის გაუმჯობესების, ნდობის ამაღლების და ასევე, არაფორმალური

ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის და ბიზნეს საქმიანობაში ქალების ჩართულობის მიზნით, უნდა განხორციელდეს ნაკლოვანებათა შეფასება და საჭიროებათა ანალიზი. ანალიზის შედეგების გათვალისწინებით შემუშავდეს შესაბამისი ღონისძებები ქალთა მეწარმეობის მხარდასაჭერად. ასევე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით და მონაწილეობით ჩამოყალიბდეს პლატფორმა, რომლის მიზანი იქნება დიალოგი და ქალთა მეწარმეობაში ჩართულობის გააქტიურების ხელშეწყობა. ხელი უნდა შეეწყოს ქალთა მონაწილეობას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მათ შორის, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების კომპონენტში და ინოვაციების ხელშეწყობის პროექტებში.

მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისების მიზნით მნიშვნელოვანია მათი ცნობიერების ამაღლება რესურსეფექტურ (resource efficiency) და სუფთა წარმოებასთან (clean production) დაკავშირებით, ასევე, გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან (environmental performance) დაკავშირებით.

მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანესია ექსპორტის ხელშეწყობა. იმ სარგებლის მაქსიმიზაციისთვის, რომელსაც DCFTA პოტენციურად სთავაზობს მეწარმეებს, მნიშვნელოვანია, როგორც მათი ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე, ამ მოთხოვნების ადაპტაციაში ხელშეწყობა.. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რიგი რეგულაციები ვრცელდება პროდუქტის, როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს ბაზარზე განთავსებაზეც, რაც კიდევ უფრო ზრდის DCFTA-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კომპანიების შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობას.[68] DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია დღეისთვის გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ვინაიდან მოითხოვს არა მხოლოდ საექსპორტო ბაზარზე მოთხოვნების ცოდნას, არამედ დამატებით ფინანსურ რესურსებს წარმოების ამ მოთხოვნების შესაბამისად განვითარებისთვის.

მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნა მცირეა საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორც პროდუქტსა და მომსახურებაზე მოთხოვნის,

ასევე მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ექსპორტის პოტენციალის განვითარებაზე. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება, კვლევების ჩატარება, ან საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა დაკავშირებულია დამატებით როგორც კვალიფიციურ ადამიანურ რესურსთან, ასევე - ფინანსებთან, რისი შესაძლებლობიც მცირე და საშუალო მეწარმეობაში შეზღუდულია. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება) განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოსაფხვრელად.

საქართველო წარმატებით აგრძელებს ხარისხის ინფრასტრუქტურის რეფორმას საუკეთესო ევროპული პრაქტიკის და DCFTA-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორის ცოდნა ხარისხის ინფრასტრუქტურის მნიშვნელობასა და იმ სარგებელზე, რაც კარგად განვითარებულმა ხარისხის ინფრასტრუქტურამ და საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გამოყენებამ შეიძლება მოიტანოს საერთაშორისო ვაჭრობაში - არადამაკმაყოფილებელია.

ექსპორტის პოტენციალის ზრდის, ისევე როგორც ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი არის მარკეტინგის, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე ორიენტირებული მარკეტინგის არასაკმარისი ცოდნა და ასევე, მარკეტინგისთვის საჭირო ფინანსური რესურსების არქონა. აქედან გამომდინარე, ექსპორტირებული პროდუქციის უმრავლესობა წარმოებულია მსხვილი კომპანიების მიერ. გარდა ამისა, მცირე და საშუალო კომპანიებს არ გააჩნიათ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვისთვის.

მცირე და საშუალო კომპანიებს არ გააჩნიათ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი, რაც მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების და ინვესტორთა მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე მათ მიერ წარმოებული პროდუქტისა თუ მომსახურების პოპულარიზაციისთვის.

2015 წელს, მეწარმეობის განვითარების და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოები გახდნენ ევროპული საწარმოთა ქსელის (EEN - Enterprise Europe Network) პარტნიორები, რომელიც აერთიანებს 600-მდე ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, სავაჭრო-სამრეწველო პალატებს, ტექნოლოგიურ ცენტრებს, განვითარების ორგანიზაციებს. EEN-ში მონაწილეობა ხელს შეუწყობს კონტაქტების დამყარებას ადგილობრივ და ევროპულ კომპანიებს შორის, ასევე ტექნოლოგიურ ტრანსფერს და კომპანიების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. როგორც მულტინაციონალური და საერთაშორისო კომპანიები, ასევე ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, რიგი პროდუქტების და მომსახურებების შესყიდვას სწორედ მცირე და საშუალო კომპანიებიდან, მათ შორის, ადგილობრივი კომპანიებიდან ახორციელებენ. ამავე დროს, მცირე და საშუალო მეწარმეებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია მსგავს მოთხოვნებთან დაკავშირებით, არც შესაბამისი უნარები და არც ცოდნა იმ თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია კომერციული ურთიერთობების დამყარებისთვის.

მცირე და საშუალო კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა საქართველოში მოქმედ საერთაშორისო კომპანიებთან კავშირის დამყარებაა. მსხვილი საერთაშორისო კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, პროდუქტისა და მომსახურების იმპორტის ნაცვლად პრიორიტეტს ანიჭებენ პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვას ადგილობრივი კომპანიებისგან. ამჟამად არ არსებობს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების დაკავშირებას საქართველოში მოქმედ მსხვილ ინვესტორებთან.

მცირე და საშუალო საწარმოთა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოთა შორის კავშირების დამყარება (FDI-SMEs linkages), თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩაბმას. საერთაშორისო კოპანიები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტნიორ კომპანიებში პასუხისმებლიანი ბიზნესის ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) პრინციპებს, რაც გულისხმობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, კორპორაციული

სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას, თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობების განვითარებას და სხვა, რაც სტიმულს აძლევს კერძო სექტორს, მეტი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებაში. საქართველოში RBC-სთან დაკავშირებით ცოდნა მწირეა. ასევე მწირია ცოდნა, რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს კერძო სექტორს RBC-ს პრინციპების განხორციელებამ საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორების და ინვესტორების მოძიების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ცოდნის ამაღლება RBC-სთან დაკავშირებით და ამ პრინციპების დანერგვის პოპულარიზაცია. RBC-ს დანერგვის ხელშეწყობა და OECD-ს გაიდლაინების პოპულარიზაცია წამოადგენს ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ მიმართულებას. [3]

კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის პერსპექტივებთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, კერძო სექტორს დროულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ რეფორმებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ შეთანხმებით არის გათვალისწინებული და რომლებიც, გარდა ინსტიტუციური განვითარებისა, მოითხოვს კომპანიების ამ რეგულირებასთან შესაბამისობას. ამ მიზნით, უნდა განხორციელდეს ღონისძებები, როგორც მცირე და საშუალო კომპანიების, ასევე, ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია საკონსულტაციო მომსახურების განვითარებისთვის.

ასევე აუცილებელია მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხარისხის ინფრასტრუქტურასთან (მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება) დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირებისთვის.

DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია, გარდა ადამიანური რესურსის განვითრებისა, მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს. კომპანიების მხარდაჭერის მიზნით კიდევ უფრო უნდა განვითარდეს მხარდაჭერის სქემები (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტები), რომლებიც ორიენტირებული იქნება ევროპული ნორმების და მოთხოვნების დანერგვაზე, რეგულირებით გამოწვეული

შესაძლო ტვირთის შემსუბუქებაზე და შესაბამისად, მცირე და საშუალო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

გამომდინარე იქედან, რომ საექსპორტო ბაზრების კვლევა საკმაოდ ძვირადღირებულია, უმეტეს შემთხვევაში, მცირე და საშუალო მეწარმეებს მასზე ხელი არ მიუწვდებათ. საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება კერძო სექტორს შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების დივერსიფიცირება და ასევე, გაზარდოს ექსპორტის შესაძლებლობები.

ონლაინ პორტალის www.tradewithgeorgia.com (შემუშავებული მეწარმეობის განვითარების სააგენტოს და GIZ-ის თანამშრომლობით) მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომობა მუდმივად განახლებად ინფორმაციზე, როგორც საექსპორტო კომპანიების და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის შესახებ, ასევე, შესაძლებელი იქნება პარტნიორებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარება. პორტალზე განთავსდება ანალიტიკური ინფორმაცია პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან, მათ შორის, ტექნიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით. „Euromonitor"-თან თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება 10 ქვეყანის 28 ეკონომიკურ სექტორზე ანალიტიკური ინფორმაციაზე წვდომა (მათ შორის, ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, სტატისტიკა და პროგნოზები).

ექსპორტის სტიმულირების მიზნით შემუშავდება შესაბამისი ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოთა მარკეტინგის გაუმჯობესების და მხარდაჭერისთვის, ასევე პროდუქტების და სერვისების საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარიზაციისთვის.

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პრინციპებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია, როგორც კომპანიების მდგრადი განვითრებისთვის, ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით. ამ მიზნით მნიშვნელოვანია OECD-თან თანამშრომლობა, რომელსაც შემუშავებული აქვს კომპანიებში RBC-ს დანერგვის გაიდლაინები. კერძო სექტორში RBC-სთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების და მისი პოპულარიზაციის მიზნით, უნდა მოხდეს იმ ორგანიზაციების

იდენტიფიცირება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ RBC-სთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების და პოპულარიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებში.

უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მათ ჩართვას ღირებულებათა ჯაჭვში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდის, განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. უნდა შეიქმნას საწარმოთა ბაზა, რომელიც მოიცავს კომპანიების პროფილებს და რომელიც იქნება განახლებადი. ჩატარდეს პოტენციური მსხვილი ინვესტორების/კომპანიების კვლევა მათი ადგილობრივ მეწარმეებთან კავშირების დამყარების ხელშეწყობის მიზნით.

ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების ხელშეწყობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კომპანიების კონკურენტუნარიანობის და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის. კომპანიების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოებთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება არის დაბალი, რისი ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტექნოლოგიების განვითარების არასაკმარისი დონე და ინოვაციების ნაკლებობაა. როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები ინოვაციებზე და კვლევასა და განვითარებაზე (R&D) არასაკმარისია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიების ზრდა და განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით. ვინაიდან მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური რესურსები შეზღუდულია, მათ არ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ ინვესტიციები ინოვაციებში, კვლევასა და განვითარებასა და ასევე, ახალ ტექნოლოგიებში. ამასთან, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები (technology absorbtion) არის ძალიან დაბალი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციების განვითარებას და ასევე, გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობას თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ინოვაციებისა და R&D-სთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს start-up-ების და მცირე და საშუალო კომპანიების განვითარებას - არასაკმარისია. ასევე დაბალია ინოვაციების კომერციალიზაციის და იდეების პროდუქტად გარდაქმნის მაჩვენებელი. გარდა

ამისა, დღეისთვის, მთელი ქვეყნის ტერიტორია არ არის დაფარული მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ძირითადად მიმართულია მცირე და საშუალო მეწარმეობის და start-up-ის მხარდაჭერისკენ როგორც ინოვაციების, ასევე R&D-ს განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება და ინსტიტუციურ გაძლიერება, ასევე მოთხოვნაზე ორიენტირებული პროდუქტების და სერვისების შემდგომი განვითარება.

ინოვაციების დანერგვის მაჩვენებელი ცხრილი 3.2.1.

შეფასების სახე	ადგილი
გლობალური ინოვაციების ინდექსი	73
ბიზნესის ტექნოლოგიურობის დონე	105
გლობალური კონკურენტუნარიანობის დონე	66
ინოვაციების შესაძლებლობა	121
კომპანიის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე	127
უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა	97
ფირმის დონეზე ტექნოლოგიების გამოყენება	103

მცირე და საშუალო საწარმოებში, აუცილებელია გაიზარდოს ცნობადობა ინოვაციური მეწარმეობის მნიშვნელობაზე. მიზანმიმართული და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით უნდა განხორციელდეს მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციური უნარების და ინოვაციების განვითარების ანალიზი.

ინოვაციები ხშირ შემთხვევაში რისკიან ბიზნესად განიხილება და ამიტომაც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დონე დაბალია. ფინანსური ინსტიტუტები უმეტეს შემთხვევაში არ აფინანსებენ ინოვაციებს. არც კომპანიების მიერ ინოვაციებსა და R&D-ზე გაწეული ხარჯებია საკმარისი. ძირითადად ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (რაც ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ტრანსფერისთვის). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა.

ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაციის ნაკლებობა (გამოყენებითი კვლევების ჩათვლით) ხელს უშლის მათ გამოყენებას ეკონომიკაში. კვლევითი

ინსტიტუტები, ზოგადად, არ არიან ფოკუსირებულნი კომერციალიზაციაზე. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია გამოყენებითი კვლევების პოპულარიზაცია სამეცნიერო წრეში, ასევე, მეცნიერთა ცნობადობის ამაღლება გამოგონებების კომერციალიზაციასთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელოვანია ქართული პროდუქტების - ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და გამოგონებების გამოყენების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.

მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ICT-ის უნარების გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე და საშუალო საწარმოებში, როგორც ინოვაციების განვითარების, ასევე მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე რთულია კონკურენტუნარიანობის ამაღლება ან მისი შენარჩუნება. გარდა ამისა, იდეის პროდუქტად გარდაქმნა, ინტერნაციონალიზაცია, ინვესტიციების მოზიდვა და თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან მოითხოვს თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებს სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა, მათ შორის, მენეჯმენტის და მარკეტინგის მიმართულებებით. ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, მცირე და საშუალო მეწარმეთა უმრავლესობას, უმეტესად რეგიონებში, არ შეუძლიათ მოიზიდონ მაღალკვალიფიციური კადრები, ან განავითარონ არსებულთა უნარები.

მცირე და საშუალო საწარმოებსა და start-up-ებში ინოვაციების და R&D-ის სტიმულირების და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. აქედან გამომდინარე, ხელი უნდა შეეწყოს საჭირო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ტექნოლოგიური პარკის, სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორიების შექმნას და განვითარებას, რომლებიც აღჭურვილ იქნებიან ინოვაციების და R&D-ის განვითარებისთვის საჭირო მოწყობილობებით,

საქართველოში რეგიონებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი. მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს ქალაქ თბილისსა (მის შემოგარენს) და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის. ასევე, აშკარა განსხვავებებია იმ პირობებში, რომლებიც გვხვდება ქალაქად, ერთი მხრივ, და სოფლად, მეორე მხრივ. ამავდროულად,

მაღალმთიანი რეგიონების პირობები სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული პირობებისგან.

სამეწარმეო საქმიანობის განვითარების საჭიროებებისა და შესაბამისი პრიორიტეტების გამოვლენისთვის და მათ გადასაჭრელად, საჭირო ღონისძიებების ჯეროვანი განსაზღვრისთვის, მხედველობაშია მისაღები რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ: რეგიონებს შორის განსხვავებები არ არის სოციალ-ეკონომიკური უთანასწორობების იდენტური, რაც ამართლებს საჯარო ინტერვენციას. ასეთი უთანასწორობებისა და მათთან დაკავშირებული განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა მოითხოვს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორებიცაა: საქართველოს საერთო განვითარების პრიორიტეტები, შესაბამისი დარგობრივი პრიორიტეტები და, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ხელშეკრულებები ის ფაქტი, რომ ზოგი რეგიონი მეტწილად სოფლებს მოიცავს, ზოგი კი უფრო ურბანული ტიპისაა, არ წარმოადგენს თავისთავად პრობლემას, თუმცა თითოეული ტიპის რეგიონს, შესაბამისად, გააჩნია განვითარების განსხვავებული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება მოითხოვს გარკვეული ბალანსის დაცვას.

საქართველოს რეგიონების შესახებ არსებულ მონაცემებში გარკვეული სისუსტეები და უკმარისობები აშკარად ჩანს, მაგრამ „საქსტატის“ უწყვეტი მუშაობა მათ აღმოფხვრას ემსახურება. ასეთი სისუსტეების არსებობა არ აფერხებს სამეწარმეო სამიანობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, რომლის განხორციელებისას მთავარი მიზანია, ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ინკლუზიური ანუ საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დიდწილად არის დამოკიდებული არა მარტო საერთო ეროვნული, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ძლიერ და კონკურენტუნარიან რეგიონებზე. სამეწარმეო საქმიანობის განვითარება განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად.

სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სტრატეგია მოწოდებულია დაიცვას კონცენტრაციის პრინციპი. (საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპი, რომელიც

გულისხმობს რესურსების და ძალისხმევის ძირითად საჭიროებებზე კონცენტრირებას). ამ პროგრამის პრინციპია გამოვლინდეს ისეთი საჭიროებები, რომლებიც უკავშირდება და ხელს უწყობს ქვეყნის დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეებზე წარმოების სექტორის განვითარების მხარდასაჭერად, საჭიროა, მნიშვნელოვანი აქცენტი ადამიანური რესურსების გადამზადებასა და ტრენინგზე გაკეთდეს. კონკრეტულად, საქართველოს ესაჭიროება უფრო მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც ბიზნესის საჭიროებებს უპასუხებს. ეს მოითხოვს, როგორც ბიზნესის ცოდნის საჭიროების უფრო კარგად გაცნობიერებას, ისე, სათანადო სასწავლო დაწესებულებების არსებობას მთელს ქვეყანაში, ზემოაღნიშნული ცოდნის მისაღებად. ზოგადად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა და კერძოდ პროფესიული განათლება საჭიროებს უწყვეტ რეფორმირებასა და საფუძვლიან განვითარებას.

ნათელია, რომ სუბნაციონალურ დონეზე ინსტიტუციური შესაძლებლობების არცთუ მაღალი დონე რეალური ბარიერია ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, ამ პრიორიტეტის მიზანია ამ პრობლემის გადაჭრა ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელების გზით.

დასკვნები

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი დასკვნების და მეცნიერული მიღწევების წარმოდგენის საშუალება მოგვცა:

1. მცირე საწარმოს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდ მასშტაბებში „შთანთქოს“ დაუსაქმებელი მუშახელი, რომელიც გამონთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან, შეამციროს ან განმუხტოს ეკონომიკური კრიზისის თუ ვარდნის პირობებში წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობა.

2. საგადასახადო კოდექსში გამოყენებული მცირე ბიზნესის განმარტება არ შეესაბამება სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებულ განმარტებას. მცირე და საშუალო საწარმოთა ცალსახა, რეალობას მორგებული განმარტების არქონის გამო საწარმოთა სტატისტიკური მონაცემები (რომელიც ამ განმარტებას ეყრდნობა) არ ასახავს საწარმოთა ზუსტ მაჩვენებლებს და შესაბამისად, ართულებს მიზანმიმართული ღონისძიებების, როგორც შემუშავებას, ასევე მათი გავლენის შეფასებას.

3. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, ისინი გაძლიერებას საჭიროებენ.

4. მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის ზრდის და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, საჭიროა, როგორც ახალი საკანონმდებლო წინადადებების, ასევე, არსებული კანონმდებლობის შეფასება, ბიზნესზე რეგულირების ტვირთის და რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების იდენტიფიცირებისთვის.

5. მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება, რაც დღეისთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენს. საწარმოების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ოპერირებს, ვერ ახერხებს ბიზნესის დახურვას.

6. გაუმჯობესებას საჭიროებს გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობა.

7. მცირე და საშუალო მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტებსა (fund rising) და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე (მათ შორის, კერძო და ვენჩურული კაპიტალის ფონდებზე). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, მეწარმეთა ცნობიერების და კაპიტალის ზრდის და ალტერნატიული წყაროებიდან ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით. მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაძლებლობები, აწარმოონ ფინანსური ანგარიშგება IFRS for SMEs-ის მიხედვით შეზღუდულია, რაც აფერხებს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას და შესაბამისად - კომპანიების ზრდას და განვითარებას.

8. ბოლო პერიოდში ბიზნესის რეგულირების კუთხით არსებული უამრავი პოზიტივის მიუხედავად, რიგი პრობლემები მოგვარებას საჭიროებს. სახელდობრ, კერძო სექტორის დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს სრულად დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ბიზნესის საქმიანობაში მთავრობის უკანონო ჩარევისგან და საკუთრების უფლების ხელყოფისგან მის დაუცველობას განაპირობებს; სუსტია ბიზნეს-სექტორის კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან;.

9. მეწარმეობის აქტიურ მხარდასაჭერად შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორიც არის ბიზნეს-ინკუბატორები, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენას და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების სწრაფად დანერგვას. საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობა მიზანშეწონილია წარიმართოს მატერიალური წარმოების სფეროში მეწარმეობის მხარდასაჭერად და მომსახურების სფეროში – მეწარმეობის განსავითარებლად;

10. სტატისტიკური ინფორმაციის მწვავე ნაკლებობა შეუძლებელს ხდის „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ობიექტური შეფასების საშაუალებას. ჩვენთვის უცნობია ამ პროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხები იყო თუ არა წარმატებული. მიუხედავად იმისა, რომ გაუგებარია ზუსტად რა შედეგებს გვაძლევს „აწარმოე საქართველოში“ ის კვლავ გრძელდება.

ამრიგად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, საშუალო კლასის ჩამოყალიბება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადეიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ.,1998.
2. არნანია-კეპულაძე თ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. თბ., 2009.
3. ასოცირების შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის AA, მუხლი 352.
4. ბიზნეს ბიულეტენი DWV. http://dwvg.ge/joomla/media/com acymailing/upload/dwv business biuleteni oktomberi 2013.pdf
5. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების(GIZ) პროექტი. საქართველოს ოფისი. https://www.giz.de/en/worldwide/359.html ნანახია 03. 12. 2017.
6. გაცვლითი პროგრამები Erasmus+.http://erasmusplus.org.ge/ge/projects/till-2014. ნანახია 21. 12, 2017.
7. გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია, ანტიკური სამყაროს კულტურები 5 წიგნად, ნაკვეთი პირველი, თბ., 1988.
8. ვაჩნაძე მ., გურული ვ. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები) გამომც. ინტელექტი 2006.
9. ვერულიძე ვ., გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა. სახელმძღვანელო, თბ., 2008.
10. კანონი ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ /2016. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504 ნანახია 20.12. 2017.
11. კოღუაშვილი პ. ი.ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობასა და რუსეთის ბაზრის მნიშვნელობაზე. www.gevorld.ge. ნანახია 08.11.2012.
12. ლენგი დ. საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თბ., 2003.
13. ლოლაშვილი ი. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713), თბ., 1959.
14. მარქსი კ. „კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“, ტ. I, წიგნი 1, კაპიტალის წარმოების პროცესი, საქ.სსრ სახ. გამომც. 1954.
15. მენაბდე ლ. – ვახტანგ VI, 2011.
16. მესხია ი. ბიზნესის საფუძვლები. თსუ. 2011.
17. მესხია ი., გოცირიძე მ., ლელაძე რ. ,,საგადასახადო ქრესტომათია“, დამხმარე სახელმძღვანელო საგადასახადო მოხელეთა ატესტაციისათვის. თბილისი 2004.
18. მეწარმეობის განვითარების სააგენტო (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ) https://www.yell.ge/company.php?lan=geo&id=128236.
19. მიკრო ბიზნესის წამოწყება/გაფართოება http://qartuli.ge/geo/main/micro-and-small-business/.
20. მიქელაშვილი მ. საგადასახადო პოლიტიკა- თეორია და პრაქტიკა. თბ.,“სიტყვა“, 2013.

21. ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. IV, პროფ. ლ.მ. გამეზარდაშვილის რედ.,თბ., სახ. უნ-ტი, 1964.

22. ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. VII, პროფ. ლ.მ. გამეზარდაშვილის რედ.,თბ., სახ. უნ-ტი, 1964.

23. ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები, სიმონ ხუნდაძის რედ. ტ. I, თბ., ქართული წიგნი,

24. ნ.ურბნელი "ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი".

25. ოთინაშვილი რ. საქართველოს ეკონომიკა. თბ."საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"2011

26. პაპავა ლ., ანანიაშვილი ი. „ლაფერ-კენზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა", ნიუ-იორკი, 2014.

27. პაპასქუა ი., ფუტკარაძე ს. „საგადასახადო კანონმდებლობა და გადასახადების საგადასახადო ადმინისტრირების პრობლემები საქართველოში" (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი). საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის ,,ინოვაციები ბიზნესში" მასალები.ბათუმი,2010.

28. როსტიაშვილი თ. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის და განვითარების სტრატეგია საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ.,2009.

29. საბანისძე იოვანე, ჰაბოს წამება, ქართული მწერლობა, ტომი I, თბილისი, 1987.

30. საერთაშორისო სავალუტო ფონდი. http://www.imf.org/external/index.htm. ნანახია 21. 12. 2017.

31. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტო. https://idfi.ge/public/upload/IDFI/2020/Qashibadze1.pdf.

32. საქართველოს მთავრობის განკარგულება 395 2008 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი, სახელმწიფო პროგრამა"იაფი კრედიტის", „რეგიონალური ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების" ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული საწარმოს გამარჯვებულად დამტკიცებისა და სესხის გამოყოფის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2188673 ნანახია 23. 11. 2017.

33. საქართველოს მთავრობის განკარგულება №2774 2015 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი„იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ". **Error! Hyperlink reference not valid.**.

34.საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10174 ნანახის10.12. 2017.

35.საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.

36.საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება http://www.parliament.ge/ge/ ნანახია 20.12. 2017.

37.საქსტატი .http://www.geostat.ge/ ნანახია 05. 01. 2018.

38. საქსტატი. http://www.geostat.ge/. საფინანსო სექტორი მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც. ნანახია 17. 12. 2017.

39. სვანაძე ს. გადასახადების ისტორია. ქუთაისი. 2000.

40. სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტომი I თსუ გამომცემლობა. თბ., 1938.

41. ქობულაძე ნ. უწყვეტი განათლების მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში. http://atsu.edu.ge/EJournal/HENTI2015/eJournal/Papers/KobuladzeNato.pdf.

42. ყამარაული ს., ჩოკოლაშვილი მ., ყამარაული ლ. ,,გადასახადები და დაბეგვრა.“ სახელმძღვანელო. თბილისი. 2010.

43. შატბერაშვილი ო. ევროკავშირის ახალი წევრი და კანდიდატი ქვეყნების რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა. ქუთაისი.2014.

43. შატბერაშვილი ო. ევროკავშირის ახალი წევრი და კანდიდატი ქვეყნების რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა. ქუთაისი.2014.

44. შოშიტაშვილი ნ. ვახტანგ VI, 2015.http://www.bu.org.ge/x2227?lang=geo.

45. შუბითიძე ვ. ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.www. for.ge 05.2013.

46.შუბითიძე ვ. ნიკო ნიკოლაძე განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ . www.for.ge 17.03.2013.

47. შუბითიძე ვ. ნიკო ნიკოლაძე-კაცი სახელმწიფო. www. For.ge 16.02.2013.

48. ჩიხლაძე ნ. გადასახადები, გამოცდილება, პრობლემები.„სარკმელი საქართველოსი“, ქუთაისი. 1999.

49. ჩიხლაძე ნ. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისი 2004.

50. ხიზრიჩი რ., პიტერსი მ. მეწარმეობა ანუ როგორ დავიწყოთ საკუთარი საქმე და მივაღწიოთ წარმატებებს. „საქართველო“,ქუთაისი, 1994.

51. ხუბაშვილი ი. ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV საუკუნეებში, თბ., 2004 წ.

52. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია I ტომი თ. IV საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I საუკუნიდან VII საუკ. პირველ ნახევრამდე § 12-13.თბ.,1960.

52. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია I ტომი თ. IV საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I საუკუნიდან VII საუკ. პირველ ნახევრამდე §21.1960. http://www.amsi.ge/istoria/ij/qei1/T4.html

53. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია წიგნი მესამე. ნაწილი პირველი XIII-XIV სს გვ. 27-35. 1960. https://www.academia.edu

54. ჯანიაშვილი მ. „აწარმოე საქართველოში". https://1tv.ge/analytics/awarmoe-saqartveloshi-gaurkveveli-shedegebi/ ნანახია 10. 12 2017.

55. ჯოლბორდი მ., ლიპარტელიანი ნ. ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში. თბ.,"მერიდიანი", 2016.

56. ჯულაყიძე ე., ბარბაქაძე ი. მეწარმეობა. ქუთაისი. 2004.

57. Association Agreement.http://www.3dcftas.eu/documents/key/eu-georgia-association-agreement

58. Becon R. THE VOYAGE OF THE ARGONAUTS Boston, 1936.

59. Brands H. W. The First American: The Life and Times of Benjamin Franklin Knopf Doubleday Publishing Group, May 26, 2010.

60.Cohan, W. D. Money and Power: How Goldman Sachs Came to Rule the World. New York(2011).

61.Doing Business 2017. http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB17-Report.pdf ნანახია 20. 12. 2017.

62.EFTA States sign Free Trade Agreement with GeorgiaPublished 27-06-2016. http://www.efta.int/Free-Trade/news/EFTA-States-sign-Free-Trade-Agreement-Georgia-328686.

63.EU-Georgia Deep and Comprehensive Free-Trade Area. http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/eap_aa/dcfta_guide_2014_en.pdf

64. Fisher I. "Debt Deflation Theory of Great Depressions", Econometrica, Vol. 1,. (1933)

65. Friedman M. A Theory of the Consumption Function. Princeton, NJ: Princeton University Press. (1957).

66. Free trade with the Europe. http://www.dcfta.gov.ge/en/home.

67. German Economic Team Georgia http://www.get-georgia.de/home-2/.ნანახია 21. 12. 2017.

68. GIDE CHARLES A HISTORY OF ECONOMIC DOCTRINES FROM THE TIME OF THE PHYSIOCRATS TO THE PRESENT DAY Printed in Great Britain at THE BALLANTYNE PRESS by SPOTTUWOODE. BALLANTYNE https://ia902706.us.archive.org/18/items/historyofeconomi00gideiala/ historyofeconomi00gideiala.pdf ნანახია 21. 02, 2016.

69. Harman, Ch. 'The Rise of Capitalism', *International Socialism Journal*, 102 p. 21(Spring 2004).

70. HAYEK FRIEDRICH A. "Individualism and Economic Order" THE UNIVERSITY OF CHICAGO PRESS ch.6

71. INNOVATIONS' CENTERMORE ABOUT MODERN BUSINESS. https://innovationscenter.wordpress.com/ ნანახია 22. 12. 2017.

72. ISET policy institute. http://iset.tsu.ge/ ნანახია 21. 12. 2017.

73. Kaldor N. "Alternative Theories of Distribution", Review of Economic Studies, Vol. 23, (1956).

74. Kalpakjian, Serope; SchmidManufacturing, Engineering & Technology. Prentice Hall. (2005).

75. Knowledge Partnership Programme. http://www.ipekpp.com/.

76. Keynes John Maynard The General Theory of Employment, Interest, and Money book 2. https://cas2.umkc.edu/economics/people/facultypages/kregel/courses/econ645/winter2011/generaltheory.pdf

77. Lungan P., Razin A. "How Beneficial Is Foreign Direct Investment for Developing Countries?", Finance and Development 38, 2001.

78. Marshall, Alfred Principles of EconomicsLondon, 8-th edition, Book, ch. II-III 1920.
http://www.econlib.org/library/Marshall/marP7.html#Bk.II,Ch.IIIნანახია 12. 04. 2016.

79. Marx, K. Kapital, vol. 1. K. Marx and F. Engels, Soch., 2nd ed., vol. 23, 1867.

80. Mill John Stuart " On Liberty" 1859. Batoche Books Kitchener 2001. p.77. https://eet.pixel-online.org/files/etranslation/original/Mill,%20On%20Liberty.pdf.

81. National democratic institute of Georgia. https://www.ndi.org/eurasia/georgiaნანახია 11. 12. 2017.

82. National Statistics Office of Georgia; Employment and Unemployment www.geostat.ge Distribution of population age of 15 and older by economic status in urban areas, 1998—2009.

83. Rosenberg, N."Technological change in the machine tool industry, 1840–1910." The Journal of Economic History 23.04 (1963).

84. Samuelson P.A. and R.M. Solow "Analytical Aspects of Anti-Inflation Policy", American Economic Review, Vol. 50 (2) (1960).

85. Say Jean-Baptiste"A Treatise on Political Economy; or the Production, Distribution, and Consumption of Wealth". Philadelphia: 1880. Batoche Books Kitchener 2001. https://socialsciences.mcmaster.ca/econ/ugcm/3ll3/say/treatise.pdfp. 25.

86. Say Jean-Baptiste "Catechism of political economy" ch 3. London, 1816.

https://books.googleusercontent.com/books/content?req=AKW5QafWm0tsFKjpROdlt ნანახია 12. 04. 2016.

87. Schularick Moritz 140 Years of Financial Crises: Old Dog, New Tricks2010p. 11. http://www.jfki.fu-berlin.de/faculty/economics/team/Ehemalige_Mitarbeiter_innen/schularick/Old_Dog_New_Tricks_Schularick.pdf.

88. ŚLEDZIK KAROL "SCHUMPETER'S VIEW ON INNOVATION AND ENTREPRENEURSHIP" Article in SSRN Electronic Journal · April 2013.

89. Smith Adam an Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations Book 1, Chapter 1Of the Division of Laborp.21 http://geolib.com/smith.adam/won1-01.html.

90. The Global Competitiveness Report 2015–2016. http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf ნანახია 20.12. 2017.

91. The International Bank for Reconstruction and Development (IBRD). http://www.worldbank.org/en/who-we-are/ibrd.

92. Wood E. M. (2002), The Origin of Capitalism: A Longer View (London: Verso, 2002.).

93. Думнова Н.А. Подержка малого и среднего бизнеса в регионах. Вестник ТГУ 2009. випуск 5.

94. Хаиек Ф.Фон, Познание. Конкуренцыя и свобода, С-ПБ, 1999.

95. Шумретер Й. Теория экономического развития. М.,»Эксмо», 2007.

96. http://worknet.gov.ge.